# SUSTAINABILITY SPOTLIGHT

UN Global Compact Network Georgia

August-October 2021

ISSUE N.3

**ECONOMY:** Crystal – a Leader of Change in Green Financing *2*

**SOCIETY:** Tegeta Green Zone – Taking Care of the Environment and Employees *96*

**ENVIRONMENT:** Business and Societal Benefits of Companies Transitioning Towards a Circular Economy *102*

# ECO-INNOVATION

## THE FUTURE IS GREEN AND INCLUSIVE



# SUSTAINABILITY SPOTLIGHT




სპონსორები / **SPONSORS**

თეგეტა მოტორსი TEGETA MOTORS HOLDING COMPANY

crystal Financial Inclusion Organization


ჟურნალი გამოცემულია შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით და „ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის“ (EU4Environment) პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE), გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP), გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) და მსოფლიო ბანკის მიერ.

The Magazine is published with the assistance from the Swedish Government and within the framework of the project on the "European Union for Environment Action" (EU4Environment) funded by the European Union and implemented by the OECD, UNECE, UNEP, UNIDO, and the World Bank.

შვედეთი Sverige

ევროკავშირი საქართველოსთვის The European Union for Georgia

EU4Environment Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Republic of Moldova, Ukraine

ჟურნალის შინაარსზე პასუხისმგებელია გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი.

The contents of the Magazine are the sole responsibility of Global Compact Network Georgia.

UN Global Compact Network Georgia



**Head of Magazine**
*სალომე ზურაბიშვილი*
*SALOME ZURABISHVILI*

ჟურნალზე მუშაობდნენ
**EDITORIAL TEAM**

**Editor**
*ნინო კვანტრიშვილი*
*NINO KVANTRISHVILI*

**Journalist**
*ნანა კობაიძე*
*NANA KOBAIDZE*

**Administrative Manager**
*ანა დგებუაძე*
*ANA DGEBUADZE*
*სოფო ხუჭუა*
*SOPHO KHUCHUA*

**Designer**
*ნათა ყიფიანი*
*NATA KIPIANI*

**Photographer**
*ზვიად როსტიაშვილი*
*ZVIAD ROSTIASHVILI*



ჟურნალში გამოყენებული ძირითადი ფოტომასალა გადაღებულია GCNG-ის დაკვეთით; ხოლო ნაწილი მოწოდებულია რესპონდენტების მიერ და გამოყენებულია მათივე თანხმობით.

Most of the photos used in the Magazine are produced on behalf of GCNG; the rest were provided by the respondents with the permission to publish.

ISSN 2667-9957


ეკონომიკა | საზოგადოება | გარემოსდაცვა

ECONOMY | SOCIETY | ENVIRONMENT


| | | |
|---|---|---|
| „კრისტალი“ - ცვლილებების ლიდერი მწვანე დაფინანსების მიმართულებით | 2 | CRYSTAL – A LEADER OF CHANGE IN GREEN FINANCING |
| მდგრადი განვითარება მდგრადი დაფინანსების გარეშე წარმოუდგენელია | 10 | SUSTAINABLE DEVELOPMENT IS INCONCEIVABLE WITHOUT SUSTAINABLE FINANCE |
| მომავალი მწვანე და ინკლუზიურია - MGGLB საქართველო | 16 | THE FUTURE IS GREEN AND INCLUSIVE - MGGLB GEORGIA |
| ეკოინოვაციები იაპონიაში | 42 | ECO-INNOVATIONS IN JAPAN |
| ბიოწარმოება და ეკოინოვაციები - „უდაბნოს“ მდგრადი მომავალი | 46 | ORGANIC PRODUCTION AND ECO-INNOVATIONS – SUSTAINABLE FUTURE OF UDABNO |
| ჯანსაღი ცხოვრების მწვანე ძალა | 52 | THE GREEN FORCE OF A HEALTHY LIFESTYLE |
| მწვანე ინოვაცია - ინოვაციის პოლიტიკა მწვანე ბიზნესისთვის | 58 | GREEN INNOVATION - INNOVATION POLICY FOR GREEN BUSINESSES |
| ეკოლოგიურად სუფთა ჩაი ჯანსაღი ცხოვრებისთვის | 64 | ECOLOGICALLY CLEAN TEA FOR HEALTHY LIVING |
| ბიოდიზელი - ზრუნვა გარემოსა და ავტომობილზე | 70 | BIODIESEL - PROTECTING THE ENVIRONMENT AND THE CAR |
| ეკოინოვაციების დანერგვა და წახალისება საქართველოში - როგორია ამ პროცესში პარლამენტის როლი | 74 | INTRODUCTION AND STIMULATION OF ECO-INNOVATION IN GEORGIA – THE ROLE OF THE PARLIAMENT IN THIS REGARD |
| ბათუმის ბულვარი ეკოლოგიის დასაცავად | 80 | BATUMI BOULEVARD FOR ECOLOGY |
| „თერმორუმი“ ჯანსაღი ეკომომავლისათვის | 84 | THERMORUM FOR A HEALTHY ECO-FUTURE |
| „თქვენ შოულობთ, ჩვენ - გჯამთ“ | 88 | "YOU EARN – WE FEED ON YOU" |
| „ქარის“ მწვანე ტრანსპორტი | 92 | GREEN TRANSPORT OF QARI |
| „თეგეტა“ მწვანე ზონა - ზრუნვა გარემოსა და თანამშრომლებზე | 96 | TEGETA GREEN ZONE – TAKING CARE OF THE ENVIRONMENT AND EMPLOYEES |
| ცირკულარულ ეკონომიკაზე გარდამავალი ბიზნესის და კომპანიების სოციალური სარგებელი | 102 | BUSINESS AND SOCIETAL BENEFITS OF COMPANIES TRANSITIONING TOWARDS A CIRCULAR ECONOMY |
| მდგრადი მოდა ქართულად და თანამედროვე მოდის ინდუსტრიის თავისებურებები | 108 | GEORGIAN-STYLE SUSTAINABLE FASHION AND THE PECULIARITIES OF THE MODERN FASHION INDUSTRY |
| ეკოინოვაცია, როგორც ახალი შესაძლებლობა | 114 | ECO-INNOVATION – A NEW OPPORTUNITY |
| კლიმატის ცვლილება, როგორც საფრთხე და შესაძლებლობა | 122 | CLIMATE CHANGE – BOTH A THREAT AND AN OPPORTUNITY |
| ეკო-მეგობრული პროდუქციის ძიებაში | 128 | ECO GENERATION IN SEARCH OF ECO-FRIENDLY PRODUCTS |
| რატომ არ მინდა პარკი? | 132 | WHY NO BAG FOR ME? |

# „კრისტალი“ – ცვლილებების ლიდერი მწვანე დაფინანსების მიმართულებით

# CRYSTAL – A LEADER OF CHANGE IN GREEN FINANCING



**GREEN FINANCING IS A STRATEGIC DIRECTION FOR CRYSTAL - WE WISH TO BECOME MARKET LEADERS IN THIS DIRECTION. PARTICULARLY IN OUR SECTOR.**

ფინანსური ჩართულობის კომპანია „კრისტალი“ მიკროსაფინანსო სექტორის წამყვანი მოთამაშეა, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით ახორციელებს პროექტებს. მათგან მწვანე დაფინანსება ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. რამდენიმე წელია ორგანიზაცია ამ მიმართულებით მუშაობს და გარკვეული გამოცდილება უკვე დაუგროვდა. „კრისტალის“ მმართველი გუნდის წევრი, ადამიანური რესურსების და მარკეტინგის უფროსი ოფიცერი, **მანუჩარ ჩიტაიშვილი** გვესაუბრება მწვანე დაფინანსების როლზე, მნიშვნელობასა და განვითარების სტრატეგიაზე კომპანიის საქმიანობაში.

**რამდენად აქტუალურია დღესდღეობით მწვანე დაფინანსების საკითხი საქართველოში, რა ადგილი უჭირავს თქვენი ორგანიზაციის საქმიანობაში და როგორია მისი სამომავლო პერსპექტივა?**

ადამიანური საქმიანობის გარემოზე მავნე ზემოქმედების კუთხით არასახარბიელო ვითარებიდან გამომდინარე, მწვანე დაფინანსება მთელ მსოფლიოში აქტუალურია. გამონაკლისი არც საქართველოა. ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო პოლიტიკა და წამახალისებელი ღონისძიებები ფინანსურ სექტორს დაფინანსების გაზრდისკენ უბიძგებს. ეს მნიშვნელოვანი პროცესია, რომელშიც აქტიურად ვართ ჩართული. „კრისტალი“ წამყვანი ინსტიტუტია მიკროსაფინანსო სექტორში, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მწვანე დაფინანსებას.

2017 წელს ჰოლანდიის განვითარების ბანკ FMO-დან პირველი ტრანში მივიღეთ ამ მიმართულებით. მას შემდეგ რეგულარულად ვახორციელებთ მთელ რიგ აქტივობებს და სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტთან ვთანამშრომლობთ. „კრისტალისთვის“ მწვანე დაფინანსება სტრატეგიული მიმართულებაა – გვინდა ამ კუთხით ცვლილებების ლიდერები გავხდეთ ბაზარზე. განსაკუთრებით, ჩვენს სექტორში.

ზოგადად, ენერგოეფექტური და განახლებად ენერგიაზე დამყარებული წყაროების დაფინანსება ფართო სფეროა და ჰესების დაფინანსებასაც მოიცავს. „კრისტალი“ არ მონაწილეობს ამ პროცესში. ჩვენი არეალი საყოფაცხოვრებო პროექტებით და მცირე ბიზნესით შემოიფარგლება, ტრადიციული ენერგოწყაროების ალტერნატიული (მზის სისტემები, მზის გამათბობელი საშუალებები, ქარის მცირე აგრეგატები), უფრო სუფთა – განახლებადი ენერგიის წყაროებით და ძველი ტექნიკის ენერგოეფექტური ტექნიკით ჩანაცვლებას გულისხმობს.

გვაქვს პროექტები, რომლებიც ბიზნესის, ასევე ფიზიკურ პირთა ყოველდღიურ საქმიანობაში ნაკლებად დამაბინძურებელი ტრანსპორტის დანერგვას ითვალისწინებს: როგორც

**„კრისტალისთვის“ მწვანე დაფინანსება სტრატეგიული მიმართულებაა – გვინდა ამ კუთხით ცვლილებების ლიდერები გავხდეთ ბაზარზე. განსაკუთრებით, ჩვენს სექტორში.**

FINANCIAL INCLUSION ORGANIZATION CRYSTAL IS A LEADING PLAYER IN THE MICROFINANCE SECTOR, IMPLEMENTING PROJECTS IN NUMEROUS AREAS. GREEN FUNDING IS ONE OF THE SIGNIFICANT AREAS AMONG THEM. THE ORGANIZATION HAS BEEN OPERATING IN THIS FIELD FOR MANY YEARS AND HAS ALREADY GAINED SOME EXPERTISE. **MANUCHAR CHITAISHVILI**, A MEMBER OF THE CRYSTAL MANAGEMENT TEAM AS SENIOR HUMAN RESOURCES AND MARKETING OFFICER, TALKS ABOUT THE ROLE, SIGNIFICANCE AND DEVELOPMENT STRATEGY OF GREEN FINANCING IN THE COMPANY'S ACTIVITIES.

**How important is the issue of green funding in Georgia today? What place does it hold within the activities of your organization and what prospect does it have?**

Because of the unfavorable impact human activity has on the environment, green funding is becoming increasingly relevant across the world. Georgia is not an exception. Existing international policies and incentives are pushing the monetary sector to expand funding. This is a vital method in which we are actively involved as well. Crystal is a leading institution within the microfinance sector, giving special attention to green funding.

In 2017, we received the first tranche from the Dutch Development Bank FMO in this field. Since then, we have been carrying out a variety of activities and are collaborating with numerous monetary institutions. Green financing is a strategic direction for Crystal - we wish to become market leaders in this direction. Particularly in our sector.

In general, the funding of energy efficient and renewable energy technologies is a wide field and includes the financing of hydropower plants too. Crystal is not involved in this. Our framework is restricted to managing household and small businesses, financing alternatives to conventional energy sources (solar systems, solar water heaters, small wind turbines), cleaner - renewable energy sources and aiming at replacing old appliances with energy efficient ones.

We run projects that aim at introducing less polluting transport in daily activities of companies and individuals: covering



შედარებით დაბალფასიანი ელექტროსკუტერების, ასევე, ჰიბრიდული და ელექტრო მანქანების. მომავალში ამ კუთხით განვითარებას და მომხმარებლისთვის სხვადასხვა სპეციალური პროექტების შეთავაზებას ვაპირებთ.

ამჟერად მწვანე დაფინანსებაზე ჩვენი პორტფელის დაახლოებით 5 პროცენტია მიმართული, მომხმარებლების წილი კი გაცილებით მეტია. სამომავლოდ მათთვის უფრო ფართო ასორტიმენტის შეთავაზებას ვგეგმავთ, რაც თავისთავად გაზრდის ამ ციფრებს.

**როგორც აღნიშნეთ, „კრისტალმა“ 2017 წელს დაიწყო მწვანე დაფინანსების მიმართულებით მუშაობა. როგორი იყო ვითარება იმ პერიოდში და ამჟამად რა მდგომარეობაა?**

საწყის ეტაპზე ძირითადი გამოწვევა იყო ბაზარზე პროდუქტის არაპოპულარობა. ასევე, სტანდარტების არაუნივერსალობა, რაც მომწოდებლებთან ურთიერთობაში გარკვეულ უხერხულობას ქმნიდა. იმის გამო, რომ არ არსებობს ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს და არეგულირებს მწვანე და ენერგოეფექტური პროდუქტების, განახლებადი ენერგიის სტანდარტს, ძირითადად, კრედიტორი ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული რეგულაციებით ვხელმძღვანელობდით, რაც სხვადასხვა მომწოდებლის და კრედიტორის შემთხვევაში განსხვავდებოდა. ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო, რაც გარკვეულწილად, დღესაც ძალაშია, თუმცა ნაბიჯ-ნაბიჯ, მარკეტინგული და სოციალური კამპანიებით მოვახერხეთ იმ პროდუქციის და მომსახურების პოპულარიზაცია, რომლის დაკრედიტებასაც ვთავაზობთ

comparatively low-cost electric scooters, as well as hybrid and electric cars. We plan to develop this further and provide various special projects to customers.

Currently around 5 per cent of our portfolio is concentrated in green funding, the consumer share is far higher. We plan to offer a wider array of products, which itself will lead to increase in these numbers.

**As you mentioned, Crystal started operating in the green finance direction in 2017. What was it like at that point and what is the current situation?**

At the initial stage, the main challenge was the unpopularity of the product on the market. Also, the non-universality of the standards, which created certain inconveniences in dealing with suppliers. Since there is no national legislation which would define and regulate green and energy efficient products, or renewable energy standards, we had to basically apply the regulations proposed by creditor organizations, which varied based on different supplier and creditor. This was an important challenge for us, which to some extent, has remained, however gradually, through marketing and social campaigns, we have managed to popularize the products and services on offer to our customers. The high cost of energy efficient products is also a problem, especially considering the current social situation of Georgia. In this case, it is important to convince the customer of the benefits of the purchase. We have created a special calculator, which estimates the energetic or environmental savings from individual energy-efficient equipment (how many kW and how many tonnes of $CO_2$ are saved), which aids our staff in user communication, to explain more clearly both economic and ecological effects of energy-efficient product.

The main motivation for purchasing an energy efficient product is still the financial factor. Bearing these circumstances in mind, introducing solar panels in the micro-segment is difficult, because one-time expense for a small business or a particular family is quite large, and it takes a few years to receive gains.



*ჩვენ შევქმენით სპეციალური კალკულატორი, რომელიც ანგარიშობს ცალკეულ ენერგო ეფექტური ტექნიკის ენერგეტიკულ და ეკოლოგიურ დანაზოგს (რამდენი kW და რამდენი $CO_2$ დაიზოგა), აღნიშნული ეხმარება ჩვენს პერსონალს მომხმარებელთან კომუნიკაციაში, რომ უფრო ცხადად აუხსნან ენერგო ეფექტური პროდუქტის როგორც ეკონომიკური ასევე ეკოლოგიური ეფექტი.*

მომხმარებელს. სირთულეს ქმნის ენერგოეფექტური პროდუქტების სიძვირეც, მით უფრო, ქვეყანაში არსებული სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მომხმარებლის დარწმუნება შენაძენის სარგებელში. ჩვენ შევქმენით სპეციალური კალკულატორი, რომელიც ანგარიშობს ცალკეულ ენერგო ეფექტური ტექნიკის ენერგეტიკულ და ეკოლოგიურ დანაზოგს (რამდენი kW და რამდენი $CO_2$ დაიზოგა), აღნიშნული ეხმარება ჩვენს პერსონალს მომხმარებელთან კომუნიკაციაში, რომ უფრო ცხადად აუხსნან ენერგო ეფექტური პროდუქტის როგორც ეკონომიკური ასევე ეკოლოგიური ეფექტი.

ენერგოეფექტური პროდუქტის შეძენის ძირითადი მოტივაცია მაინც ფინანსური ფაქტორია. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, მზის პანელების დანერგვა მიკროსაფინანსო სეგმენტში რთულია, რადგან ერთჯერადი ხარჯი მცირე ბიზნესისა თუ კონკრეტული ოჯახისთვის საკმაოდ დიდია და მის ამოღებას რამდენიმე წელიწადი სჭირდება. შესაბამისად, ბევრს უჭირს გადაწყვეტილების მიღება.

არსებობს ისეთი ენერგოეფექტური პროდუქტები, სადაც შედეგი უფრო სწრაფია და სარგებელიც – უფრო თვალსაჩინო. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მომხმარებელთან აქტიური კომუნიკაცია, რაც კარგად დაანახებს შენაძენის პერსპექტივას. ასეთი ძალისხმევით პროექტის დაწყებიდან დღემდე მწვანე მიზნობრიობით 17 ათასზე მეტი მომხმარებელი დავაფინანსეთ და ეს ციფრი მზარდია.

**„კრისტალი“ სხვადასხვა მიმართულებით ახორციელებს**

**WE HAVE CREATED A SPECIAL CALCULATOR, WHICH ESTIMATES THE ENERGETIC OR ENVIRONMENTAL SAVINGS FROM INDIVIDUAL ENERGY-EFFICIENT EQUIPMENT (HOW MANY KW AND HOW MANY TONNES OF $CO_2$ ARE SAVED), WHICH AIDS OUR STAFF IN USER COMMUNICATION, TO EXPLAIN MORE CLEARLY BOTH ECONOMIC AND ECOLOGICAL EFFECTS OF ENERGY-EFFICIENT PRODUCT.**

Consequently, many people find it difficult to make such a decision.

There are energy-efficient products with quicker results and more vivid benefits. In this case, active communication with the customer is important to better demonstrate the advantages of purchase. With such efforts from the beginning of the project, we have provided green funding to over 17,000 customers and counting.

**Crystal carries out corporate responsibility activities in various directions. Including in terms of women's empowerment. Do you have projects combining both areas – empowering women and promoting a green economy?**

The company follows several courses in terms of corporate responsibility: we are active participants of financial education programs initiated by the National Bank, we also have our local programs, which include incentivizing young entrepreneurs, empowering women and green financing. Women's empowerment is one of the strategic directions. Nearly 60 per cent of our customers are women, who are particularly responsible in terms of

**კორპორაციულ პასუხისმგებლობას. მათ შორის, ქალთა გაძლიერების კუთხით. თუ გაქვთ პროექტები, რომლებიც ორივე მიმართულებას – ქალთა და მწვანე ეკონომიკის გაძლიერებას აერთიანებს?**

კომპანია კორპორაციული პასუხისმგებლობის კუთხით რამდენიმე მიმართულებას მიჰყვება: აქტიურად ვმონაწილეობთ როგორც ეროვნული ბანკის მიერ ინიცირებულ ფინანსური განათლების პროგრამებში, ასევე, გვაქვს ჩვენი ლოკალური პროგრამებიც: ახალგაზრდა მეწარმეთა წახალისების, ქალთა გაძლიერების პროგრამები და მწვანე დაფინანსება. ქალთა გაძლიერება ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა. ჩვენი მომხმარებლის 60 პროცენტამდე ქალია, რომლებიც დაკრედიტების კუთხით განსაკუთრებული პასუხისმგებლობით გამოირჩევიან. ამ ტენდენციის გაძლიერებას ემსახურება სპეციალურად მათზე მორგებული პროგრამები. გვყავს შვილობილი ორგანიზაცია „კრისტალ კონსტალტინგი“, რომელიც მეწარმე ქალთა მენტორინგის პროგრამას ახორციელებს, რაც გულისხმობს მათ მომზადებას ბიზნეს-საქმიანობის წარმართვაში. ასევე, USAID YES Georgia-ს ერთ-ერთი კომპონენტი Buzz საქართველო, რომელსაც კრისტალი USAID-თან ერთად უკვე 2020 წლის ივნისიდან ახორციელებს. პროგრამა რეგიონებში მცხოვრებ ქალთა ტრენინგებს ითვალისწინებს. ამ პროცესში კრისტალის გამოცდილი გუნდი აქტიურადაა

lending. Programs tailored specifically for them serve to reinforce this trend. We run a subsidiary Crystal Consulting, implementing a mentoring program for women entrepreneurs, which involves training them on how to run a business. Also, one of the components of USAID YES Georgia project is Buzz Georgia, which Crystal has been implementing together with USAID since June 2020. The program provides training for women living in the regions. The experienced team of Crystal is actively engaged in this process. Periodically, in the regions field events are held to promote the project. A total of 680 women have already been trained and are successfully leading their own activities.

As for the intersection of green financing and women empowerment programs, we had a special offer in terms of green financing for women several times, envisaging credit for the purchase of hybrid and electric cars, although these programs also work well independently. Green lending is our priority and if the company has a special opportunity to do so, we are not limiting it to women and offer it to all customers. Statistics, however, show that women are more open to innovation than men and are more likely to innovate. 65 percent of users in the green finance portfolio are women.

*აქტიურად ვმონაწილეობთ როგორც ეროვნული ბანკის მიერ ინიცირებულ ფინანსური განათლების პროგრამებში, ასევე, გვაქვს ჩვენი ლოკალური პროგრამებიც: ახალგაზრდა მეწარმეთა წახალისების, ქალთა გაძლიერების პროგრამები და მწვანე დაფინანსება. ქალთა გაძლიერება ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა. ჩვენი მომხმარებლის 60 პროცენტამდე ქალია, რომლებიც დაკრედიტების კუთხით განსაკუთრებული პასუხისმგებლობით გამოირჩევიან.*

**WE ARE ACTIVE PARTICIPANTS OF FINANCIAL EDUCATION PROGRAMS INITIATED BY THE NATIONAL BANK, WE ALSO HAVE OUR LOCAL PROGRAMS, WHICH INCLUDE INCENTIVIZING YOUNG ENTREPRENEURS, EMPOWERING WOMEN AND GREEN FINANCING. WOMEN'S EMPOWERMENT IS ONE OF THE STRATEGIC DIRECTIONS. NEARLY 60 PER CENT OF OUR CUSTOMERS ARE WOMEN, WHO ARE PARTICULARLY RESPONSIBLE IN TERMS OF LENDING.**





*მზადების პროცესშია მასშტაბური პროექტი, რომელიც ეხება საქართველოს არაურბანულ ცენტრებში გაუტყევების რისკის შემცირებას და მართვას, რასაც შემდგომში ჩვენი მომხმარებლის მიერ ენერგოეფექტური გათბობის საშუალებების შეძენა და მათ ყოველდღიურ საქმიანობაში დანერგვა მოჰყვება. ამ მიზნით ვთანამშრომლობთ საერთაშორისო ფონდებთან. ეს პროექტი დანერგვის შემთხვევაში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გარემოს გაჯანსაღებას და საშუალო და ხანგრძლივ პერსპექტივაში ფინანსურ ხარჯებსაც შეამცირებს მომხმარებლებისთვის.*

**A LARGE-SCALE PROJECT IS UNDERWAY TO REDUCE AND MANAGE THE RISK OF DEFORESTATION OF NON-URBAN CENTERS OF GEORGIA, WHICH WILL BE FOLLOWED BY THE PURCHASE AND INTRODUCTION OF ENERGY-EFFICIENT HEATING DEVICES BY OUR CUSTOMERS FOR THEIR DAILY ACTIVITIES. FOR THIS PURPOSE, WE ARE COOPERATING WITH INTERNATIONAL FUNDS. IF IMPLEMENTED, THIS PROJECT WILL CONTRIBUTE SIGNIFICANTLY TO THE IMPROVEMENT OF THE ENVIRONMENT AND IN THE MEDIUM AND LONG RUN WILL ALSO REDUCE FINANCIAL COSTS FOR CONSUMERS.**

ჩართული. პერიოდულად, პროექტის პოპულარიზაციისთვის ტარდება გასვლითი ღონისძიებები რეგიონებში. პროექტის ფარგლებში ჯამში ტრენინიგები უკვე გაიარა 680-მა ქალმა და ამჟამად ისინი საკუთარ საქმიანობებს წარმატებით უძღვებიან.

რაც შეეხება მწვანე დაფინანსებისა და ქალთა გაძლიერების პროგრამების გადაკვეთას, რამდენჯერმე გვქონდა სპეციალური შეთავაზება მწვანე დაფინანსების კუთხით ქალებისთვის, რაც ითვალისწინებდა კრედიტს ჰიბრიდული და ელექტრომანქანების შესაძენად, თუმცა ეს პროგრამები დამოუკიდებლადაც კარგად ფუნქციონირებს. მწვანე დაკრედიტება ჩვენი პრიორიტეტია და თუ კომპანიას საამისოდ აქვს სპეციალური შეღავათის შესაძლებლობა, მხოლოდ ქალებით არ ვიზღუდებით და ყველა მომხმარებელს ვთავაზობთ. თუმცა სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ სიახლეების კუთხით ქალები კაცებზე მეტად გახსნილნი არიან და უფრო იოლად ნერგავენ ინოვაციებს. მწვანე დაფინანსების პორტფელში მომხმარებლების 65 პროცენტი ქალია.

**მწვანე ეკონომიკა და ეკოინოვაციები ის თემებია, სადაც სახელმწიფო გვერდში უნდა დაუდგეს კერძო კომპანიებს. რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით ჩვენთან და როგორ გესახებათ შეთანხმებული და დაბალანსებული ურთიერთობა სახელმწიფო ინსტიტუტებსა და საფინანსო კომპანიებს შორის? რა უნდა გაკეთდეს უკეთესი პარტნიორობისთვის?**

სახელმწიფოს ჩართულობა 2 სახისაა: მარეგულირებელი და წამახალისებელი. მარეგულირებელი მიმართულებით კანონმდებლობა თანდათან ვითარდება, რაც საქმიანობის სტანდარტიზებას გულისხმობს. სამომავლოდ მაღალი ალბათობით ფინანსურ სექტორს ფინანსურ რისკებთან ერთად გარემოზე მავნე ზემოქმედების რისკების ანგარიშგების ვალდებულებაც ექნება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ

**Green economy and eco-innovation are issues where the state should stand by the private companies. How does it work here and how do you feel about the coordinated and balanced relationship between state institutions and financial companies? What needs to be done for a better partnership?**

There are two types of state involvement: regulatory and incentivizing. Legislation in the regulatory direction is gradually evolving, which includes the standardization of activities. In the future, the financial sector is likely to be responsible for reporting environmental risks in addition to financial ones. In addition, it is important for the state to encourage responsible companies and consumers who are uniquely committed to reducing their impact on the environment. It is good when the consumer knows that when they are buying an expensive energy efficient product the state will respond with tax benefits, utility payment incentives and so on. Different countries have had the experience of the so-called 'cash-back' method, when the state significantly encourages the purchase of energy efficient products from individuals; another interesting practice is when an energy distributor purchases the energy generated by solar systems from an individual at a commercial price. This is an essential incentive for a wide segment

ის პასუხისმგებლიანი კომპანიები და მომხმარებლები წაახალისოს, რომლებიც გამორჩეულად ეკიდებიან გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებას. კარგია, როცა მომხმარებელმა იცის, რომ მის მიერ ძვირადღირებული ენერგოეფექტური პროდუქტის შეძენას სახელმწიფოს მხრიდან საშემოსავლო, კომუნალური და ა.შ. შეღავათი მოჰყვება. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება ითვალისწინებს ე.წ. „ქეშბექ“ მეთოდს, როცა სახელმწიფო მნიშვნელოვნად ახალისებს ენერგოეფექტური პროდუქტის შეძენას ფიზიკური პირისგან; ასევე, საინტერსო პრაქტიკაა, როცა მზის სისტემების მიერ გამომუშავებულ ენერგიას ფიზიკური პირისგან კომერციულ ფასში ყიდულობს ენერგო დისტრიბუტორი. ეს მოსახლეობის ფართო სეგმენტისთვის არსებითი სტიმულია იმ ქვეყნებში სადაც აღნიშნული გამოცდილებები არსებობს.

ამჟამად ჩვენ კორპორაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში ვმოქმედებთ: ჯერჯერობით, არც კომპანიებს, არც მომხმარებლებს არა აქვთ შეღავათები მწვანე კრედიტებზე, თუმცა თუ სახელმწიფო ამ მიმართულებას სტრატეგიულად განსაზღვრავს, მას დადებითი შედეგი აუცილებლად მოჰყვება.

**როგორ აპირებს „კრისტალი“ კომპანიის კორპორაციული პასუხისმგებლობის ეკომიმართულებით განვითარებას? თუ გეგმავთ ამ კუთხით მუშაობას?**

ვაპირებთ ჩვენი პროდუქტების განვითარებას, ამჯერად მომხმარებლებს ვთავაზობთ სესხებს, განვადებებს, ლიზინგს, მომავალში უფრო მრავალფეროვანს გავხდით ამ შეთავაზებას. ახლა ძირითად მცირებიუჯეტიან პროდუქტზე გვაქვს განვადება, მაგრამ გვინდა, აქტიურად ჩავერთოთ მზის სისტემების პოპულარიზაციაში – ბიზნესს შევთავაზოთ ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. მზადების პროცესშია მასშტაბური პროექტი, რომელიც ეხება საქართველოს არაურბანულ ცენტრებში გაუტყევების რისკის შემცირებას და მართვას, რასაც შემდგომში ჩვენი მომხმარებლის მიერ ენერგოეფექტური გათბობის საშუალებების შეძენა და მათ ყოველდღიურ საქმიანობაში დანერგვა მოჰყვება. ამ მიზნით ვთანამშრომლობთ საერთაშორისო ფონდებთან. ეს პროექტი დანერგვის შემთხვევაში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გარემოს გაჯანსაღებას და საშუალო და ხანგრძლივ პერსპექტივაში ფინანსურ ხარჯებსაც შეამცირებს მომხმარებლებისთვის.

**„კრისტალი“ აქტიურად მუშაობს ეკოინოვაციების კუთხითაც. რა სიახლეებია კომპანიაში ამ მიმართულებით?**

– სულ ახლახან საერთაშორისო ორგანიზაცია მიკროსაფინანსო ცენტრმა (MFC) ყოველწლიურ კონფერენციაზე ჩვენი კომპანიის საქმიანობა 5 საუკეთესო ინიციატივას შორის დაასახელა. ლაპარაკია მწვანე დაფინანსებისა და პროდუქტების შესახებ ინფორმაციის ინოვაციური გზით გავრცელების, კერძოდ, ვირტუალური რეალობის სათვალის შესახებ, რომელიც მომხმარებელს ჩვენი პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მიღებას უიოლებს.

of the population in countries where such experiences exist.

We are currently operating within the framework of corporate responsibility: so far, neither companies nor consumers receive benefits for green loans, but if the state declares this direction as a strategic one, it will inevitably lead to a positive outcome.

**How does Crystal intend to develop the eco-direction of the company's corporate responsibility? Are you planning to work in this regard?**

We are going to develop our products, we currently offer loans, installment payments, leasing, but we plan to make these offers more diverse. We now have installment payments on the main low-budget products, but we would like to actively engage in the promotion of solar systems - to offer businesses the introduction of new technologies. A large-scale project is underway to reduce and manage the risk of deforestation of non-urban centers of Georgia, which will be followed by the purchase and introduction of energy-efficient heating devices by our customers for their daily activities. For this purpose, we are cooperating with international funds. If implemented, this project will contribute significantly to the improvement of the environment and in the medium and long run will also reduce financial costs for consumers.

**Crystal is also actively working on eco-innovations. What is new in the company in this direction?**

Very recently, the international organization Microfinance Center (MFC) named our company's activities among the five best initiatives at its annual conference. We are talking about green finance and product information dissemination in an innovative way, specifically, through virtual reality goggles, which make it easier for customers to attain information about our products.

Crystal's green line aims to offer green alternatives to consumers and to promote



„კრისტალის“ მწვანე მიმართულება მომხმარებლებისთვის მწვანე ალტერნატივების შეთავაზებასა და ეკომეგობრული, გარემოსთვის ნაკლებად საზიანო პროდუქტების დაფინანსების ხელშეწყობას გულისხმობს. ამ პროექტის საკომუნიკაციო ნაწილია ვირტუალური რეალობის ინოვაციური სათვალე, რომლის დახმარებითაც მომხმარებლები საინტერესო და სახალისო გზით იღებენ ინფორმაციას „მწვანე სახლში“ შემავალი პროდუქტების დადებითი მახასიათებლების შესახებ, რაც მათ ენერგოეფექტური პროდუქტების სასარგებლოდ არჩევანის გაკეთებაში ეხმარება. მსგავსი პროექტები მომავალშიც გაგრძელდება და საშუალებას მოგვცემს, კიდევ უფრო აქტიურად გავაგრძელოთ მუშაობა გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარებისთვის, რაც ჩვენი, როგორც მაღალი კორპორაციული პასუხისმგებლობის მქონე კომპანიისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია.

eco-friendly, environmentally less damaging products. Among other things, the project communicates the use of innovative virtual reality goggles, with the help of which customers receive interesting and fun information about the positive features of the products included in the Green House, helping them to choose energy-efficient products. Similar projects will continue in the future and will allow us to keep on working even more actively for environmental protection and sustainable development, which are very important to us as a company with high corporate responsibility.











# მდგრადი განვითარება მდგრადი დაფინანსების გარეშე წარმოუდგენელია




# SUSTAINABLE DEVELOPMENT IS INCONCEIVABLE WITHOUT SUSTAINABLE FINANCE

**SUSTAINABLE FINANCE, ON THE ONE HAND, ENVISAGES DIRECTING FUNDS TO GREENER, MORE SUSTAINABLE AND MORE INCLUSIVE PROJECTS; AND ON THE OTHER HAND, IT ENCOMPASSES CONSIDERATION OF THE ENVIRONMENTAL, SOCIAL AND GOVERNANCE (ESG) FACTORS IN INVESTMENT DECISIONS AND THUS, MITIGATING RISKS.**

მდგრადი განვითარების მიზნების შესასრულებლად, რომლებიც მთელ მსოფლიოში აქტუალურია, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მდგრად დაფინანსებას. საქართველო, როგორც მსოფლიოს ნაწილი, ამ პროცესის ერთ-ერთი შემადგენელია. განსაკუთრებით საყურადღებოა იმ მცირე და საშუალო კომპანიების წვდომა მდგრად ფინანსებზე, რომლებიც მწვანე ეკონომიკას ქმნიან და მდგრადი განვითარების მიზნებს ემსახურებიან. რა სახის საბანკო პროდუქტები არსებობს მათი ეფექტიანად დაფინანსებისთვის, რა რეგულაციები მოქმედებს მწვანე სესხებთან მიმართებაში და ზოგადად, როგორ უმკლავდება საბანკო სექტორი ამ გამოწვევას, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, **კობა გვენეტაძე** გვესაუბრება.

SUSTAINABLE FUNDING PLAYS A SIGNIFICANT ROLE IN ACHIEVING THE SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS THAT ARE PERTINENT AROUND THE WORLD. GEORGIA, AS A PART OF THIS WORLD, IS PLAYING A ROLE IN THIS PROCESS. SMEs ACCESS TO SUSTAINABLE FINANCE IS PARTICULARLY IMPORTANT, AS IT CONTRIBUTES TO THE GREEN ECONOMY AND SUPPORTS THE SDGs. THE GOVERNOR OF THE NATIONAL BANK OF GEORGIA, **KOBA GVENETADZE**, TALKS ABOUT THE TYPES OF BANKING PRODUCTS AVAILABLE FOR EFFECTIVELY FUNDING GREEN INITIATIVES, THE REGULATIONS APPLICABLE TO GREEN LOANS AND IN GENERAL, HOW THE BANKING SECTOR HANDLES THIS CHALLENGE.



*მდგრადი დაფინანსება, ერთი მხრივ, გულისხმობს ფინანსების უფრო მწვანე, მდგრადი და ინკლუზიური პროექტებისკენ მიმართვას; მეორე მხრივ, საინვესტიციო გადაწყვეტილებებში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფაქტორების გათვალისწინებას და ამ გზით რისკების შემცირებას.*

**ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნავთ, რომ „დღევანდელ მსოფლიოში მდგრადი დაფინანსების საკითხებზე მუშაობა არჩევანი აღარ არის, უკვე აუცილებლობაა". უფრო კონკრეტულად, რას გულისხმობს მდგრადი ფინანსები და რა მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის მის დანერგვას?**

– დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მდგრადი განვითარების საკითხები, როგორიცაა მაგალითად, გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემები, მსოფლიოსთვის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა. მიუხედავად იმისა, რომ წლიდან წლამდე ეს თემები სულ უფრო აქტიურად განიხილება და უამრავი ინიციატივა არსებობს, რომელთა მიზანი უფრო სტაბილური, ინკლუზიური და ჯანსაღი გარემოს შექმნაა, მდგრადობასთან დაკავშირებული რისკები კვლავაც აქტუალური რჩება. სამწუხაროდ, პანდემიამ არსებული პრობლემები კიდევ უფრო გაამწვავა, განსაკუთრებით, ისეთი სოციალური საკითხები, როგორიცაა უთანასწორობა, უმუშევრობა, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა და სხვა. სწორედ ამიტომ, მდგრადი განვითარების გამოწვევები დღეს იმაზე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე. მით უფრო, ჩვენნაირი განვითარებადი ქვეყნებისთვის.

**In one of the speeches you underlined that "In today's world, developing sustainable finance is no longer an option, it is already a necessity". More specifically, what does sustainable finance mean and what is its significance for Georgia?**

Today we can confidently say that sustainable development issues, such as environmental and social problems, are among the major challenges globally. Although these topics are increasingly being debated and there are numerous initiatives aimed at creating a more stable, inclusive and healthy environment, sustainability risks remain relevant. Unfortunately, the pandemic has exacerbated the existing problems, especially social issues such as inequality, unemployment, access to healthcare and more. Therefore, the sustainable development challenges are more important than ever. Even more so for developing countries like ours.

It a common understanding that the sustainable development challenges the world is facing need to be addressed without delay. The financial system has a special role in this process.

While there is no single definition of sustainable finance, we can say that it combines two major aspects: opportunities and risks. In other words, sustainable finance, on the one hand, envisages directing funds to greener, more sustainable and more inclusive projects; and on the other hand, it encompasses consideration of the environmental, social and governance (ESG) factors in investment decisions and thus, mitigating risks. The NBG's Sustainable Finance Framework revolves around these two key aspects and aims to strengthen the role of the financial system in the country's sustainable development.

**Again, I would like to quote you saying that "in the face of growing environmental and social challenges, it is important to direct financial resources to projects that serve the SDGs." What is the role of the National Bank of Georgia in this process? What specific projects have been implemented and what are your plans? What are the requirements for the partners and what obligations do we have?**

*2017 წლიდან აქტიურად ვმუშაობთ მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს შემუშავებაზე, რაც გულისხმობს რეგულატორული ჩარჩოს, გზამკვლევებისა და პრინციპების შემუშავებას.*

ყველა თანხმდება, რომ მსოფლიოს წინაშე არსებულ მდგრადი განვითარების გამოწვევებს მყისიერი რეაგირება სჭირდება. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი აქვს ფინანსურ სისტემას.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მდგრადი დაფინანსების ცალსახა განმარტება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ორ ძირითად ასპექტს: შესაძლებლობებს და რისკებს აერთიანებს. სხვაგვარად, მდგრადი დაფინანსება, ერთი მხრივ, გულისხმობს ფინანსების უფრო მწვანე, მდგრადი და ინკლუზიური პროექტებისკენ მიმართვას; მეორე მხრივ, საინვესტიციო გადაწყვეტილებებში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფაქტორების გათვალისწინებას და ამ გზით რისკების შემცირებას. ეროვნული ბანკის მდგრადი დაფინანსების ჩარჩო სწორედ ამ ორი ძირითადი საკითხის ირგვლივაა ჩამოყალიბებული და ქვეყნის მდგრად განვითარებაში ფინანსური სიტემის როლის გაძლიერებას ისახავს მიზნად.

**ისევ თქვენს სიტყვებს მოვიშველიებ, სადაც აღნიშნავთ, რომ „მზარდი გარემოსდაცვითი და სოციალური გამოწვევების პირობებში მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსების ისეთი პროექტებისკენ წარმართვა, რომლებიც მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას ემსახურება". როგორია საქართველოს ეროვნული ბანკის როლი ამ პროცესში? რა კონკრეტული პროექტები განხორციელდა ამ მიმართულებით და სამომავლოდ რას გეგმავთ? როგორია პარტნიორების მოთხოვნები და ჩვენ რა ვალდებულება გვაქვს?**

**ANOTHER IMPORTANT STEP TAKEN BY THE NBG WAS THE AMENDMENTS TO THE COMMERCIAL BANKS CORPORATE GOVERNANCE CODE TO ADDRESS ESG ISSUES.**

როგორც აღვნიშნე, მდგრადი განვითარება მდგრადი დაფინანსების გარეშე წარმოუდგენელია. შესაბამისად, ფინანსურ სისტემას დიდი როლი ეკისრება მდგრადი განვითარების ხელშეწყობაში. ჩვენ, როგორც ქვეყნის ცენტრალურ ბანკს, გააზრებული გვაქვს ამ პროცესში საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა: 2017 წლიდან აქტიურად ვმუშაობთ მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს შემუშავებაზე, რაც გულისხმობს რეგულატორული ჩარჩოს, გზამკვლევებისა და პრინციპების შემუშავებას. მიზანი – ფინანსური სექტორისა და კაპიტალის ბაზრის მონაწილეთა ხელშეწყობაა ESG (Environmental, Social and Governance) საკითხებისა და მათთან დაკავშირებული ფინანსური რისკების მართვაში.

მდგრადი დაფინანსების მიმართულებით პირველი ნაბიჯი იყო 2017 წელს მდგრად საბანკო ქსელში (Sustainable Banking Network, SBN) გაწევრიანება, რითაც გამოვხატეთ სურვილი, მხარი დაგვეჭირა საქართველოში მდგრადი დაფინანსების განვითარებისთვის. მას შემდეგ ჩარჩოს გაუმჯობესებაზე ვმუშაობთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით და ამ მიმართულებით არაერთი ნაბიჯიც გადაიდგა.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო 2019 წელს მდგრადი დაფინანსების გზამკვლევის გამოქვეყნება. ის სტრატეგიული დოკუმენტია, რომელიც მდგრადი დაფინანსების მიმართულებით ეროვნული ბანკის პრიორიტეტებს განსაზღვრავს და ბაზრის მონაწილეებს ეროვნული ბანკის სამომავლო გეგმებს წინასწარ აცნობს. ეს კი ფინანსური სექტორის წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს, ამ მიმართულებით ახალ ინიციატივებს და რეგულაციებს მომზადებული შეხვდნენ და მდგრადი დაფინანსების პრინციპები ეტაპობრივად დანერგონ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც ეროვნულმა ბანკმა გადადგა, ESG საკითხების გასათვალისწინებლად კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსში ცვლილებების შეტანაა. აღნიშნული ცვლილებები, სხვა საკითხებთან ერთად, ESG ინფორმაციის გამჟღავნების სავალდებულო მოთხოვნებს აწესებს. ამ პროცესის ხელშესაწყობად ESG საკითხების ანგარიშგებისა და გამჟღავნების პრინციპები და შესაბამისი შაბლონი შევიმუშავეთ. შაბლონი ფინანსურ ინსტიტუტებს ეხმარება, უფრო მარტივად მოამზადონ ESG საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ამასთან, წარმოდგენილი ინფორმაციის თავსებადობას და შესადარისობას უზრუნველყოფს. ბანკების მიერ შევსებული შაბლონები ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნდება, რაც ხელს შეუწყობს ბაზრის გამჭვირვალობას და არსებული პრაქტიკის მონიტორინგს. დამატებით, ESG საკითხების გამჟღავნება ფინანსურ სექტორს ESG რისკების უკეთესად მართვაში დაეხმარება.

კიდევ ერთი საჭირო პროექტი მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიაა, რომელზეც ამ ეტაპზე ვმუშაობთ. ტაქსონომია კლასიფიკაციის სისტემაა, რომელიც განსაზღვრავს, რა ტიპის ინვესტიციები უწყობს ხელს მდგრად განვითარებას. მოგეხსენებათ, სულ უფრო მეტი საერთაშორისო ინვესტორი გამოთქვამს მდგრად პროექტებში ფულის დაბანდების სურვილს. იმისთვის, რომ ქართულმა ფინანსურმა ბაზარმა შეძლოს ამ სახსრების მოზიდვა, აუცილებელია არსებობდეს საერთაშორისო განმარტებებთან თავსებადი ტაქსონომია, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, რომელი პროექტია მწვანე ან სოციალური. შესაბამისად, მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია დაეხმარება ჩვენს ფინანსურ სექტორს მწვანე ინვესტიციების მოზიდვაში.

და ბოლოს, აუცილებლად უნდა ვახსენო ეროვნული ბანკის თანამშრომლობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან, როგორიცაა SBN, IFC, OECD, NGFS და სხვა. საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით არაერთი პროექტი განხორციელდა, რომელიც საქართველოში მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარებას დაეხმარება. აქტიურად ვთანამშრომლობთ ადგილობრივ პარტნიორებთანაც. ამის კარგი მაგალითია ტაქსონომიაზე მუშაობის პროცესი, რომელშიც სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ. მათთან თანამშრომლობას ისევ გავაგრძელებთ და რამდენიმე ერთობლივ პროექტსაც ვგეგმავთ.

**როგორია საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკა მცირე და საშუალო მწვანე საწარმოებთან მიმართებაში – რა შეთავაზებები არსებობს მათთვის მდგრადი მწვანე სესხების მისაღებად? აქვთ თუ არა ამ ტიპის საწარმოებს და სტარტაპებს გარკვეული პრიორიტეტები საბანკო სერვისებთან მიმართებაში, ან შეღავათები სხადასხვა საბანკო პროდუქტით სარგებლობისას? რამდენად მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკის ჩართულობა ამ საკითხში?**

As I already mentioned, sustainable development is impossible without sustainable finance. Thus, the financial system has a big role to play in supporting sustainable development. We, as the country's central bank, fully understand our role and responsibility in this process and have been actively working on developing a Sustainable Finance (SF) Framework since 2017. This includes development of regulatory framework, roadmaps and principles, which aim to support financial sector and capital market participants in considering ESG issues and managing their financial risks.

The first step towards sustainable finance was joining the Sustainable Banking Network (SBN) in 2017, thus expressing our desire to support the development of sustainable finance in Georgia. Since then, we have been working on the SF framework actively cooperating with international organizations, and a number of steps have already been taken in this direction.

An important milestone was the publication of a Sustainable Finance Roadmap in 2019. It is a strategic document that sets out the priorities of the National Bank for sustainable finance and informs market participants of the NBG's plans. This allows financial sector representatives to be prepared for new initiatives and regulations and to gradually implement the principles of sustainable finance.

Another important step taken by the NBG was the amendments to the Commercial Banks Corporate Governance Code to address ESG issues. These changes, among other things, impose mandatory ESG disclosure requirements. To facilitate this process, we have developed ESG Reporting and Disclosure Principles and a corresponding template. The template helps financial institutions to disclose the information related to ESG-related information more easily. In addition, it ensures the consistency and comparability of the provided information. The templates filled out by the banks will be published on the NBG's website, which will contribute to the market transparency and the monitoring of existing practices. In addition, disclosing ESG issues will help the financial sector to better manage ESG risks.

One more project I would like to mention is developing the Sustainable Finance Taxono-

ეროვნული ბანკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს ფინანსური სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას. ჩვენი მიზანია, შევიმუშავოთ ისეთი რეგულატორული ჩარჩო, რომელიც ბანკებს და ფინანსური ბაზრის სხვა მონაწილეებს წაახალისებს იმ ტიპის ფინანსური პროდუქტების შექმნაში, რაც ხელს შეუწყობს მდგრად განვითარებას, მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესს. მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია ამის კარგი მაგალითია. ის ხელს შეუწყობს ქვეყანაში მწვანე პროდუქტების რაოდენობის ზრდას და ბანკებს მწვანე სახსრების უფრო მარტივად მოზიდვაში დაეხმარება, რაც მცირე და საშუალო კომპანიების მწვანე სესხებზე წვდომას გააიოლებს.

**რა გამოწვევების წინაშე დგას როგორც ფინანსური ინსტიტუტები, ასევე, მცირე და საშუალო საწარმოები ეკოინოვაციური მეთოდების დასანერგად?**

**მზად არის აღნიშნული სექტორი მდგრადი ფინანსების დანერგვისთვის და რა გავლენა იქონია ამ პროცესზე COVID-19-მა?**

მდგრადი დაფინანსება საქართველოსთვის ჯერ კიდევ შედარებით ახალი თემაა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ ეტაპზე ფინანსური ინსტიტუტები განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებიან. ზოგიერთისთვის ეს ყველაფერი შედარებით ახალია, თუმცა გვყავს ESG მიმართულებით მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ფინანსური ინსტიტუტებიც, რაც დაადასტურა 2021 წლის ESG საკითხების ანგარიშგებისა და გამჟღავნების წინასწარმა შედეგებმაც, რომელიც უახლოეს მომავალში ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნდება და ხელმისაწვდომი იქნება ფართო საზოგადოებისთვის.

გარკვეული პროგრესის მიუხედავად, მდგრადი დაფინანსების შესახებ, მათ შორის, ამ მიმართულებით არსებულ შესაძლებლობებსა

*საჭიროა, ყველამ გააცნობიეროს მდგრადობასთან დაკავშირებული გამოწვევები და რისკები და უფრო აქტიურად ვიმუშაოთ მდგრადი განვითარებისთვის. ამასთან, მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად მხოლოდ საჯარო სექტორის მონაწილეობა და სახსრები არ კმარა. მდგრადი პროექტების დაფინანსებაში აქტიურად უნდა ჩაერთოს კერძო სექტორიც.*

**IT IS ESSENTIAL FOR EVERYONE TO REALIZE THE CHALLENGES AND RISKS ASSOCIATED WITH SUSTAINABILITY AND WORK EVEN MORE ACTIVELY FOR SUSTAINABLE DEVELOPMENT.**

my, which is currently underway. A taxonomy is a classification system that defines what types of investments contribute to sustainable development. As you know, international investors are increasingly interested in investing in sustainable projects. In order for the Georgian financial market to be able to attract these funds, it is necessary to have a taxonomy compatible with international definitions that clearly states which projects are green or social. Consequently, the sustainable finance taxonomy will help our financial sector to attract more green investments.

Finally, I must mention the cooperation with various international organizations such as SBN, IFC, OECD, NGFS and others. Several projects have been implemented with the involvement of international partners that contribute to the development of the SF Framework in Georgia. We actively collaborate with local partners too. A good example of our cooperation is the development of the Sustainable Finance Taxonomy, in which various ministry representatives are actively involved. We will continue working with them and have a number of projects planned in the near future.

**What is the policy of the National Bank of Georgia towards small and medium green enterprises - what offers are there for them to obtain sustainable green loans? Do these types of enterprises and startups have certain priorities for banking services, or benefits when using different banking products? How important is the involvement of the National Bank in this issue?**

One of the main tasks of the National Bank is to ensure the stability and transparency of the financial system and support sustainable economic growth in the country. Our goal is to develop a regulatory framework, which will encourage banks and other participants of the financial market to create financial products that will contribute to sustainable development, including SMEs. The SF taxonomy is a good example of this. It will support the growth of green products in the country and help banks attract green funds more easily, increasing SMEs' access to green loans.

**What are the challenges faced by both financial institutions and SMEs to introduce eco-innovative methods? Is this sector ready for the introduction of**







და რისკებზე ცნობადობა ჯერ კიდევ დაბალია. მნიშვნელოვანია კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული ზრდა, რაზეც აქტიურად ვმუშაობთ. საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით მდგრადი დაფინანსების საკითხებზე ტრენინგებს ვგეგმავთ, რომელიც ESG საკითხებზე კვალიფიკაციის ზრდასა და არსებული შესაძლებლობების აქტიურ გამოყენებას დაეხმარება.

რაც შეეხება COVID-19 პანდემიის გავლენას, რა თქმა უნდა, არსებულმა ვითარებამ ჩვენი გეგმები ნაწილობრივ შეაფერხა. თუმცა მივყვებით დასახულ კურსს, აქტიურად ვაგრძელებთ სამოქმედო გეგმის განხორციელებას და მომავალშიც არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ვგეგმავთ.

**როგორ გესახებათ საქართველოს მდგრადი განვითარების მომავალი? რა როლი ენიჭება ამ პროცესში მწვანე ფინანსურ პროდუქტებს და ზოგადად, მწვანე ეკონომიკას?**

მდგრადი განვითარება მხოლოდ ერთი ინსტიტუტის ან ერთი ქვეყნის სურვილი ვერ იქნება. მას საერთო ძალისხმევა სჭირდება. პანდემიამ დიდი დარტყმა მიაყენა გლობალურ ეკონომიკას და კიდევ უფრო გამოკვეთა სოციალური და გარემოსდაცვითი თემების მნიშვნელობა. საჭიროა, ყველამ გააცნობიეროს მდგრადობასთან დაკავშირებული გამოწვევები და რისკები და უფრო აქტიურად ვიმუშაოთ მდგრადი განვითარებისთვის. ამასთან, მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად მხოლოდ საჯარო სექტორის მონაწილეობა და სახსრები არ კმარა. მდგრადი პროექტების დაფინანსებაში აქტიურად უნდა ჩაერთოს კერძო სექტორიც. ფინანსური სექტორის ჩართულობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ამიტომ, ეროვნული ბანკი მომავალშიც განაგრძობს მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარებას და ამ გზით მდგრად განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანას.

**sustainable finance and what impact did COVID-19 have on this process?**

Sustainable finance is still a relatively new topic for Georgia. Practice shows that at this stage, financial institutions are at different levels of development in terms of sustainable finance. For some, all this is relatively new, but we also have financial institutions with years of experience in the ESG field. It is evidenced by the preliminary results of the 2021 ESG Reporting and Disclosure, which is now available to the public through the NBG's website.

ORGANIC PRODUCTION AND ECO-INNOVATIONS ARE THE LEADING DIRECTIONS OF UDABNO. HEALTHY PRODUCTS, ZERO WASTE PRODUCTION AND LOWER IMPACT ON THE ENVIRONMENT – THESE ARE PART OF THE CORPORATE CONCEPT, WHICH COMPANY DIRECTOR **GODERDZI METREVELI** DISCUSSED WITH US.

**WE STUDIED THE PRINCIPLES OF COST-EFFECTIVE IRRIGATION SYSTEMS, CORRECT AND PROPER NUTRITION MANAGEMENT, ZERO PREPARATION METHOD, WHICH INVOLVES THE FIGHT AGAINST GEOLOGICAL PROCESS AND PREVENTS EROSION. THIS KNOWLEDGE WAS INTRODUCED BIT BY BIT INTO OUR ACTIVITIES.**





*შევისწავლეთ ეკონომიური საირიგაციო სისტემების პრინციპები, ზუსტი და სწორი კვების მენეჯმენტი, Zero preparation მეთოდი, რაც გულისხმობს გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლას და ხელს უშლის ეროზიას. ეს ცოდნა ეტაპობრივად შემოგვქონდა ჩვენს საქმიანობაში.*



**„უდაბნო“ „აჭარა ჯგუფის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია, რომელმაც, არცთუ დიდი ხნის არსებობის მიუხედავად, მოახერხა აგრობიზნესში თავის დამკვიდრება. რამ განაპირობა პროექტის წარმატება და რა როლი ჰქონდა მასში ეკოინოვაციას?**

საწყის ეტაპზე, როცა ამ სფეროში საქმიანობას ვგეგმავდით, ეკოინოვაციის მიმართულების განვითარებაზე არ გვიფიქრია. ეს ყველაფერი ჩვენს პროექტებში ნელ-ნელა, ეტაპობრივად შემოვიდა. თავდაპირველად ვცდილობდით, გავცნობოდით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოქმედი წამყვანი აგრობიზნესკომპანიების გამოცდილებას. ამერიკის ლიდერი კომპანიებისგან შევისწავლეთ თანამედროვე ტექნოლოგიები. მათ შორის, ნუშის უმსხვილესი კალიფორნიელი მწარმოებლის, Blue Diamond-ის მუშაობის პროცესი და განვითარება. გავეცანით მათ მიდგომას ბიოპროდუქციის მიმართ, სხვადასხვა მეთოდიკას – გარემოსთვის ნაკლები ზიანის თვალსაზრისით. შევისწავლეთ ეკონომიური საირიგაციო სისტემების პრინციპები, ზუსტი და სწორი კვების მენეჯმენტი, Zero preparation მეთოდი, რაც გულისხმობს გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლას და ხელს უშლის ეროზიას. ეს ცოდნა ეტაპობრივად შემოგვქონდა ჩვენს საქმიანობაში. პროექტის წარმატებას ესეც დაეხმარა. სხვათა შორის, იმ ტექნოლოგიების დანერგვას, რაც 2016 წელს გამოვიყენეთ, ახლა იწყებს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO).

**უფრო კონკრეტულად გვიამბეთ – რა სახის ეკოინოვაციური მეთოდები დაინერგა კომპანიაში და რას გეგმავთ სამომავლოდ? როგორ იმოქმედებს მსგავსი**

**Udabno is one of the very significant projects of Adjara Group, which, despite its short existence, has managed to secure for itself a place in the agricultural business. What contributed to the success of the project and what role did eco-innovation play in it?**

Initially, when we were designing activities in this field, we didn't think of eco-innovation. All of this has been introduced into our projects slowly and gradually. At first, we tried to learn from the expertise of leading agricultural business corporations around the world. We studied modern technologies from leading American companies. The operation processes and development of Blue Diamond, the biggest Californian manufacturer of almonds, was among them. We familiarized ourselves with their approach to organic production and their various strategies in terms of less impact on the environment. We studied the principles of cost-effective irrigation systems, correct and proper nutrition management, zero preparation method, which involves the fight against geological process and prevents erosion. This knowledge was introduced bit by bit into our activities. This also helped



*კომპანია „უდაბნო“ ეკოინოვაციების მიმართულებით არაერთი პროექტის განხორციელებას აპირებს. ნაწილი ამჟამადაც მიმდინარეობს, ნაწილი - დაგეგმარების პროცესშია. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი - ნუშის ნაჭუჭისგან ბიომასის შექმნას უკავშირდება.*

**THE COMPANY UDABNO IS PLANNING TO IMPLEMENT MULTIPLE ECO-INNOVATIVE PROJECTS. SOME ARE ALREADY RUNNING, OTHERS ARE BEING PLANNED. ONE OF THE MOST IMPORTANT OF THEM IS THE FORMATION OF BIOMASS FROM THE ALMOND SHELL.**

**მიდგომა „უდაბნოს“ იმიჯსა და მდგრად განვითარებაზე?**

კომპანია „უდაბნო“ ეკოინოვაციების მიმართულებით არაერთი პროექტის განხორციელებას აპირებს. ნაწილი ამჟამადაც მიმდინარეობს, ნაწილი – დაგეგმარების პროცესშია. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი – ნუშის ნაჭუჭისგან ბიომასის შექმნას უკავშირდება.

ამ ტექნოლოგიის სარგებელი, პირველ რიგში, ისაა, რომ მივიღებთ განახლებად ენერგიას, რომელიც გაცილებით ეკოლოგიურია და წარმოებაში ჩაანაცვლებს დიზელის მოხმარებას; გარდა ამისა, მივიღებთ „ორგანიკა“ სასუქს, რომელსაც ჩვენსავე ბაღებში გამოვიყენებთ და დაეხმარება ნიადაგის გაკეთილშობილებას.

the success of the project. Incidentally, the introduction of technologies we utilized in 2016 is currently set up by the UN Food and Agriculture Organization (FAO).

**Could you tell us more specifically what kind of eco-innovative methods have been introduced and what are the plans? How does such an approach impact the Udabno image and its sustainable development?**

The company Udabno is planning to implement multiple eco-innovative projects. Some are already running, others are being planned. One of the most important of them is the formation of biomass from the almond shell.

This technology contributes to increased sources of renewable energy. It is more environmentally friendly and will replace diesel consumption in production; we also receive 'organic' fertilizer, which we will use in our gardens, helping to improve the soil quality. Finally, from the same biomass we make food for cattle. This kind of approach will certainly benefit the future of the company.



*NOWADAYS, ANY AVERAGE FARMER CAN TURN THEIR WASTE INTO FUEL, BUT THIS IS NOT PRACTICED IN GEORGIA. WE MOSTLY POLLUTE THE ENVIRONMENT. WITH THE HELP OF MULCH LAYERS IN GARDENS WE CAN REDUCE THE USE OF HERBICIDES, CAPILLARY EVAPORATION, CONSEQUENTLY THE SOIL HEALTH WOULD SIGNIFICANTLY IMPROVE, A HUMUS WOULD BE FORMED, AND CROPS WOULD DEVELOP BETTER. ALL THIS REQUIRES KNOWLEDGE AND INFORMATION. THE MAIN TASK OF THE PARTIES INVOLVED IN THIS FIELD IS TO PROVIDE AND RECEIVE ADEQUATE KNOWLEDGE.*



*დღესდღეობით ნებისმიერ საშუალო ფერმერს შეუძლია საკუთარი ნარჩენებით საწვავის დამზადება, რასაც საქართველოში არავინ მიმართავს. უმეტესად, მხოლოდ გარემოს ვაბინძურებთ. ბაღებში მულჩის ფენის დახმარებით შევამცირებთ ჰერბიციდის გამოყენებას, კაპილარულ აორთქლებას, ნიადაგი საგრძნობლად გაკეთილშობილდება, შეიქმნება ნეშომპალა და ნარგავები უფრო მეტად განვითარდება. ამ ყველაფერს შესაბამისი ცოდნა, ინფორმაცია სჭირდება. სწორედ ადეკვატური ცოდნის მიწოდება-მიღებაა ამ სფეროში ჩართული მხარეების მთავარი ამოცანა.*

და ბოლოს: ამავე ბიომასისგან დავამზადებთ საკვებს მსხვილ და წვრილფეხა ცხოველებისთვის. რასაკვირველია, მსგავსი მიდგომა კომპანიის მომავალზე სასიკეთოდ აისახება.

**რომელიმე უცხოური კომპანიის გამოცდილება თუ გაიზიარეთ და რამდენად შეიძლება თქვენი საქმიანობა გახდეს სტიმული სხვა მსხვილი კომპანიებისთვის – დანერგონ ეკოეფექტური და ორგანული მეთოდები სუფთა და ჯანსაღი პროდუქტების მისაღებად და გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებისთვის?**

კონკრეტულად ერთ რომელიმე კომპანიას ვერ დავასახელებთ – არაერთ პროფესიონალთან ვითანამშრომლეთ, რამაც არსებული შედეგი განაპირობა. ეკოეფექტური წარმოება ბევრისთვისაა ხელმისაწვდომი, მთავარია – სურვილი და ცოდნა. სოფლის მეურნეობაში მომუშავე ნებისმიერ კომპანიას, იმის მიუხედავად, დიდია თუ პატარა, იმდენი ნარჩენი აქვს, თავისუფლად შეუძლია ამ პროცესში მონაწილეობა: იქნება ეს ბიოგაზის წარმოება, მულჩისა და ანასხლავი ტოტებისგან საწვავის შექმნა თუ პალეტების გარდაქმნა მყარ საწვავად, რაც ეფექტურად გამოიყენება როგორც სასათბურე მეურნეობის კლიმატის კონტროლისთვის, ასევე საავარაკე სახლების გასათბობად.

**წარმატებული კერძო კომპანია სახელმწიფოს საიმედო საყრდენია. რაც მეტია მათი რიცხვი, მით უფრო ძლიერია ქვეყნის ეკონომიკა და მოსახლეობის ცხოვრების დონეც იზრდება. როგორია სახელმწიფოს როლი**

**Have you shared the experience of any foreign company and do you believe your activities might be a motivator to other companies to implement eco-friendly and organic methods to get healthy and clean products and to reduce damage to the environment?**

We cannot name any company - we have co-operated with several professionals, resulting in current outcomes. Many have access to eco-efficient production, but having the desire and knowledge is what matters. Any agricultural company, regardless of its size, has enough waste to participate in the process, be it biogas production, fuel generation from mulch and pruned branches, or the conversion of pallets into combustible solid, which is effectively used for either greenhouse climate control or for heating cottage houses.

**A successful private company is a firm foothold for the state. The higher their number, the stronger the state economics and the standard of living of the population. What is the role of the state in introducing and supporting eco-innovation? What kind**

**ეკოინოვაციების დანერგვისა და ხელშეწყობის მიმართულებით? რა სახის დახმარება და თანადგომა სჭირდება კერძო ბიზნესს ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში, რატომ არის მნიშვნელოვანი ამ ყველაფრის წახალისება?**

თუ ვამბობთ, რომ ეკოინოვაციების დანერგვა ძალიან მნიშვნელოვანია, იმაზეც უნდა შევთანხმდეთ, რომ ამ თემის წახალისება, საზოგადოებისთვის მისი არსის უკეთ ახსნა და არსებული მიდგომების შესწავლაც არანკლებ მნიშვნელოვანია.

ეკოინოვაციების დანერგვაში ძალიან კარგი გამოცდილება აქვს დანიას, გერმანიას, ავსტრიას. დღესდღეობით ამ თვალსაზრისით თურქეთიც საკმაოდ აქტიურია. საინტერესო იქნება მათი წარმომადგენლების ჩართულობა, ჩამოყვანა საქართველოში, მეტი ცოდნის მოწოდება, ტრენინგების გამართვა. ზოგადად, სოფლის მეურნეობაში კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა და ახალგაზრდების ინტერესიც დაბალია, ამიტომ ბევრ საგანმანათლებლო ღონისძიებას ვისურვებდით ამ მიმართულებით, სადაც ჩვენც სიამოვნებით მივიღებთ მონაწილეობას.

დღესდღეობით ნებისმიერ საშუალო ფერმერს შეუძლია საკუთარი ნარჩენებით საწვავის დამზადება, რასაც საქართველოში არავინ მიმართავს. უმეტესად, მხოლოდ გარემოს ვაბინძურებთ. ბაღებში მულჩის ფენის დახმარებით შევამცირებთ ჰერბიციდის გამოყენებას, კაპილარულ აორთქლებას, ნიადაგი საგრძნობლად გაკეთილშობილდება, შეიქმნება ნეშომპალა და ნარგავები უფრო მეტად განვითარდება. ამ ყველაფერს შესაბამისი ცოდნა, ინფორმაცია სჭირდება. სწორედ ადეკვატური ცოდნის მიწოდება-მიღებაა ამ სფეროში ჩართული მხარეების მთავარი ამოცანა.

**რამდენადაც ვიცი, ორგანული წარმოება თქვენი საქმიანობის ამოსავალია – არ იყენებთ პესტიციდებს და ყველანაირად აკმაყოფილებთ ევროპულ სტანდარტს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ძირითადად „აჭარა ჯგუფის“ გასტრონომიულ ობიექტებს ამარაგებთ, თუ გეგმავთ თქვენი პროდუქციის გატანას ქვეყნის გარეთ – ახალი ბაზრების მოძიებას და საქმიანობის გაფართოებას?**

ევროპული სტანდარტი პესტიციდებისა და ჰერბიციდების სრულად ამოღებას არ ითვალისწინებს. არსებობს დასაშვები ნორმები და სწორედ ამ ნორმების დაცვაა მნიშვნე-ლოვანი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მრავალწლიან კულტურებში დასაშვებზე ბევრად დაბალ პროცენტს ვიყენებთ, ერთწლიანი კულტურებისა და მევენახეობიდან კი ყველანაირი ქიმიური ნივთიერება გვაქვს ამოღებული და მთლიანად ნატურალურ, უსასუქო ბიოპროდუქტს ვქმნით.

ბიოპროდუქცია ჩვენი კომპანიის პრიორიტეტია და ვაპირებთ, კიდევ უფრო დავიხვეწოთ ამ მიმართულებით. ამასთან, რაც უფრო გაიზრდება მოთხოვნა ეკო და ბიოპროდუქტზე, მით მეტად გავზრდით წარმოებასაც. ეს სასარგებლო იქნება ყველასათვის: ბაზარსაც გააჯერებს და ჩვენს განვითარებასაც წაადგება.

**ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის – „ევროკავშირი გარემოსთვის“ (EU4Environment) ფარგლებში გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა ახორციელებენ პროექტს, რომელიც ითვალისწინებს ეკოინოვაციური მიდგომების პოპულარიზაციას საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოებში. კონკურსის შედეგად შერჩეულ კომპანიებს შორის არის „უდაბნო“. რატომ გადაწყვიტეთ ამ პროექტში ჩართვა და რითაა თქვენთვის მნიშვნელოვანი ეკოინოვაციური მეთოდოლოგიის დანერგვა?**

როგორც აღვნიშნე, ეკოინოვაციები კომპანია „უდაბნოსთვის“ ძალზე მნიშვნელოვანია. გვინდა, ყველაფერი გავიგოთ მის შესახებ – შევისწავლოთ ახალი მიდგომები, თანამედროვე მეთოდიკა. ჩვენი მიზანია, მსოფლიოს არცერთ წამყვან კომპანიას არ ჩამოვუვარდებო-დეთ ამ თვალსაზრისით. შემდეგ უკვე ამ ცოდნას სხვა კომპანიებს გავუზიარებთ და ერთად შევუწ-ყობთ ხელს ბიზნესისა და გარემოს განვითარებას, რათა ეს ყველაფერი ჰარმონიულად თანაარსებობდეს და არცერთი არ დაზიანდეს.

**of help does private business need in this very important field, why is it necessary to encourage them?**

If we claim that introducing eco-innovations is highly significant, we should also agree that promoting this issue, better communicating it to the public and studying existing approaches are no less significant.

Denmark, Germany and Austria have significant experience in introducing eco-innovations. Turkey is also rather active in this regard. Engaging their representatives, bringing them to Georgia, receiving more knowledge from them and holding trainings would be rather interesting. Broadly speaking, there is a lack of professionals in the agricultural field, and the younger generations are not interested either, consequently, we would like to see many educational events in which we would gladly take part too.

Nowadays, any average farmer can turn their waste into fuel, but this is not practiced in Georgia. We mostly pollute the environment. With the help of mulch layers in gardens we can reduce the use of herbicides, capillary evaporation, consequently the soil health would significantly improve, a humus would be formed, and crops would develop better. All this requires knowledge and information. The main task of the parties involved in this field is to provide and receive adequate knowledge.






*ერთწლიანი კულტურებისა და მევენახეობიდან კი ყველანაირი ქიმიური ნივთიერება გვაქვს ამოღებული და მთლიანად ნატურალურ, უსასუქო ბიოპროდუქტს ვქმნით.*

**As I am aware, organic production is the starting point for your business - you do not use pesticides and fully comply with European standards. Despite this, you still mainly supply Adjara Group gastronomic facilities, are you planning to export your products, seek new markets and expand your business?**

European standards do not require the complete removal of pesticides and herbicides. There are permissible levels, and it is important to adhere to them. However, it should be noted that in perennial crops we use a much lower percentage than allowed, as for annual crops and viticulture we remove all chemicals and create a completely natural, unfertilized organic product.

Organic products are our priority, and we are planning to further refine our progress in this field. In addition, the higher the demand on eco and organic products, the more we will increase production. This will benefit all: the market will be enriched, and the company will develop further.

**Within the framework of the EU-funded programme - EU4Environment, the Global Compact Network Georgia and the UN Environment Program are implementing a project aiming to promote eco-innovative approaches in SMEs. Udabno is among the companies selected through the competition. Why did you decide to participate in this project and why is it important for you to introduce an eco-innovative methodology?**

As I mentioned, eco-innovations are very important to Udabno. We want to learn everything about it - to study new approaches and modern methodologies. Our goal is not to fall behind any leading global company in this regard. Then we will share this knowledge with other companies and together we will contribute to the development of the business and the environment, so that they can coexist harmoniously and neither of them be damaged.

# ჯანსაღი ცხოვრების მწვანე ძალა

# THE GREEN FORCE OF A HEALTHY LIFESTYLE



კომპანია Grassy იმ იშვიათ გამონაკლისთაგანია, რომელიც თავისი ვიზუალითა და კონცეფციით სრულად ამართლებს „მწვანე პროდუქტის“ სახელწოდებას - ხასხასა მწვანე ჯეჯილის წვენის კუბები ეკოლოგიურად სუფთა ქართული ხორბლისგან მზადდება.

ორგანიზმზე მათი დადებითი ზეგავლენა მალევე შეაფასა მომხმარებელმა. მიუხედავად იმისა, რომ Grassy-ის დაარსებიდან არც ისე დიდი დრო გავიდა, ჯეჯილის წვენის ჯანსაღი და სასარგებლო სასმელით ბევრი ადამიანის დილა იწყება. ცოტა ხნის წინ „სუპერფუდების“ სიას სხვა პროდუქტები შეემატა - განვითარებასთან ერთად, ცდილობენ ასორტიმენტის გაფართოებასაც. Grassy-ის კონცეფციას, საქმიანობასა და მიზნებს კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, **ირინა გაფრინდაშვილი** გაგვაცნობს.

GRASSY IS A RARE FIND OF A COMPANY WHICH FULLY JUSTIFIES THE TITLE OF "GREEN PRODUCT" WITH BOTH ITS VISUAL AND CONCEPTUAL CHARACTERISTICS - BRIGHT GREEN WHEATGRASS JUICE FROZEN CUBES ARE MADE FROM ECOLOGICALLY CLEAN GEORGIAN WHEAT.

GRASSY'S POSITIVE IMPACT ON THE BODY HAS ALREADY BEEN CONFIRMED BY CONSUMERS. ALTHOUGH NOT MUCH TIME HAS PASSED SINCE THE FOUNDING OF GRASSY, MANY PEOPLE ARE STARTING THEIR MORNINGS WITH A HEALTHY AND WHOLESOME DRINK OF WHEATGRASS JUICE. RECENTLY, OTHER PRODUCTS HAVE BEEN ADDED TO THE LIST OF "SUPERFOODS" - ALONG WITH THE DEVELOPMENT, GRASSY IS TRYING TO EXPAND THE SELECTION, TOO. ONE OF THE FOUNDERS OF THE COMPANY, **IRINA GAPRINDASHVILI**, TOLD US MORE ABOUT THE CONCEPT, ACTIVITIES AND GOALS OF GRASSY.

**FROM THE DAY OF ITS FOUNDING, OUR MAIN TASK WAS TO CREATE A COMPANY WHOSE VALUES WERE DETERMINED BY HEALTH AND GREEN IDEAS. WE HAVE ADAPTED THIS APPROACH TO THE PRODUCT ITSELF, AS WELL AS TO THE COMPANY ACTIVITIES.**





*დაარსების დღიდან ჩვენი მთავარი ამოცანა იყო შეგვექმნა კომპანია, რომლის ღირებულებები სიჯანსაღით და სიმწვანით განისაზღვრებოდა. ეს მიდგომა მოვარგეთ როგორც თავად პროდუქტს, ასევე, კომპანიის საქმიანობას.*

**Grassy-ის კონცეფცია მთლიანად ეკოლოგიურად სუფთა და ჯანსაღი პროდუქტის მოხმარებას ეფუძნება, რომელიც არც გარემოს აბინძურებს და ამასთან, ძალზე სასარგებლოცაა. კიდევ რა განაპირობებს თქვენი კომპანიის „მწვანე“ იმიჯს?**

დაარსების დღიდან ჩვენი მთავარი ამოცანა იყო შეგვექმნა კომპანია, რომლის ღირებულებები სიჯანსაღით და სიმწვანით განისაზღვრებოდა. ეს მიდგომა მოვარგეთ როგორც თავად პროდუქტს, ასევე, კომპანიის საქმიანობას. ჯეჯილის წვენი მიეკუთვნება „სუპერფუდის“ კატეგორიას, წარმოადგენს ძლიერ ანტიოქსიდანტს, შეიცავს უამრავ მინერალსა და ვიტამინს, რაც ხელს უწყობს ორგანიზმის სიძლიერეს და ჯანმრთელობას. მაქსიმალურად სასარგებლო შედეგის მისაღებად ბევრი ვიფიქრეთ კომპანიის კონცეფციაზე. პირველ რიგში, მიზნად დავისახეთ ბიონედლეულის გამოყენება. დავუკავშირდით საქართველოში არსებულ მცირერიცხოვან ფერმერებს, რომელთაც ბიოხორბალი მოჰყავთ და ხორბლის თესლი ჯეჯილის წვენისთვის მათგან შევიძინეთ. წარმოება წვეთოვანი მორწყვის სისტემის გამოყენებით – ვერტიკალურ სასათბურე სივრცეში ავაწყვეთ, რაც წყლის დანახარჯს მნიშვნელოვნად ამცირებს. წარმოების პროცესში არ ვიყენებთ არანაირ შესაწამლ საშუალებას, ჰერბიციდებს, პესტიციდებს ან ინსექტიციდებს. ნედლეულის გადამუშავება მაქსიმალურად ბუნებრივად ხდება. მიღებულ წვენს თერმულად არ ვამუშავებთ, რაც პროდუქტს ყველა სასარგებლო თვისებას უნარჩუნებს.

**The concept of Grassy is based entirely on the consumption of ecologically clean and healthy products which do not pollute the environment and are also beneficial for health. What else determines the "green" image of your company?**

From the day of its founding, our main task was to create a company whose values were determined by health and green ideas. We have adapted this approach to the product itself, as well as to the company activities. Wheatgrass juice belongs to the "superfood" category, it is a powerful antioxidant, contains a lot of minerals and vitamins, contributing to overall strength and health. To get the most useful result we thought a lot about the company concept. First, we aimed to use organic raw materials. We contacted a small number of farmers in Georgia who grow organic wheat and bought wheat seeds for wheatgrass juice from them. Using a drip irrigation system, we have assembled a vertical greenhouse space, which significantly reduces water consumption. We do not use any fumes, herbicides, pesticides or insecticides in the production process. Raw materials are processed as naturally as possible. The obtained juice is not thermally processed, which retains all the useful properties of the product.

**It is important that the production of wheatgrass juice is, in fact, without waste. What is its preparation cycle and to what extent does it contribute to sustainable production?**

To get wheatgrass juice you need a 7-10 day old wheat germ, which you grow in special cassettes using the soil. Initially, we had to choose between several methods to manage the production. One of them was hydroponics: when a plant is grown without soil and just using water. Although water resources are significantly reduced in this case and the saplings develop faster, we abandoned this method. Hydroponics required additives, such as fertilizer for the full development of the plant, which was contrary to our approach. We decided to grow wheatgrass in the soil and chose the so-called hybrid model using a drip system that significantly reduces water consumption. In addition, we have created a special corner where the soil, seeds and root system left after cutting the grown

**მნიშვნელოვანია, რომ ჯეჯილის წვენის დამზადება, ფაქტობრივად, ნარჩენების გარეშე მიმდინარეობს. როგორია მისი მომზადების ციკლი და რამდენად უწყობს ხელს მდგრად წარმოებას?**

ჯეჯილის წვენის მისაღებად საჭიროა ხორბლის 7-10 დღის აღმონაცენი, რომელსაც სპეციალურ კასეტებში ნიადაგის გამოყენებით ვზრდით. საწყის ეტაპზე წარმოების პროცესის გასამართად რამდენიმე მეთოდს შორის მოგვიწია არჩევანი. ერთ-ერთი იყო ჰიდროფონიკა: როდესაც მცენარე იზრდება ნიადაგის გარეშე – წყლის გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში, წყლის რესურსი საგრძნობლად მცირდება და აღმონაცენიც უფრო სწრაფად ვითარდება, ამ მეთოდზე უარი ვთქვით. ჰიდროფონიკით მცენარის სრულფასოვნად განვითარებისთვის საჭირო იყო დანამატები სასუქის სახით, რაც ჩვენს მიდგომებს ეწინააღმდეგებოდა. გადავწყვიტეთ, ჯეჯილი ნიადაგზე მოგვეყვანა და შევარჩიეთ ე.წ. ჰიბრიდული მოდელი წვეთოვანი სისტემის გამოყენებით, რომელიც წყლის დანახარჯს მნიშვნელოვნად ამცირებს. გარდა ამისა, შევქმენით სპეციალური კუთხე, სადაც გაზრდილი ჯეჯილის მოჭრის შემდეგ დარჩენილი ნიადაგის, თესლისა და ფესვთა სისტემის კომპოსტირება ხდება. Grassy-ს დაარსებიდან დაახლოებით ოთხ თვეში კომპოსტის რეცირკულაცია და ხელმეორედ ნიადაგად გამოყენება შევძელით. შედეგად, ნედლეულის მოყვანისას ნარჩენი თითქმის არ წარმოიქმნება.

წვენის მიღებისა და გადამუშავების პროცესში ჯეჯილის ბოჭკო რჩება. მის ხელმეორედ გამოყენებაზეც ბევრი ვიფიქრეთ. მოვიძიეთ საქართველოში არსებული ორგანიზაცია – „Apnsc კავშირი ადამიანებისათვის, განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ“, რომელიც მეორადი მაკულატურისგან ამზადებს სპეციალურ ქაღალდს სხვადასხვა დანიშნულებით. ჯეჯილის დაწურვის შედეგად მიღებული ნარჩენი საინტერესო დანამატია მათთვის, რადგან შეიცავს ბოჭკოს და მწვანე ფერის პიგმენტს.

*პირველ რიგში, მიზნად დავისახეთ ბიონედლეულის გამოყენება. დავუკავშირდით საქართველოში არსებულ მცირერიცხოვან ფერმერებს, რომელთაც ბიოხორბალი მოჰყავთ და ხორბლის თესლი ჯეჯილის წვენისთვის მათგან შევიძინეთ. წარმოება წვეთოვანი მორწყვის სისტემის გამოყენებით – ვერტიკალურ სასათბურე სივრცეში ავაწყვეთ, რაც წყლის დანახარჯს მნიშვნელოვნად ამცირებს.*

**FIRST, WE AIMED TO USE ORGANIC RAW MATERIALS. WE CONTACTED A SMALL NUMBER OF FARMERS IN GEORGIA WHO GROW ORGANIC WHEAT AND BOUGHT WHEAT SEEDS FOR WHEATGRASS JUICE FROM THEM. USING A DRIP IRRIGATION SYSTEM, WE HAVE ASSEMBLED A VERTICAL GREENHOUSE SPACE, WHICH SIGNIFICANTLY REDUCES WATER CONSUMPTION.**

wheatgrass are composted. About four months after Grassy was founded, we were able to recycle compost and reuse it as soil. As a result, almost no waste is generated for raw material cultivation.

Wheatgrass fiber remains in the process of producing and processing the juice. We also thought a lot about reusing it. We found an organization in Georgia – Association for People in Need of Special Care (APNSC) – which produces a special paper from recycled waste paper for various purposes. The residue obtained from crushing the wheatgrass is an interesting additive for them as it contains fiber and green pigment.

Since its inception, the main goal of Grassy is to create and maintain a sustainable production process, to which we give great consideration in our activities.

**In July, your startup was engaged in a regional event organized by the Global Compact Network Georgia on the green economy and policy challenges. Small and medium enterprises from Eastern European countries also participated.**





*წვენის მიღებისა და გადამუშავების პროცესში ჯეჯილის ბოჭკო რჩება. მის ხელმეორედ გამოყენებაზეც ბევრი ვიფიქრეთ. მოვიძიეთ საქართველოში არსებული ორგანიზაცია – **„Apnsc კავშირი ადამიანებისათვის, განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ“**, რომელიც მეორადი მაკულატურისგან ამზადებს სპეციალურ ქაღალდს სხვადასხვა დანიშნულებით. ჯეჯილის დაწურვის შედეგად მიღებული ნარჩენი საინტერესო დანამატია მათთვის, რადგან შეიცავს ბოჭკოს და მწვანე ფერის პიგმენტს.*

დაარსების დღიდან კომპანია Grassy-ს მთავარი მიზანი მდგრადი საწარმოო პროცესის შექმნა და შენარჩუნებაა, რასაც ჩვენს საქმიანობაში მაქსიმალურად ვითვალისწინებთ.

**ივლისში თქვენმა სტარტაპმა მონაწილეობა მიიღო გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის მიერ ორგანიზებულ რეგიონულ ღონისძიებაში, რომელიც ეხებოდა მწვანე ეკონომიკისა და პოლიტიკის გამოწვევებს. მასში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მცირე და საშუალო საწარმოებიც მონაწილეობდნენ. რით იყო საინტერესო Grassy-სთვის ეს ღონისძიება და რა გამოცდილება მიიღეთ პროფესიული თვალსაზრისით?**

Grassy-სთვის ეს ღონისძიება ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა: გავიცანით კომპანიები, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ნერგავენ მდგრად მიდგომებს. ჩვენთვის, როგორც ახალგაზრდა და შედარებით მცირე კომპანიისთვის, მნიშვნელოვანი იყო გვენახა, რას საქმიანობენ ეს საწარმოები, რა საშუალებები აქვთ თავიანთი გეგმების განსახორციელებლად

**WHEATGRASS FIBER REMAINS IN THE PROCESS OF PRODUCING AND PROCESSING THE JUICE. WE ALSO THOUGHT A LOT ABOUT REUSING IT. WE FOUND AN ORGANIZATION IN GEORGIA – ASSOCIATION FOR PEOPLE IN NEED OF SPECIAL CARE (APNSC) – WHICH PRODUCES A SPECIAL PAPER FROM RECYCLED WASTE PAPER FOR VARIOUS PURPOSES. THE RESIDUE OBTAINED FROM CRUSHING THE WHEATGRASS IS AN INTERESTING ADDITIVE FOR THEM AS IT CONTAINS FIBER AND GREEN PIGMENT.**

*გადავწყვიტეთ, მხოლოდ გაყინული ჯეჯილის წვენით არ შემოვიფარგლოთ და ვიპოვოთ „სუპერფუდის“ კატეგორიის ისეთი ხილი თუ ბოსტნეული, რომელსაც ადგილობრივ ბაზარს გაყინული კუბების სახით მივაწვდით. ამ ეტაპზე ასორტიმენტში რამდენიმე სიახლე გვაქვს, რომელიც გემოვნური თვისებებით ძალიან კარგად ეხამება ჯეჯილს და კიდევ უფრო აძლიერებს მის ზემოქმედებას.*



და რამდენად მრავალფეროვანია სხვადასხვა სფეროში არსებულ კომპანიათა მიდგომები. გავეცანით მათ პოლიტიკას არა მხოლოდ გარემოზე ზრუნვის, არამედ, თანამშრომლებთან მიმართებაშიც. მსგავსი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებით კიდევ უფრო იზრდება მოტივაცია, ჩავერთოთ მდგრადი განვითარების მიდგომების გაფართოებაში.

**რამდენად მომგებიანია არსებულ რეალობაში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება მცირე ბიზნესისთვის? მსხვილ კომპანიებთან კონკურენციის რა მექანიზმები არსებობს? რა ვითარებაა ამ მხრივ „სუპერფუდების“ ბაზარზე და როგორია თქვენი სტრატეგია თავის დამკვიდრებისათვის?**

სამწუხაროდ, საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ყველასთვის იყოს ხელმისაწვდომი. შესაბამისად, არც ისე ბევრი კომპანია საქმიანობს ამ მიმართულებით.

Grassy-ს განსაკუთრებული ნიშა აქვს, რაც გულისხმობს „სუპერფუდის“ ცოცხალი სახით მიწოდებას მომხმარებლისთვის. ბაზარზე არსებული ძირითადი კონკურენტები მსგავს პროდუქტს გადამუშავებულს, გამომშრალს გვთავაზობენ. რა თქმა უნდა, ცივად დაწურულ, შოკურად გაყინულ წვენთან შედარებით, გამომშრალი პროდუქტი ბევრ სასარგებლო თვისებას კარგავს. ჩვენი კომპანია ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებელს, რატომ არის ასეთი სასარგებლო ჯეჯილის წვენი და რატომ უნდა მიიღონ ჩვენ მიერ შეთავაზებული ფორმით. ამ სტრატეგიის დახმარებით მოკლე დროში შევძელით, ქართულ ბაზარზე შეგვეძინა ლოიალური მომხმარებელი, რომელსაც უყვარს და აფასებს Grassy-ს პროდუქციას.

**როგორია სახელმწიფოს როლი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის საქმეში – ვგულისხმობ მწვანე ეკონომიკის მიმართულებით მომუშავე კომპანიებს, რომლებიც მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგანან – შეინარჩუნონ და განავითარონ ეკოწარმოება. რა სირთულეებს აწყდებით ამ კუთხით?**

სახელმწიფოს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისთვის არაერთი პროგრამა აქვს: იქნება ეს მცირე გრანტები, „აწარმოე საქართველოში“ თუ კიდევ სხვა რამ. ამ ეტაპზე ჩვენ, როგორც მწვანე ბიზნესი, მსგავსი პროგრამებით არ ვსარგებლობთ. მაქსიმალურად ვცდილობთ, ჩვენი ოპერაციები მათ მოთხოვნებს მოვარგოთ, თუმცა ჯერჯერობით, მწვანე საქმიანობის მიმართულებით სახელმწიფო ბევრ წამახალისებელ ღონისძიებას ვერ გვთავაზობს.

**როგორია თქვენი სამომავლო გეგმები – ფიქრობთ თუ არა რაიმე სახის ეკოინოვაციის დანერგვას წარმოებაში და რა სიახლეების შეთავაზებას აპირებთ მომხმარებლისთვის?**

ბიზნესის განვითარებაზე მუდმივად ვფიქრობთ. ვფიქრობთ მომხმარებლისთვის სიახლეების შეთავაზებაზეც. გადავწყვიტეთ, მხოლოდ გაყინული ჯეჯილის წვენით არ შემოვიფარგლოთ და ვიპოვოთ „სუპერფუდის“ კატეგორიის ისეთი ხილი თუ ბოსტნეული, რომელსაც ადგილობრივ ბაზარს გაყინული კუბების სახით მივაწვდით. ამ ეტაპზე ასორტიმენტში რამდენიმე სიახლე გვაქვს, რომელიც გემოვნური თვისებებით ძალიან კარგად ეხამება ჯეჯილს და კიდევ უფრო აძლიერებს მის ზემოქმედებას. ასეთია ლიმონი და ჯანჯაფილი, სხვადასხვა სეზონური კენკრა, ნიახურის ღერო და კიტრი. ასორტიმენტის გაფართოებით ადამიანებს უჩნდებათ უფრო დიდი არჩევანი და შესაძლებლობა, ყოველდღიურობა სხვადასხვა ვიტამინითა თუ მინერალით გაიმდიდრონ. შესაბამისად, გახდნენ უფრო ჯანსაღნი. დღესდღეობით Grassy-სთვის ეს ყველაზე მნიშვნელოვანია.

**What was interesting for Grassy and what experience did you get from a professional point of view?**

For Grassy this event turned out to be very interesting and significant: we got to know companies that are implementing sustainable approaches. For us, a young and relatively small company, it was important to see what these enterprises do, what means they possess to carry out their plans, and how diverse the approaches of companies in different fields are. We got to learn about their policy not just towards caring for the environment, but also towards employees. Sharing similar experiences and knowledge further increases the motivation to engage in expanding sustainable development approaches.

**How profitable is it to produce ecologically clean products for small businesses in the current reality? What are the mechanisms of competition with large companies? What is the market of "superfoods" like in this regard and what is your strategy for further establishing your brand?**

Unfortunately, the economic state in Georgia does not allow ecologically clean products to be available to everyone. Consequently, not many companies work in this direction. Grassy has a special niche, which means delivering fresh "superfood" to customers. The main competitors in the market offer similar products in processed or dried form. Of course, compared to cold pressed shock frozen juice, the dried product loses many useful properties. Our company tries to provide customers with as much information as possible on why wheatgrass juice is so useful and why they should consume it in the form offered by us. With the help of this strategy, we were able to gain loyal customers on the Georgian market in a short period of time, who love and appreciate Grassy products.

**What is the role of the state in promoting small and medium businesses – that is companies working in the field of green economy, dealing with a significant challenge - to maintain and develop eco-production. What difficulties do you face in this regard?**

The state has several programs to support small and medium businesses be it small grants, Enterprise Georgia or something else. At this stage, we, as a green business, do not utilize similar programs. We try our best to adapt our operations to their requirements, however, so far, the state cannot offer many incentives for green activities.

**What are your plans - do you plan to introduce any kind of eco-innovation in production and what novelties are you going to offer to customers?**

We are constantly thinking about business development. We also think about offering innovations to customers. We decided not to limit ourselves to frozen wheatgrass juice and we are seeking "superfood" fruits or vegetables with which we will supply the local market as frozen cubes. At this point we have a few innovations in the assortment that match very well with the taste of wheatgrass and further enhances its impact. This includes lemon and ginger, various seasonal berries, celery sticks and cucumbers. By expanding the range, people have a greater choice and opportunity to enrich their daily life with different vitamins or minerals. Consequently, they can become healthier. This is most important for Grassy today.




**WE DECIDED NOT TO LIMIT OURSELVES TO FROZEN WHEATGRASS JUICE AND WE ARE SEEKING "SUPERFOOD" FRUITS OR VEGETABLES WITH WHICH WE WILL SUPPLY THE LOCAL MARKET AS FROZEN CUBES. AT THIS POINT WE HAVE A FEW INNOVATIONS IN THE ASSORTMENT THAT MATCH VERY WELL WITH THE TASTE OF WHEATGRASS AND FURTHER ENHANCES ITS IMPACT.**

# მწვანე ინოვაცია - ინოვაციის პოლიტიკა მწვანე ბიზნესისთვის



# GREEN INNOVATION

## INNOVATION POLICY FOR GREEN BUSINESSES

**სალომე ხაჩიაური-სოლტაუ**

*გარემოსდაცვის და ინოვაციების მიმართულების ხელმძღვანელი*

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი

თანამედროვე სამყაროში მწვანე ინოვაცია კერძო კომპანიების დიდ ინტერესს იწვევს, რადგან მათი მიზანია ბაზარზე ზრდა და კონკურენტებს შორის უპირატესობის მოპოვება. დიდი კომპანიებისგან უამრავ მაგალითს ვხედავთ, როდესაც ისინი მხარს უჭერენ მწვანე ტექნოლოგიებს, დაბალი ენერგიისა და ნარჩენების მინიმალური მოხმარების უზრუნველსაყოფად. დიდმა კორპორაციებმა ან მცირე და საშუალო საწარმოებმა დაიწყეს გარემოსდაცვითი პოლიტიკის ინტეგრირება საკუთარ ბიზნეს მოდელებში. ამ კომპანიებმა გააცნობიერეს სწორი გარემოსდაცვითი პოლიტიკის მნიშვნელობა, რაც მათ საშუალებას აძლევს, უზრუნველყონ საკუთარი წარმოების ხაზების მდგრადობის სტანდარტების შესაბამისად მოდერნიზება, ბიზნესის კეთების გარემოს-დაცვითი ასპექტების გათვალისწინებით. ამგვარი პოლიტიკა უპირატესობას ანიჭებს კომპანიებს, არა მხოლოდ გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, არამედ მომხმარებლების მოზიდვაშიც, რადგან ახალი მომხმა-რებლების დიდი ნაწილის მოთხოვნაა ისეთ პროდუქტზე, რომელიც გარემოზე ნაკლებ გავლენას ახდენს.

**Salome Khachiauri Soltau**

*Senior Manager, Eco-innovation and Sustainability*

Global Compact Network Georgia

IN THE MODERN WORLD, GREEN INNOVATION IS ATTRACTING MORE INTEREST FROM PRIVATE COMPANIES, BECAUSE THEY AIM FOR GROWTH ON THE MARKET AND HAVE A COMPETITIVE ADVANTAGE AMONG THEIR COMPETITORS. WE SEE A PLETHORA OF EXAMPLES OF BIG COMPANIES SUPPORTING GREEN TECHNOLOGIES TO ENSURE LOWER ENERGY AND MINIMAL WASTE CONSUMPTION. BIG CORPORATIONS OR SMALL AND MEDIUM-SIZED COMPANIES (SMES) HAVE STARTED INTEGRATING ENVIRONMENTAL POLICIES WITHIN THEIR BUSINESS MODELS. THESE COMPANIES HAVE REALIZED THE IMPORTANCE OF THE CORRECT ENVIRONMENTAL POLICIES THAT ENABLE THEM TO MODERNIZE THEIR PRODUCTION LINES ACCORDING TO SUSTAINABILITY STANDARDS, TAKING INTO CONSIDERATION THE ENVIRONMENTAL ASPECTS OF THEIR BUSINESS ACTIVITY. THIS KIND OF POLICY ENABLES COMPANIES TO HAVE AN ADVANTAGE NOT ONLY FROM AN ENVIRONMENTAL PERSPECTIVE BUT FROM ONE OF CUSTOMER ACQUISITION AS WELL AS CONSUMERS INCREASINGLY DESIRE PRODUCTS WHICH CAUSE LESS ENVIRONMENTAL IMPACT.





**GREEN BUSINESSES GAIN HIGHER MARKET TRACTION, HOWEVER, THE COST OF PRODUCTION OF ECO-FRIENDLY PRODUCTS REMAINS ONE OF THE MAIN OBSTACLES FOR FURTHER DEVELOPMENT OF THIS MARKET.**



*მწვანე ბიზნესს შეუძლია უფრო მყარი საბაზრო მდგომარეობის მოპოვება, თუმცა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ღირებულება კვლავ რჩება ამ ბაზრის შემდგომი განვითარებისათვის ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებად.*

### როგორ განვმარტავთ ინოვაციას და რატომაა ეს მნიშვნელოვანი მზარდი კომპანიებისთვის?

არაერთი მოწინავე კომპანიის ბიზნეს ლიდერები და აღმასრულებელი დირექტორები თანხმდებიან, რომ ინოვაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამასთან, როდესაც საქმე ეხება ინოვაციის განმარტებას ან გაგებას, ამ ტერმინის არაერთი ინტერპრეტაცია არსებობს. როგორც ინოვაციის ერთ-ერთმა დამცველმა და მწერალმა, პოლ ჰობკრაფტმა განსაზღვრა ინოვაცია, ეს არის „საბაზისო გზა, რომლის საშუალებითაც კომპანია მუდმივ ღირებულებას აძლევს მომხმარებელს ბიზნესსა თუ ცხოვრებაში...“. შესაბამისად, ინოვაციას სარგებელი რომ ჰქონდეს, ამისთვის მას მომხმარებლებისთვის მუდმივი ღირებულების არსებობა ესაჭიროება. სტატისტიკის თანახმად, 250 ბიზნეს აღმასრულებლის 1/3-ზე მეტმა განაცხადა, რომ ისინი ვერ აკმაყოფილებენ მომხმარებლის მოთხოვნას მდგრად პროდუქ-ტებსა და მომსახურებაზე, 62 პროცენტმა კი განაცხადა, რომ მდგრადი ინვესტიციების მოტივაცია მომხმარებელთა მოლოდინები იყო (Accenture, 2012). გამოკითხვებს თუ დავუ-ჯერებთ, გარემოზე ზემოქმედება ევროკავშირის მომხმარებლე-ბისთვის, ხარისხისა და ფასის შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორთა შორის მესამე ადგილს იკავებს (ევრობარო-მეტრი 2009 და 2013). ყველა ზემოაღნიშნული მონაცემი ადასტურებს, რომ იზრდება მოთხოვნა მწვანე პროდუქტებზე და მომხმარებელთა ინტერესებით თანამედროვე მოქმედება მწვანე ეკონომიკის მიმართულებით ვითარდება.

*მწვანე ეკონომიკა ნიშნავს ეკონომიკური ზრდის გაძლიერებას, ჩვენს ხელთ არსებულ ბუნებრივ კაპიტალზე შეძლებისდაგვარად მინიმალური უარყოფითი გავლენის უზრუნველყოფით. ინოვაციის პოლიტიკა შეცვლის მომხმარებლის ქცევას და მას უარყოფითზე მეტი დადებითი ღირებულება უნდა ჰქონდეს. შესაბამისად, მწვანე ინოვაცია არის მომავალი, რომელიც შესაძლებელს ხდის მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ახალი იდეების, ახალი ბიზნეს მოდელების წარმოშობას.*

Allied Market Research-ის მიერ გამოქვეყნებული ბოლო ანგარიშიც კი, სახელწოდებით „მწვანე ტექნოლოგია და მდგრადობის ბაზარი ტექნოლოგიისა და გამოყენების მიხედვით: შესაძლებლობების ანალიზი და ინდუსტრიის პროგნოზი, 2020–2027“, ადასტურებს ზემოთ ხსენებულს, რაც ხაზს უსვამს, რომ გლობალური მწვანე ტექნოლოგიისა და მდგრადობის ბაზრის ზომა შეფასდა 8.79 მილიარდი აშშ დოლარად 2019 წელს და 2027 წლისთვის მოსალოდნელია 48.36 მილიარდი აშშ დოლარი გახდეს. მწვანე ბიზნესს შეუძლია უფრო მყარი საბაზრო მდგომარეობის მოპოვება, თუმცა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ღირებულება კვლავ რჩება ამ ბაზრის შემდგომი განვითარებისათვის ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებად. ზემოაღნიშნული ანგარიშის თანახმად, ისეთმა დიდმა კომპანიებმაც კი,

**How do we define innovation and why is it so important for many growing companies?**

Many business leaders and CEOs of top-notch companies agree that innovation is of paramount importance. However, when it comes to the definition or understanding of what is innovation, there are various interpretations of this term. As innovation advocate and writer Paul Hobcraft has defined innovation, it is "the fundamental way the company brings constant value to their customers business or life...". Therefore, for innovation to have a benefit, it requires the existence of a constant value for a customer. According to the statistics, more than one-third of 250 business executives said that they could not keep up with consumer demand for sustainable products and services and 62 per cent declared that sustainable investments were motivated by consumer expectations for green products (Accenture, 2012). According to the statistics, environmental impacts are the third most important factor for EU consumers, after quality and price (Eurobarometers 2009, 2013). All of the abovementioned data proves that there is a rise in demand for green products and modern consumerism is evolving in the direction of a green economy.

**A GREEN ECONOMY MEANS FOSTERING ECONOMIC GROWTH, BUT ENSURING THAT THE NATURAL CAPITAL WE ALL POSSESS GETS AS MINIMAL NEGATIVE IMPACT AS POSSIBLE. INNOVATION POLICIES SHALL CHANGE CONSUMERS' BEHAVIOR AND IT SHOULD HAVE MORE POSITIVE VALUE THAN NEGATIVE IMPACT. THEREFORE, GREEN INNOVATION IS A FUTURE WHICH ENABLES US TO COME UP WITH NEW IDEAS AND NEW BUSINESS MODELS THAT SUPPORT SUSTAINABLE GROWTH.**





როგორიცაა General Electric, IBM Corporation, Oracle Corporation, მიიღეს მწვანე პოლიტიკა, რომელიც გაზრდის მათ შეღწევადობას და პოზიციონირებას გლობალურ ბაზარზე.

**რა არის მწვანე ინოვაცია და რატომაა ტენდენცია, რომ გლობალური ბიზნეს ლიდერები საკუთარი სტრატეგიების მწვანე ეკონომიკის სასარგებლოდ ადაპტირებას ახდენენ?**

მწვანე ეკონომიკა ნიშნავს ეკონომიკური ზრდის გაძლიერებას, ჩვენს ხელთ არსებულ ბუნებრივ კაპიტალზე შეძლებისდაგვარად მინიმალური უარყოფითი გავლენის უზრუნველყოფით. ინოვაციის პოლიტიკა შეცვლის მომხმარებლის ქცევას და მას უარყოფითზე მეტი დადებითი ღირებულება უნდა ჰქონდეს. შესაბამისად, მწვანე ინოვაცია არის მომავალი, რომელიც შესაძლებელს ხდის მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ახალი იდეების, ახალი ბიზნეს მოდელების წარმოშობას.

ინოვაცია და კრეატიული დესტრუქცია შედეგად ახალი იდეების გენერირებას, ახალ გამოგონებებს, ახალ მეწარმეებს მოიტანს, შედეგად კი ნაკლები გავლენის მქონე ბიზნეს მოდელების განხორციელებას შეეწყობა ხელი. შესაბამისად, მწვანე ინოვაცია მდგრადი ან მწვანე ზრდის უზრუნველყოფის საშუალებაა.

**რატომ გვჭირდება ეკონომიკის გადასვლა მწვანე ზრდაზე?**

როდესაც განვიხილავთ მწვანე ეკონომიკურ ზრდას, უნდა გვახსოვდეს, რომ გადასვლის პროცესი გრძელი გზაა, თუმცა ეს გზა საშუალებას გვაძლევს, მეტი ღირებულება დავინახოთ მწვანე ეკონომიკასა და მწვანე ბიზნესებში. ამ ტრანსფორმაციის პირველი ნაბიჯი საჯარო მდგრადობის პოლიტიკის მიღებაა, რაც მწვანე ზრდის ფუნდამენტურ ჩარჩოს ჩამოაყალიბებს. ასევე განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება ისეთ განვითარებად ქვეყნებს, როგორიც საქართველოა, მწვანე პოლიტიკის განხორციელებისას ადგილობრივი კონტექსტის გასათვალისწინებლად. მეორე სვლა მწვანე ეკონომიკის ზრდის მიმართულებით ადგილობრივ კომპანიებში მწვანე ბიზნეს პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობაა. პოლიტიკის შემუშავება შესაძლებლობას მისცემს ქართულ კომპანიებს, ხელი შეუწყონ ზოგად კეთილდღეობას და შეიძინონ ახალი მომხმარებლები, საზოგადოების წევრები, რომლებიც მწვანე ზრდას მომავლად აღიქვამენ.

**რა არის ეკოინოვაცია და რატომაა ის ასეთი არსებითი?**

ევროკომისიის დაფინანსებით და UNEP-ის კოორდინაციით, პირველი ეკოინოვაციური პროექტი (2012-2017) განხორციელდა ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორიცაა კოლუმბია, ეგვიპტე, კენია. UNEP-მა შეიმუშავა სახელმძღვანელო, რომელიც დაეხმარება მცირე და საშუალო ბიზნესს, გახდნენ ეკოინოვაციურები. სახელმძღვანელოს განსაზღვრების თანახმად, ეკოინოვაცია არის

Even a recent report published by Allied Market Research titled, "Green Technology and Sustainability Market by Technology and Application: Opportunity Analysis and Industry Forecast, 2020-2027," complements the aforementioned, and emphasizes that the global green technology and sustainability market size was valued at $8.79 billion in 2019, and is projected to reach $48.36 billion by 2027. Green businesses gain higher market traction, however, the cost of production of eco-friendly products remains one of the main obstacles for further development of this market. According to the aforementioned report, even big companies such as General Electric, IBM and Oracle have adopted green policies that increase their market penetration and positioning on the global market.

**What is green innovation and why are global business leaders adapting their strategies in favor of the green economy?**

A green economy means fostering economic growth, but ensuring that the natural capital we all possess gets as minimal negative impact as possible. Innovation policies shall change consumers' behavior and it should have more positive value than negative impact. Therefore, green innovation is a future which enables us to come up with new ideas and new business models that support sustainable growth.

Innovation and creative destruction will also lead to new idea generation, new inventions, new entrepreneurs, thus contributing to the implementation of less impactful business models. Green innovation is therefore the solution ensuring sustainable or green growth.

**What do we need to transition to a green-growth economy?**

When we discuss green economic growth, we have to bear in mind that the transition process is a long journey, however, this path enables us to see more value in the green economy and green businesses. The first step of this transformation is adapting public sustainability policies, enabling the creation of the fundamental framework for green growth. There is also special attention required for



**ECO-INNOVATION SHOULD CONSIDER ALL THREE ASPECTS OF SUSTAINABILITY: ECONOMIC, SOCIAL, AND ENVIRONMENTAL. ALL THESE THREE DIRECTIONS CAN BE CHALLENGING FOR COMPANIES, THAT REQUIRE ADDITIONAL EFFORTS TO TACKLE ALL THE EXISTING OBSTACLES OF MARKET NEED.**

*ეკოინოვაციამ უნდა გაითვალისწინოს მდგრადობის სამივე ასპექტი: ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი. სამივე მიმართულება ერთად შეიძლება რთული იყოს კომპანიებისთვის, რომლებიც საჭიროებენ დამატებით ძალისხმევას საბაზრო საჭიროების ყველა დაბრკოლების დასაძლევად.*

ბიზნეს მოდელის შემუშავება და გამოყენება, რაც მოიცავს მდგრადობას ბიზნესის ყველა ოპერაციის მანძილზე, რომელიც დაფუძნებულია სასიცოცხლო ციკლზე, ღირებულების მთელს ჯაჭვში პარტნიორებთან თანამშრომლობით. ეკოინოვაციამ უნდა გაითვალისწინოს მდგრადობის სამივე ასპექტი: ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი. სამივე მიმართულება ერთად შეიძლება რთული იყოს კომპანიებისთვის, რომლებიც საჭიროებენ დამატებით ძალისხმევას საბაზრო საჭიროების ყველა დაბრკოლების დასაძლევად. ტრადიციული ბიზნესის მიდგომის შენარჩუნებით მცირე და საშუალო ბიზნესს არ ექნება საშუალება, რეაგირება ჰქონდეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ენერგიის ხარჯების ზრდა, ნედლეულის მიწოდების შეფერხება და ა.შ. სულ უფრო და უფრო იზრდება ისეთი

developing countries such as Georgia, to consider the local context while implementing green policies. The second move towards green economy growth is supporting the development of green business policy instruments within local companies. This policy creation will enable Georgian firms to support overall prosperity and acquire new customers – members of the public who see green growth as a future.

**What is eco-innovation and why is it so crucial?**

Funded by the European Union and coordinated by the UNEP, the first Eco-innovation Project (2012-2017) was implemented in developing countries such as Columbia, Egypt, Kenya. UNEP has elaborated a Manual to assist SMEs to become eco-innovative. This Manual defines eco-innovation as the development and application of a business model which incorporates sustainability throughout all business operations based on life cycle thinking and in cooperation with partners across the value chain. Eco-innovation should consider all three aspects of sustainability: economic, social, and environmental. All these three directions can be challenging for companies, that require additional efforts to tackle all the existing obstacles of market need. Sticking with the traditional business approach will leave SMEs unable to respond to issues such as rising energy costs, disruptions to the supply of their raw materials, and so on. There is a growing need to find alternative



ალტერნატიული მიდგომების ძიების საჭიროება, რომლებიც მიზნად ისახავს მდგრადი ბიზნესის მამოძრავებლების გარდაქმნას, ზრდის, ხარჯების შემცირებისა და კონკურენტული უპირატესობის შესაძლებლობებთან ერთად. ეს ინოვაციური მიდგომა შესაძლებელს გახდის იდენტიფიცირებული იყოს მდგრადობის ძირითადი საფრთხეები და შესაძლებლობები, რაც კომპანიის სტრატეგიის შეცვლის საშუალებას იძლევა. ეკოინოვაცია მცირე და საშუალო ბიზნესს დამატებულ ღირებულებას მოუტანს (1) ახალ ბაზრებზე წვდომის; (2) წარმოების პროცესების შეცვლით მომგებიანობის გაზრდის; (3) სტანდარტებსა და წესებზე წინასწარ ადაპტირებით მათი დაცვის; (4) მსხვილი კომპანიებიდან ინვესტიციების მოზიდვის; (5) პროდუქტიულობისა და ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერების გზით; კომპანიის, როგორც მდგრადობის ლიდერის სახით პოზიციონირება იზიდავს მოტივირებულ მუშახელს.

რაც შეეხება საქართველოში ეკოინოვაციების განვითარების წახალისებას, UNEP-ი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული EU4Environment პროგრამის ხუთი პარტნიორი ორგანიზაციიდან ერთ-ერთია, რომელიც მხარს უჭერს რეგიონის 6 ქვეყანას (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, მოლდოვა და უკრაინა). პროგრამა მიზნად ისახავს პოლიტიკის დაგეგმვისა და ინვესტიციის პროცესი გახდეს უფრო მწვანე, მოხდეს ინოვაციური პროდუქტებისა და ტექნოლოგიების ათვისების სტიმულირება და ამაღლდეს გარემოსდაცვითი ქმედებების სარგებლის შესახებ ცნობიერება. EU4Environment-ის ფარგლებში ერთ-ერთ კომპონენტს მართავს UNEP-ი გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელთან პარტნიორობით მცირე და საშუალო საწარმოებს შორის ეკოლოგიური ღირებულების ჯაჭვებისა და პროდუქტის ინოვაციის (ეკოინოვაციების) ხელშეწყობის მიზნით. ამ პროექტის ფარგლებში გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელმა გამოაცხადა კონკურსი მცირე და საშუალო კომპანიებისათვის, რომელიც მოიცავს საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მიერ UNEP-ის ეკოინოვაციური მეთოდოლოგიის გამოყენებით შერჩეული რვა კომპანიისთვის მათი ეკოინოვაციების მიმართულებით შესაძლებლობების ტექნიკური შეფასების მხარდაჭერას.

დაბოლოს, როგორც ამერიკელმა პოლიტიკოსმა, ჯონ მაკკეინმა ერთხელ თქვა, „დავუშვათ, კლიმატის ცვლილება არაა რეალური და ჩვენ უბრალოდ გვჭირდება მწვანე ტექნოლოგიების დანერგვა, რაც ჩვენი ეკონომიკისა და ტექნოლოგიისთვის სავსებით შესაძლებელია. ამით შედეგად მხოლოდ იმას მივიღებთ, რომ ჩვენს შვილებს უფრო სუფთა მსოფლიოო მივეცით.“ როგორც კოვიდ პანდემიამ ცხადად დაგვანახა, არაფერია ჩვენთვის და ჩვენი შვილებისთვის ჯანმრთელ და სუფთა მსოფლიოზე უფრო მნიშვნელოვანი.

approaches that aim to address sustainability business drivers in addition to opportunities for growth, cost reduction, and competitive advantage. This innovative approach enables the identification of key sustainability threats and opportunities which enable change in a company's strategy. Eco-innovation brings added value to SMEs by (1) access to new markets; (2) increase profitability by modifying production processes; (3) complying with standards and regulations by adapting to them in advance; (4) attract investments from large companies; (5) increasing productivity and technical capacity, as positioning a company as a leader in sustainability, attracts motivated workforce.

As for the promotion of the future development of eco-innovation in Georgia, UNEP serves as one of five partner agencies of the EU-funded EU4Environment program supporting 6 countries in the region (Georgia, Armenia, Azerbaijan, Belarus, Moldova, and Ukraine). The program aims to make policy planning and investment greener, stimulate the uptake of innovative products and technologies, and raise awareness about the benefits of environmental action. As part of the EU4Environment, the UNEP is leading a component with a partnership of Global Compact Network Georgia (GCNG) on promoting ecological value-chains and product innovation (eco-innovation) among SMEs. Within the framework of this project, GCNG has announced the contest for SMEs, which will include support in technical assessment by international and local experts for selected eight companies from eco-innovation readiness perspective using the UNEP eco-innovation methodology.

Lastly, as American politician John McCain once said: "Suppose that climate change is not real and all we do is adopt green technologies, which our economy and our technology is perfectly capable of. Then all we've done is given our kids a cleaner world." As the COVID-19 pandemic has clearly shown us, there is nothing more important than a healthy and cleaner world for all of us and our children.

# ეკოლოგიურად სუფთა ჩაი ჯანსაღი ცხოვრებისთვის




# ECOLOGICALLY CLEAN TEA FOR HEALTHY LIVING

დაბინძურებული გარემოსა და მიმდინარე ეკოლოგიური ცვლილებების ფონზე, ჯანსაღი კვება მსოფლიოში სულ უფრო აქტუალური ხდება. ჩაი, როგორც ყოველდღიური მოხმარების პროდუქტი, ჯანმრთელობაზე ზრუნვის თვალსაზრისით, ერთ-ერთი გამორჩეულია. მისი გემოვნური და სამკურნალო თვისებები წლიდან წლამდე ამ სასმელზე მოთხოვნას ზრდის, თუმცა საუკეთესო შედეგის მისაღწევად, აუცილებელია პროდუქტის ნატურალურობა.

„მანნა“ ქართული კომპანიაა, რომელიც საერთაშორისო ხარისხის პრემიუმ ჩაის აწარმოებს. მისი მთავარი ღირებულება ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა და მომხმარებლისთვის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის შეთავაზებაა. სწორედ ეს არის ნიშა, სადაც ბრენდი თავის დამკვიდრებას ცდილობს.

ჩაის მწარმოებელი კომპანიების სიმრავლის მიუხედავად, მსოფლიოში ბიოჩაის დეფიციტია. დარგის სპეციალისტების აზრით, საქართველოს ამ მიმართულებით დიდი პოტენციალი აქვს. კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მისი გემოვნური თვისებები განსხვავდება – უფრო ხავერდოვანი და დაბალანსებულია. ქართულ ჩაიში შედარებით ნაკლებია ექსტრაქტულობა, ანუ კოფეინის და ტანინის შემცველობა, ამიტომ დღის განმავლობაში მისი მრავალჯერადად მოხმარება შეიძლება. გეოგრაფიული მდებარეობის გამო, მავნებელი მწერებისგან დაავადებების რისკიც დაბალია, ამიტომ, პესტიციდებიც ნაკლებად სჭირდება. სწორი ტექნოლოგიური დამუშავებისა და კარგი მარკეტინგული კამპანიის შემთხვევაში, ეს პროდუქტი კონკურენციას გაუწევს სხვა მწარმოებლებს – როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთშიც. სწორედ ეს იყო „მანნას“ დამფუძნებელთა მოტივაცია ამ საქმიანობის დაწყებისას.

კომპანია ბაზარზე არც ისე დიდი ხნის წინ გამოჩნდა – 2017 წელს გაიხსნა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი და დამფასოებელი საწარმო, რომელიც დაფინანსებულია საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში და „გაზელ ფაინანსის“ მიერ ინვესტირებული თანხებით. კომპანიის საკუთრებაშია თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და დანადგარებით აღჭურვილი ქარხანა მცხეთის მახლობლად, საგურამოში. დღესდღეობით „მანნა“ 13 სახეობის ჩაის აწარმოებს: კლასიკურს, სხვადასხვა მცენარეულს და ხილის დანამატებით, რომლებიც დიდი მოწონებით სარგებლობს საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში.

ყველა სახის ნედლეული, რაც მათ მიერ წარმოებულ ჩაიში

*ჩაის მწარმოებელი კომპანიების სიმრავლის მიუხედავად, მსოფლიოში ბიოჩაის დეფიციტია. დარგის სპეციალისტების აზრით, საქართველოს ამ მიმართულებით დიდი პოტენციალი აქვს. კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მისი გემოვნური თვისებები განსხვავდება – უფრო ხავერდოვანი და დაბალანსებულია.*

In the face of a polluted environment and current ecological changes, healthy eating is becoming increasingly significant. Tea, as a product of daily consumption, is one of the most distinguished in terms of healthcare. Its taste and healing properties increase the demand for this drink annually, however, to achieve the best results, the natural characteristic of the product is essential.

Manna is a Georgian company producing international quality premium tea. Its main value is the promotion of a healthy lifestyle and the offer of environmentally friendly products to consumers. This is the niche in which the brand is trying to establish itself.

**DESPITE THE ABUNDANCE OF TEA COMPANIES, THERE IS A SHORTAGE OF ORGANIC TEA IN THE WORLD. ACCORDING TO EXPERTS IN THE FIELD, GEORGIA HAS GREAT POTENTIAL IN THIS DIRECTION. DUE TO THE CLIMATIC CONDITIONS, GEORGIAN TEA TASTE PROPERTIES DIFFER - IT IS MORE VELVETY AND WELL-BALANCED.**

Despite the abundance of tea companies, there is a shortage of organic tea in the world. According to experts in the field, Georgia has great potential in this direction. Due to the climatic conditions, Georgian tea taste properties differ - it is more velvety and well-balanced. Georgian tea has relatively less extractability, i.e., caffeine and tannin composition, so it can be consumed many times during the day. Due to its geographical location, the risk of diseases from pests is also low, therefore, pesticides are also less required. With the correct technological development and a good marketing campaign, this product can compete with other manufacturers - both in Georgia and abroad. This was the motivation of the founders of Manna from the start.

The company appeared on the market not so long ago - in 2017, when the company's processing plant for agricultural products equipped with modern technologies was opened, financed under a joint agricultural project of the Ministry of Environmental



**ირაკლი ღურჭუმელია**
*კომპანია „მანნა“-ს დირექტორი*

**Irakli Gurchumelia**
*Director of Manna*

*კომპანია ბაზარზე არც ისე დიდი ხნის წინ გამოჩნდა – 2017 წელს გაიხსნა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი და დამფასოებელი საწარმო, რომელიც დაფინანსებულია საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში და „გაზელ ფაინანსის“ მიერ ინვესტირებული თანხებით.*

გამოიყენება, ქართულია და მოყვანილია ეკოლოგიურად სუფთა გარემოში. კომპანიას გრძელვადიანი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ეკოლო-გიურად პასუხისმგებლიან ფერმერთა წინასწარ შერჩეულ ჯგუფთან ქვეყნის სამ რეგიონში – იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში, საიდანაც მაღალი ხარისხის, შხამ-ქიმიკატებითა და პესტიციდებით დაუმუშავებელ ჩაის ფოთოლს ყიდულობს. ნედლეულის ხარისხი მკაცრად კონტროლდება – „მანნა“ სურსათის უვნებლობის ყველაზე მაღალ სერტიფიკატს, ISO 22000-ს ფლობს. თავად წარმოების პროცესიც სრულად შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს.

„მანნას“ გუნდი დარგის წამყვანი სპეციალისტებითაა დაკომპლექტებული, რომლებსაც მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ სოფლის მეურნეობის მართვისა და წარმოების სფეროში. საწარმოს ფინანსური და ორგანიზაციული მართვა ხორციელდება კომპანიაში დანერგილი ERP-ის სისტემის მეშვეობით. ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფილად დაცვას უზრუნველყოფენ დარგისა და სურსათის უსაფრთხოების პროფესიონალი სპეციალისტები. ეს ყველაფერი, ჯანსაღ ნედლეულთან ერთად, პროდუქციის მრავალფეროვნე-ბასა და მაღალ ხარისხს განაპირობებს.

„მანნას“ ჩაის განსაკუთრებულ გემოვნურ თვისებებს, სწორ ტექნოლოგიურ დამუშავებასთან ერთად, ადგილობრივი ნიადაგისა და კლიმატის გამორჩეულობაც ქმნის. ჩაის პლანტაციებით ყველაზე ცნობილ ინდოეთსა და შრი-ლანკაში 10-11 თვეა მოსავლის აღების პერიოდი. შესაბამისად, მიწა იფიტება და ქიმიკატების დამატება უწევთ. საქართველოში ჩაის 4-5 თვის განმავლობაში კრეფენ, ამიტომ ნიადაგი ასწრებს დასვენებას და არც დანამატებს საჭიროებს. გარდა ამისა, საქართველოში იმ რეგიონების კლიმატს, სადაც ჩაი იზრდება, მთის და ზღვის ჰაერის შერწყმა ქმნის, რაც განსაკუთრებით უხდება ჩაის პლანტაციებს. სწორედ ეს არის ის ძირითადი უპირატესობა, რაზეც „მანნას“ მარკეტინგული კამპანიაა დაფუძნებული.

„მანნას“ ჩაი განკუთვნილია იმ ადამიანებისთვის, ვისთვისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. მათთვის კომპანია მრავალ-ფეროვან სასმელს აწარმოებს. კლასიკური ორგანული შავი და მწვანე ჩაის გარდა, ამზა-დებენ ჩაის სხვადახვა სამკურ-ნალო მცენარეული დანამატით. მათ შორის, ასკილით, მოცვით, პიტნით, ბეგქონდარით, ლიმონით. თითოეული კარგად ეხამება მწვანე თუ შავი ჩაის გემოვნურ თვისებებს და ორგანიზმის გაჯანსაღებასაც უწყობს ხელს.

კომპანიაში ასორტიმენტის ზრდაზე ყოველწლიურად მუშაობენ: წელს, მაგალითად, ე.წ. „დეტოქს ჩაი“ გამოუშვეს – რომელიც მწვანე ჩაისთან ერთად, გამომშრალ კივის, ფეიხოასა და ფორთოხალს შეიცავს და ორგანიზმის მავნე ნივთიერებებისგან გაწმენდას აუმჯობესებს.

ხილის ჩაი „მანნას“ კიდევ ერთი გამორჩეული შეთავაზებაა, რომელიც განსაკუთრებული მოთხოვნით სარგებლობს. სხვა მწარმოებლებისგან განსხვავებით, რომლებიც ხელოვნურ არომატიზატორებს მიმართავენ, მათთან გამოყენებულია სუბლიმირებული გამოშრობით მიღებული ნატურალური ხილი. ეს პროცესი მის გაყინვას და სპეციალური ტექნოლოგიით სითხის გამოცლას გულისხმობს. დარჩენილ პროდუქტს კი აშრობენ

*ყველა სახის ნედლეული, რაც მათ მიერ წარმოებულ ჩაიში გამოიყენება, ქართულია და მოყვანილია ეკოლოგიურად სუფთა გარემოში. კომპანიას გრძელვადიანი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ეკოლოგიურად პასუხისმგებლიან ფერმერთა წინასწარ შერჩეულ ჯგუფთან ქვეყნის სამ რეგიონში – იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში, საიდანაც მაღალი ხარისხის, შხამ-ქიმიკატებითა და პესტიციდებით დაუმუშავებელ ჩაის ფოთოლს ყიდულობს.*

**THE COMPANY APPEARED ON THE MARKET NOT SO LONG AGO - IN 2017, WHEN THE COMPANY'S PROCESSING PLANT FOR AGRICULTURAL PRODUCTS EQUIPPED WITH MODERN TECHNOLOGIES WAS OPENED, FINANCED UNDER A JOINT AGRICULTURAL PROJECT OF THE MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA AND FUNDS INVESTED BY GAZELLE FINANCE.**

**ALL TYPES OF RAW MATERIALS USED IN THE TEA ARE LOCALLY SOURCED AND GROWN IN A CLEAN ENVIRONMENT. THE COMPANY HAS A LONG-TERM CONTRACT WITH A PRE-SELECTED GROUP OF ENVIRONMENTALLY RESPONSIBLE FARMERS IN THREE REGIONS OF THE COUNTRY - IMERETI, GURIA AND SAMEGRELO, FROM WHERE IT PURCHASES HIGH-QUALITY TEA LEAVES UNTREATED BY CHEMICALS AND PESTICIDES.**

Protection and Agriculture of Georgia and funds invested by Gazelle Finance. The company owns a factory equipped with modern infrastructure and equipment in Saguramo, near Mtskheta. Today, Manna produces 13 types of tea: classic, with various herbal and fruit supplements, which are very popular in Georgia and in European countries.

All types of raw materials used in the tea are locally sourced and grown in a clean environment. The company has a long-term contract with a pre-selected group of environmentally responsible farmers in three regions of the country - Imereti, Guria and Samegrelo, from where it purchases high-quality tea leaves untreated by chemicals and pesticides. The quality of raw materials is strictly controlled - Manna holds the highest certificate of food safety, ISO 22000. The production process is fully in line with global standards.

The Manna team is composed of leading specialists in the field, who have many years of experience in the field of agricultural management and production. Financial and organizational management is carried out through the ERP system introduced in the




**MANNA TEA IS INTENDED FOR PEOPLE FOR WHOM AN ECOLOGICALLY CLEAN PRODUCT IS ESPECIALLY SIGNIFICANT. FOR THEM, THE COMPANY PRODUCES A VARIETY OF DRINKS.**

*„მანნას“ ჩაი განკუთვნილია იმ ადამიანებისთვის, ვისთვისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. მათთვის კომპანია მრავალფეროვან სასმელს აწარმოებს.*

company. Full compliance of technological processes is ensured by professional specialists of the field and food safety. All this, in combination with healthy raw materials, leads to the diversity of products and high quality.

The special taste of Manna tea, along with the correct technological processing, is also a result of the local soil characteristics and unique climate. In India and Sri Lanka, which are most famous for their tea plantations, the harvest period is 10-11 months. Consequently, the soil is degraded, and chemicals need to be added. In Georgia, tea is harvested for 4-5 months, so the soil has time to rest and does not need any supplements. In addition, the climate of the regions where the tea is grown in Georgia is a combination of mountainous and coastal, which is especially true for tea plantations. This is the main advantage on which Manna's marketing campaign is based.

Manna tea is intended for people for whom an ecologically clean product is especially significant. For them, the company produces





*ასორტიმენტის კიდევ უფრო მეტად გაზრდასთან ერთად, კომპანიაში ტურიზმის მიმართულების განვითარებაზეც ფიქრობენ: ყველასათვის ცნობილი „ღვინის გზის“ მსგავსად, უნდათ, საგურამოში, „მანნას“ საწარმოში, „ჩაის გზა“ გააკეთონ, რომელსაც საგანმანათლებლო დანიშნულება ექნება და ორგანულად ჩაეწერება მცხეთის ტურისტულ მიმართულებაში.*

და ჩაის ფოთოლში ამატებენ. ამ მეთოდით დამზადებული სასმელი მძაფრი სურნელით არ გამოირჩევა, თუმცა აქვს განსაკუთრებული გემო და არომატი. რაც მთავარია, შენარჩუნებულია ხილისა და კენკრის სასარგებლო თვისებები, რასაც ასე აფასებს მომხმარებელი.

„მანნა“ ყოველწლიურად მონაწილეობს ჩაის სხვადასხვა გამოფენაზე მსოფლიოში, სადაც მათი პროდუქცია, ზემოთჩამოთვლილი მიზეზების, უპირველესად კი, ეკოლოგიური პოზიციონირების გამო, განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს.

ასორტიმენტის კიდევ უფრო მეტად გაზრდასთან ერთად, კომპანიაში ტურიზმის მიმართულების განვითარებაზეც ფიქრობენ: ყველასათვის ცნობილი „ღვინის გზის“ მსგავსად, უნდათ, საგურამოში, „მანნას“ საწარმოში, „ჩაის გზა“ გააკეთონ, რომელსაც საგანმანათლებლო დანიშნულება ექნება და ორგანულად ჩაეწერება მცხეთის ტურისტულ მიმართულებაში. აქ მოსულ სტუმრებს გააცნობენ ჩაის კულტურის ისტორიას საქართველოში, აჩვენებენ მისი მომზადების ტექნოლოგიურ პროცესს, ესაუბრებიან ორგანულად მიღებული ჩაის სასარგებლო თვისებებსა და უპირატესობაზე. რასაკვირველია, სხვადასხვა სახეობის ჩაისაც დააგემოვნებენ. ეს ხელს შეუწყობს ქართული ჩაის პოპულარიზაციას როგორც უცხოელ, ასევე, ქართველ მომხმარებელში, სამომავლოდ კი გახდება „მანნას“ მარკეტინგული კამპანიის ერთგვარი ლაიტმოტივი და მამოძრავებელი.

**ALONG WITH FURTHER INCREASING THE RANGE, THE COMPANY IS ALSO CONSIDERING DEVELOPING A TOURISM DESTINATION: LIKE THE WELL-KNOWN WINE ROAD IN THE COUNTRY. THIS TEA ROAD WOULD BE IN SAGURAMO, THE MANNA FACTORY, WHICH WILL HAVE AN EDUCATIONAL PURPOSE AND WILL BE ORGANICALLY IMMERSED IN MTSKHETA TOURISM, WILL OFFER**

a variety of drinks. In addition to the classic organic black and green teas, various medicinal herbal supplements are used for other varieties. This includes rose hips, blueberries, mint, thyme, and lemon. Each of them goes well with the taste properties of green or black tea and also helps to heal the body.

The company makes an effort to increase the range annually: this year, for example, a so-called Detox Tea was released - which along with green tea, contains dried kiwi, feijoa and oranges.

Fruit tea is another unique offer from Manna, which is in special demand. Unlike other manufacturers, who resort to artificial flavorings, Manna uses natural fruits obtained by sublimation drying. This process involves freezing and liquid removal via a special technology. The rest of the product is dried and added to the tea leaf. The drink made through this method does not have a strong scent, but it has a special taste and aroma. Most importantly, the beneficial properties of the fruit and berry are preserved, which is what the consumer appreciates.

Manna annually participates in various tea exhibitions around the world, where their products gain special praise due to the above reasons, primarily due to their environmental positioning.

Along with further increasing the range, the company is also considering developing a tourism destination: like the well-known Wine Road in the country. This Tea Road would be in Saguramo, The Manna factory, which will have an educational purpose and will be organically immersed in Mtskheta tourism, will offer guests information on the history of tea culture in Georgia, demonstrate the technological process of its preparation, talk about the useful properties and benefits of organically sourced tea. Of course, they will also taste different types of tea. This will help to popularize Georgian tea among both foreign and Georgian consumers, and in the future will become a leitmotif and driving force for Manna's marketing campaign.

## ბიოდიზელი - ზრუნვა გარემოსა და ავტომობილზე

# BIODIESEL

## PROTECTING THE ENVIRONMENT AND THE CAR

**BIODIESEL IS AN ALTERNATIVE, RENEWABLE, ECO-FRIENDLY PRODUCT OBTAINED FROM THE PROCESSING OF BIOLIPIDS (VEGETABLE OILS, ANIMAL FATS) THAT DOES NOT POLLUTE THE ENVIRONMENT.**

*ბიოდიზელი ბიოლიპიდების (მცენარეული ზეთები, ცხოველური ცხიმები) გადამუშავების შედეგად მიღებული ალტერნატიული, განახლებადი, ეკომეგობრული პროდუქტია, რომელიც არ აბინძურებს გარემოს.*

მსხვილ ქალაქებში დაბინძურებული ჰაერი ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა, რაშიც გადამწყვეტი როლი მიუძღვის ავტომობილის გამონაბოლქვს. ამ პროცესის დარეგულირება და გარემოს გაჯანსაღება ურბანული პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელია, რისთვისაც სხვადასხვა გზები არსებობს. მათ შორისაა ეკოლოგიურად სუფთა საწვავის, ბიოდიზელის წარმოება, რომელსაც დიდი ხანია იყენებს მსოფლიო. საქართველოში მასზე მუშაობა ოთხიოდე წლის წინ დაიწყო და ამ საქმის პიონერი „ბიოდიზელი ჯორჯია“ იყო.

ბიოდიზელი ბიოლიპიდების (მცენარეული ზეთები, ცხოველური ცხიმები) გადამუშავების შედეგად მიღებული ალტერნატიული, განახლებადი, ეკომეგობრული პროდუქტია, რომელიც არ აბინძურებს გარემოს. აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნებში, სადაც ეკოპოლიტიკას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, კარგა ხანია, ნავთობდიზელის ბიოდიზელით ჩანაცვლება მიმდინარეობს. ორივე სახის საწვავის ფიზიკური და ქიმიური მახასიათებლები ანალოგიურია, რის გამოც შესაძლებელია მისი გამოყენება ნებისმიერ სფეროში. რაც მთავარია, არ საჭიროებს ძრავის მოდიფიკაციას, რაც მის მოხმარებას აიოლებს. საყურადღებოა, რომ ბიოდიზელი დადებით ზეგავლენას ახდენს ავტომობილის ძრავზე და მის მუშაობას აუმჯობესებს. ამასთან, წვის შედეგად არ გამოიყოფა მძიმე მეტალები, გოგირდი და ტყვია, რაც ასე აბინძურებს გარემოს.

„ბიოდიზელი ჯორჯია“ 2017 წელს დაფუძნდა საქართველოში და ქვეყნის მასშტაბით პირველი იყო, ვინც ეკოლოგიურად სუფთა საწვავის წარმოება დაიწყო. შპს „ბიოდიზელი ჯორჯია“ ევროკავშირის ISCC პლატფორმაზე აკრედიტებული კომპანიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მუშაობის სტანდარტი და წარმოებული პროდუქცია ევროკავშირის მოთხოვნებს

Polluted air is one of the major problems in large cities, in which car emissions play a major role. Regulating this issue and improving the environment is an important part of urban policy, for which there are various methods. These include the production of environmentally friendly fuel, biodiesel. While biodiesels have been around for a while, in Georgia biodiesel production started just four years ago, in which pioneer was Biodiesel Georgia.

Biodiesel is an alternative, renewable, eco-friendly product obtained from the processing of biolipids (vegetable oils, animal fats) that does not pollute the environment. It is notable that in European countries, where special attention is paid to environmental policy, oil diesel has been replaced by biodiesel for a long time. The physical and chemical characteristics of both fuels are similar, making it possible to use in any field. Most importantly, it does not require engine modification, which facilitates its consumption. Biodiesel has a positive effect on the car engine and improves its performance. However, combustion does not release heavy metals, sulfur and lead, which pollute the environment severely.

Biodiesel Georgia was founded in 2017 in Georgia and was the first in the country to start producing environmentally friendly fuels. Biodiesel Georgia Ltd is an accredited company on the EU ISCC platform, which means that its standard of operation and manufactured products fully comply with the EU requirements. At the same time, it is important that Biodiesel Georgia is a 100 per cent Georgian investment. The company employs about 50 people, both in the capital and in the regions. Constant care for a healthy environment is the main determinant of the company's corporate responsibility, which is confirmed by its activities.

One of the main raw materials to produce biodiesel is utilized cooking oil, which is a liquid waste and needs to be recycled. Globally, it is a common practice to collect, refine and reuse used edible oils for technical purposes, which gives us a double ecological effect: on the one hand, secondary (consumed) oil, as a waste, is managed, on the other hand, we receive eco-friendly fuel.

The benefits of using biodiesel and the successful operation of the company are also evidenced by the statistics, according to which, since its establishment, Biodiesel Georgia has collected 1,163,312 liters of used food (vegetable) oil and produced 492,755 liters of ecological fuel, reducing more than

*საყურადღებოა, რომ ბიოდიზელი დადებით ზეგავლენას ახდენს ავტომობილის ძრავზე და მის მუშაობას აუმჯობესებს. ამასთან, წვის შედეგად არ გამოიყოფა მძიმე მეტალები, გოგირდი და ტყვია, რაც ასე აბინძურებს გარემოს.*

**BIODIESEL HAS A POSITIVE EFFECT ON THE CAR ENGINE AND IMPROVES ITS PERFORMANCE. HOWEVER, COMBUSTION DOES NOT RELEASE HEAVY METALS, SULFUR AND LEAD, WHICH POLLUTE THE ENVIRONMENT SEVERELY.**



სრულად შეესაბამება. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ „ბიოდიზელი ჯორჯია“ 100 პროცენტით ქართული ინვესტიციაა. კომპანიაში დასაქმებულია 50-მდე ადამიანი, როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონების მასშტაბით. ჯანსაღ გარემოზე მუდმივი ზრუნვა კომპანიის კორპორაციული პასუხისმგებლობის მთავარი განმსაზღვრელია, რასაც თავისი საქმიანობით ადასტურებს კიდეც.

ბიოდიზელის წარმოების ერთ-ერთი ძირითადი ნედლეულია გამოყენებული საკვები ზეთი, რომელიც თხევადი ნარჩენია და გადამუშავებას საჭიროებს. მსოფლიოში კარგადაა აპრობირებული მოხმარებული საკვები ზეთების შეგროვება, გადამუშავება და ტექნიკური მიზნებისთვის გამოყენება, რაც ორმაგ ეკოლოგიურ ეფექტს გვაძლევს: ერთი მხრივ, ხდება მეორადი (მოხმარებული) ზეთის, როგორც ნარჩენის მართვა, მეორე მხრივ, ეკომეგობრულ საწვავს ვიღებთ.

ბიოდიზელის გამოყენების სიკეთესა და კომპანიის წარმატებულ საქმიანობაზე მეტყველებს სტატისტიკური მონაცემებიც, რომლის თანახმადაც, დაარსების დღიდან „ბიოდიზელი ჯორჯიამ“ შეაგროვა 1 163 312 ლიტრი მეორადი საკვები (მცენარეული ზეთი) და აწარმოა 492 755 ლიტრი ეკოლოგიური საწვავი, რის შედეგადაც შეიზღუდა 1200 ტონაზე მეტი ნახშირორჟანგის ($CO_2$) ემისია ატმოსფეროში. ერთი კომპანიის მხრიდან ეს მნიშვნელოვანი წვლილია გარემოს გაჯანსაღების პროცესში.

რაც შეეხება კომპანიის პარტნიორებს, „ბიოდიზელი ჯორჯია“ თანამშრომლობს 1200- მდე კვების ობიექტთან, როგორიცაა KFC, BURGER KING, სასტუმრო „ბილტმორი“ და მრავალი სხვა. მათგან მიღებული მეორეული მცენარეული ზეთის შესყიდვა და ტრანსპორტირება ხდება „ბიოდიზელის“ საწარმოში, სადაც უშუალოდ გადამუშავების პროცესი




1,200 tonnes ($CO_2$) emissions in the ambient air. From just a single company, this is an important contribution to the process of improving the environment.

As for the company's partners, Biodiesel Georgia cooperates with about 1,200 food companies, such as KFC, Burger King, Biltmore Hotel and many others. The secondary vegetable oil obtained from them is purchased and transported to the Biodiesel plant, where the processing takes place. Partner catering facilities are distinguished by high corporate responsibility and promote proper waste management, which, at the same time, is a good example of joint corporate responsibility.

The pandemic proved to be a significant challenge for the company. However, despite the difficulties, it was easily able to adapt to the harsh economic or social environment. During the pandemic, Biodiesel Georgia did not suspend its activities. They worked on a hybrid model, both in the office and remotely. In 2021, the company moved to a new facility that operates in compliance with








*კომპანიის მხრიდან, განვითარებასა და ხარისხზე გაკეთებულ აქცენტთან ერთად, ბუნებრივი რესურსების დაზოგვა და ჯანსაღ გარემოზე ზრუნვა მომავალშიც გაგრძელდება. მომდევნო თაობების წინაშე ეს მათი მოვალეობაცაა და ვალდებულებაც.*

მიმდინარეობს. პარტნიორი კვების ობიექტები გამოირჩევიან მაღალი კორპორაციული პასუხისმგებლობით და ხელს უწყობენ ნარჩენების სწორად მართვას, რაც, ამავდროულად, ერთობლივი კორპორაციული პასუხისმგებლობის კარგი მაგალითია.

პანდემია მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა კომპანიისთვის, თუმცა სირთულეების მიუხედავად, იოლად შეძლო მძიმე ეკონომიკურ თუ სოციალურ გარემოსთან ადაპტაცია. პანდემიისას „ბიოდიზელ ჯორჯიას“ საქმიანობა არ შეუწყვეტია. მუშაობდნენ ჰიბრიდული მოდელით: როგორც ოფისში, ისე – დისტანციურად. 2021 წელს კომპანია ახალ ოფისში გადავიდა, რომელიც ყველა რეგულაციის დაცვით ფუნქციონირებს. თანამშრომლები ერთმანეთისგან დაშორებულ სივრცეებში საქმიანობენ, რაც მათ უსაფრთხოებას უწყობს ხელს.

დასაქმებულთა 99 პროცენტი სრულად ვაქცინირებულია, რაც კომპანიის მაღალ კორპორაციულ პასუხისმგებლობაზე მეტყველებს.

დღესდღეობით „ბიოდიზელი ჯორჯია“ აქტიურად აგრძელებს მუდმივ განვითარებას და წარმოების გაფართოებაზე ფიქრობს, რაც გულისხმობს როგორც ადგილობრივი ბაზრის სრულად დაკმაყოფილებას, ისე პროდუქციის ექსპორტს.

„ბიოდიზელ ჯორჯიაში“ მიაჩნიათ, რომ 21-ე საუკუნის მთავარ გამოწვევას – დედამიწის ეკოლოგიური კატასტროფისგან გადარჩენას, ეკოინოვაციები მნიშვნელოვნად დაეხმარება. კომპანიის მხრიდან, განვითარებასა და ხარისხზე გაკეთებულ აქცენტთან ერთად, ბუნებრივი რესურსების დაზოგვა და ჯანსაღ გარემოზე ზრუნვა მომავალშიც გაგრძელდება. მომდევნო თაობების წინაშე ეს მათი მოვალეობაცაა და ვალდებულებაც.

**AS FOR THE COMPANY, IT WILL CONTINUE TO LOOK OUT FOR THE ENVIRONMENT AND REDUCE NATURAL RESOURCE USE, COUPLED WITH A FOCUS ON DEVELOPMENT AND QUALITY. IT IS BOTH THEIR DUTY AND THEIR OBLIGATION TO FUTURE GENERATIONS.**

all regulations. Employees operate in remote spaces, ensuring their safety. 99 per cent of the employees are fully vaccinated, which indicates the high corporate responsibility of the company.

Biodiesel Georgia actively continues to develop and is thinking about expanding production, which means fully satisfying the local market as well as exporting products.

Biodiesel Georgia believes that the main challenge of the 21st century is saving the Earth from ecological catastrophe, and that this can be addressed significantly by eco-innovations. As for the company, it will continue to look out for the environment and reduce natural resource use, coupled with a focus on development and quality. It is both their duty and their obligation to future generations.

# ეკოინოვაციების დანერგვა და წახალისება საქართველოში - როგორია ამ პროცესში პარლამენტის როლი



# INTRODUCTION AND STIMULATION OF ECO-INNOVATION IN GEORGIA

## THE ROLE OF THE PARLIAMENT IN THIS REGARD

კახა კუჭავა - პარლამენტის ერთ-ერთი პრიორიტეტი მწვანე პოლიტიკის წახალისებაა. საჭიროა შეიქმნას სათანადო სამართლებრივი ბაზა, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანების კეთილდღეობას, ბუნებრივი კაპიტალის დაცვას და ეკონომიკურ ზრდას.

2021 წლის 20-21 ოქტომბერს ათენში, ევროპული პარლამენტის პრეზიდენტების კონფერენციაზე გამოსვლისას, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, კახა კუჭავამ ყურადღება მწვანე პოლიტიკის მნიშვნელობასა და ამ პროცესის სწორად წარმართვის საქმეში პოლიტიკოსების როლზე გაამახვილა. როგორია საქართველოს პარლამენტის ხედვა ამ მიმართულებით, როგორ აპირებს ამ უმნიშვნელოვანეს პროცესში საკუთარი წვლილის შეტანას, მწვანე და ეკოინოვაციური პოლიტიკის ხელშეწყობისთვის რა რეფორმების გატარება იგეგმება, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, **კახა კუჭავა** გვესაუბრება.

KAKHA KUCHAVA - ONE OF TOP PRIORITIES OF THE PARLIAMENT IS ENDORSING GREENING POLICY. IT IS NECESSARY TO CREATE AN APPROPRIATE LEGAL FRAMEWORK THAT WILL BE THE BASIS FOR THE WELL-BEING OF PEOPLE, PROTECTION OF NATURAL CAPITAL AND STIMULATION OF ECONOMIC GROWTH.

ADDRESSING THE EUROPEAN CONFERENCE OF PRESIDENTS OF PARLIAMENT IN ATHENS ON OCTOBER 20-21, 2021, SPEAKER OF THE GEORGIAN PARLIAMENT KAKHA KUCHAVA EMPHASISED THE IMPORTANCE OF GREEN POLICY AND THE ROLE OF POLITICIANS IN THE PROPER LEADERSHIP OF THIS PROCESS. WHAT IS THE VISION OF THE GEORGIAN PARLIAMENT IN THIS REGARD? HOW IS IT PLANNING TO CONTRIBUTE TO THIS IMPORTANT PROCESS? WE DISCUSS THESE ISSUES WITH SPEAKER OF PARLIAMENT **KAKHA KUCHAVA.**

**KAKHA KUCHAVA - ONE OF TOP PRIORITIES OF THE PARLIAMENT IS ENDORSING GREENING POLICY. IT IS NECESSARY TO CREATE AN APPROPRIATE LEGAL FRAMEWORK THAT WILL BE THE BASIS FOR THE WELL-BEING OF PEOPLE, PROTECTION OF NATURAL CAPITAL AND STIMULATION OF ECONOMIC GROWTH.**

*კახა კუჭავა - პარლამენტის ერთ-ერთი პრიორიტეტი მწვანე პოლიტიკის წახალისებაა. საჭიროა შეიქმნას სათანადო სამართლებრივი ბაზა, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანების კეთილდღეობას, ბუნებრივი კაპიტალის დაცვას და ეკონომიკურ ზრდას.*

**დღევანდელ მსოფლიოში სულ უფრო აქტუალური ხდება თანამედროვე მიდგომები ეკოინოვაციური მიმართულებით (მწვანე ეკონომიკა, მწვანე ფინანსები, მწვანე ტექნოლოგიები და ინოვაციები), რაც ჩვენი ქვეყნისთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია. როგორ უნდა შეუწყოს ხელი საკანონმდებლო ხელისუფლებამ ეკოინოვაციების დანერგვასა და წახალისებას საქართველოში და როგორია პარლამენტის როლი ამ პროცესში?**

იმისათვის, რომ სწორად ჩამოვაყალიბოთ საკანონმდებლო ორგანოს როლი ეკოინოვაციების დანერგვაში, უმნიშვნელოვანესია გვესმოდეს მისი არსი. ეკოინოვაცია მოიცავს როგორც ტექნოლოგიურ, ისე სოციალურ და ინსტიტუციურ ინოვაციას, რომელიც ამცირებს გარემოზე მავნე ზემოქმედებას და ხელს უწყობს რესურსების გამოყენებას ოპტიმიზაციის გზით.

საპარლამენტო დონეზე ეკოინოვაციის წახალისებისთვის საჭიროა, შეიქმნას პოლიტიკის ძირითადი ხედვები და მიმართულებები, კონცეფცია, რომელიც გააერთიანებს ინიციატივებს და ორიენტირებული იქნება ამ მიმართულების თანმიმდევრულ, გრძელვადიან და მდგრად განვითარებაზე.

ამ პროცესის წარმატებას განაპირობებს პოლიტიკის დაგეგმვაში, აღსრულებასა და განხორციელებაში ჩართული ყველა სუბიექტის მონაწილეობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პარლამენტის როლი, ვინაიდან წარმომადგენლობით ორგანოს აქვს შესაძლებლობა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა. მივესალმები ახალგაზრდების, ქალების კერძო სექტორის მონაწილეობას საქართველოს პარლამენტის მიერ მწვანე ეკონომიკის პოლიტიკის განხორციელებაში და ვიმედოვნებ, ჩვენი თანამშრომლობა კიდევ უფრო მჭიდრო გახდება.

ამ პროცესში პარლამენტის როლზე საუბრისას მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტში არსებული პრაქტიკა და გამოცდილება – საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმების დანერგვა, როგორიცაა თემატური მოკვლევა და ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი. მაშინ როდესაც მე გახლდით კომიტეტის თავმჯდომარე, აღნიშნულმა კომიტეტმა პირველმა გამოიყენა ეს შესაძლებლობები და შედეგად თბილისში ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შესახებ თემატური მოკვლევა განახორციელა. მიმდინარეობს მუშაობა მუნიციპა-

**In the modern world, contemporary approaches to eco-innovation (green economy, green finance, green technologies and innovations) are becoming increasingly topical, which is very important for our country. How should the legislature promote the introduction and promotion of eco-innovation in Georgia and what is the role of the Parliament in this process?**

In order to properly formulate the role of the legislative body in introducing eco-innovations, it is essential to understand its essence. Eco-innovation comprises technological, social and institutional innovation that is beneficial in preventing or reducing the harmful impact on the environment, as well as in optimising the use of resources.

Encouraging eco-innovation at the parliamentary level requires the formation of key visions and directions in the form of policy documents, a concept that will unite initiatives and focus on the consistent, long-term, and sustainable development of this direction. The success of this process is warranted by the active involvement of all stakeholders and actors in policy planning, execution and implementation. Important is the role of the parliament in this process, as the representative body has capability to ensure involvement of all stakeholders'. In general, I welcome youth, women, private sector participation in the implementation of the green economy policy by the Parliament of Georgia, and I hope that our cooperation will become even closer.

When talking about the role of the Parliament in this process, the practice and experience of the Parliamentary Committee on Environmental Protection and Natural Resources is very important, namely the introduction of innovative parliamentary oversight mechanisms, such as thematic inquiries and post-legislative scrutiny. When I was the Chairperson of the Committee, the Committee was the first to introduce these mechanisms in the Parliament of Georgia and conducted a thematic inquiry into ambient air quality in Tbilisi. A thematic inquiry into issues concerning municipal waste is also noteworthy. Post-legislative scrutiny over the implementation of amendments to the regulations on electric vehicles is important as well. These mechanisms are characterised by a high degree of transparency, in which all stakeholders, including civil society, the private sector and representatives of

*ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავს გარემოს დაცვის მიმართულებით გასატარებელ რეფორმებს, რომელიც ეხება გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესებას, ჰაერის, წყლის, ნიადაგის სისტემების იმგვარად მართვას, როგორც ეს ხდება ევროკავშირის ქვეყნებში, რათა გაუმჯობესდეს ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობა და მოსახლეობას ჯანსაღ გარემოში არსებობის პირობები შეუქმნას.*

ლური ნარჩენების შესახებ თემატურ მოკვლევაზე. საყურადღებოა ელექტროძრავიან სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების აღსრულების კონტროლი. ეს მექანიზმები ხასიათდება გამჭვირვალობის მაღალი ხარისხით, რომელშიც უშუალოდ ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ისე კერძო სექტორისა და საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან.

**რა ვალდებულებები აქვს საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით ეკოინოვაციების მიმართულებით და რა კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა მათი განხორციელებისთვის? რა ვალდებულებები არსებობს როგორც სახელმწიფოს, ისე კომპანიებისთვის?**

ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავს გარემოს დაცვის მიმართულებით გასატარებელ რეფორმებს, რომელიც ეხება გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესებას, ჰაერის, წყლის, ნიადაგის სისტემების იმგვარად მართვას, როგორც ეს ხდება ევროკავშირის ქვეყნებში, რათა გაუმჯობესდეს ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობა და მოსახლეობას ჯანსაღ გარემოში არსებობის პირობები შეუქმნას.

ასოცირების შეთანხმების მნიშვნელოვანი ნაწილია თანამშრომლობას გარემოს დაცვის საკითხებზე, რითაც ჩვენი ქვეყანა საკუთარ წვლილს შეიტანს მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების განხორციელებაში. გარემოს დაცვა სარგებელს მოუტანს თითოეულ მოქალაქეს, ბიზნეს სექტორს როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესების, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების, ეკოსისტემების დაცვის, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ეფექტიანობის გაზრდის გზით, ასევე, თანამედროვე, სუფთა ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს წარმოების ეკოლოგიურად მდგრადი მოდელების ჩამოყალიბებას.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

» 2014 წლიდან დღემდე საქართველოს პარლამენტმა მიიღო მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი კანონები, როგორიცაა: „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, „ნარჩენების მართვის კოდექსი“, ახალი „ტყის კოდექსი“, კანონი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“. უახლოეს მომავალში პარლამენტში განსახილველად წარმოდგენილი იქნება კანონი „ბიომრავალფეროვნების დაცვის შესახებ“, „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ და სამრეწველო ემისიების შესახებ“;

» კლიმატის ცვლილების გაეროს ჩარჩო კონვენციის პარიზის შეთანხმების ფარგლებში შემუშავდა საქართველოს განახლებული „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დოკუმენტი, რომლის თანახმადაც საქართველო იღებს უპირობო ვალდებულებას, 2030 წლისთვის ეროვნულ დონეზე სათბურის აირების ემისიების მაჩვენებელი 1990 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელზე 35 პროცენტით ნაკლები იყოს;

» შემუშავდა სტრატეგიული დოკუმენტები კლიმატის ცვლილების, ნარჩენების მართვის და სხვა მიმართულებით.

ახალი სამართლებრივი მოთხოვნები მნიშვნელოვან პასუხისმგებლობას აკისრებს მეწარმეებს, კერძოდ:

» „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონის შესაბამისად, თუ საწარმოს საქმიანობის შედეგად გარემოს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება, საწარმო ვალდებული იქნება, ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებები განახორციელოს. ისინი, პირველ რიგში, მიმართული იქნება დაზიანებული გარემოს პირვანდელ ან მასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენისკენ.

» საწარმოები საქმიანობის დაწყებამდე მოახდენენ ფინანსური გარანტიების/რესურსების მობილიზებას, რათა გარემოს დაზიანების შემთხვევაში, ჰქონდეთ სათანადო თანხები გარემოსთვის მიყენებული ზიანის მოკლე ვადაში აღმოსაფხვრელად. ზიანის ფულადი ანაზღაურების შედეგად გადახდილი თანხები მიმართული იქნება სპეციალურად შექმნილ „გარემოსდაცვითი ზიანის ფონდში“. საქართველო არის პირველი ქვეყანა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის, რომელიც ასეთ ფონდს ქმნის. აღნიშნულ ფონდში აკუმულირებული თანხები მოხმარდება ქვეყნის მასშტაბით დაზიანებული ტერიტორიების აღდგენას, გარემოს გაუმჯობესებასა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებას.

ერთია კანონის მიღება, ხოლო შემდეგი ნაბიჯი მისი ეფექტიანი აღსრულებაა, რაშიც გარემოსდაცვითი საკითხების კომპლექსურობიდან გამომდინარე გარკვეულ სირთულეებს ვაწყდებით. უნდა აღვნიშნო კერძო სექტორის მზაობა – სახელმწიფოს ხელშეწყობით მათ წინაშე არსებული ამოცანები დაძლიონ. დარწმუნებული ვარ, სახელმწიფოსა და მეწარმეების ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ სასურველ შედეგებს მივაღწიოთ.

**როგორია ქვეყნის პოლიტიკა ეკოინოვაციების პროცესის კიდევ უფრო მეტად დანერგვისა და გააქტიურებისთვის სხვადასხვა სექტორში? როგორ უნდა დაეხმაროს პოლიტიკა მწვანე ეკონომიკას?**

ეკოინოვაცია მჭიდროდ უკავშირდება ჩვენს მიერ ბუნებრივი რესურსების გამოყენებასაც, იმას, თუ როგორ ვაწარმოებთ და მოვიხმართ პროდუქციას.

international organisations are directly involved.

**What are Georgia's commitments as concerns eco-innovation under the Association Agreement and what concrete steps have been taken to implement them? What are the obligations for both the state and private companies?**

An important part of the Association Agreement includes environmental reforms to improve environmental management, to manage air, water and soil systems as is done in EU countries, to improve the country's ecological state and to create conditions for a healthier environment for the public.

The important part of the Association Agreement is cooperation on environmental issues, thereby our country will contribute to the long-term goals of sustainable development and green economy. Environmental protection will benefit the citizens and businesses in Georgia by improving public health, conserving natural resources, protecting the eco-systems, increasing economic and environmental efficiency, as well as contributing to the development of environmentally sustainable production supported through the use of modern and clean technologies.

Significant steps have been taken in this direction in the last few years:

» Since 2014, the Parliament of Georgia has adopted a number of important laws, such as: the "Environmental Assessment Code", the "Waste Management Code", the new "Forest Code", the Law "On Environmental Liability". The Law "On Biodiversity Protection", "On Water Resources Management" and "On Industrial Emissions" will be submitted to the Parliament for consideration in the near future.

» Within the framework of the Paris Agreement on the UN Framework Convention on Climate Change, Georgia has developed an updated "Nationally Determined Contribution" document, according to which Georgia makes an unconditional commitment to reduce greenhouse gas emissions by 35 per cent by 2030 at the national level compared to 1990.

» Strategic documents in the field of climate change, waste management and others have been developed.

New legal requirements impose significant responsibilities on businesses, namely:

» According to the Law on Environmental Liability, if significant damage is caused to the environment as a result of an enterprise's activities, it will be obliged to take remedial measures. They will primarily be aimed at restoring the damaged environment to its original state or close to it.

» Prior to launching actions, enterprises will accumulate appropriate financial guarantees/resources for remediating damage to the environment, thus possessing sufficient financial means for undertaking actions in the nearest period of time.

» Funds accumulated after monetary remediation will be deployed to the "Environmental Damage Fund". Georgia will be the first country among the Eastern Partnership framework to establish such Fund. Deployed funds will be generated and applied to planning-implementing activities for remediation of damaged territories and enhancing environment.

One is to pass a law, and the next step is its effective implementation, in which we face some difficulties due to the complexity of environmental issues. I must mention the readiness of the private sector to overcome the tasks they face with the support of the state. I am confident that with the joint efforts of the state and entrepreneurs we will be able to achieve the desired results.

**AN IMPORTANT PART OF THE ASSOCIATION AGREEMENT INCLUDES ENVIRONMENTAL REFORMS TO IMPROVE ENVIRONMENTAL MANAGEMENT, TO MANAGE AIR, WATER AND SOIL SYSTEMS AS IS DONE IN EU COUNTRIES, TO IMPROVE THE COUNTRY'S ECOLOGICAL STATE AND TO CREATE CONDITIONS FOR A HEALTHIER ENVIRONMENT FOR THE PUBLIC.**

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ეკოეფექტურობისა და ეკოინდუსტრიების კონცეფციების გათვალისწინება, რაც ხელს უწყობს კომპანიის მიერ პროდუქციის წარმოებისას გარემოს დაცვის ფაქტორების გათვალისწინებას და მოაქვს კონკურენტული უპირატესობა ბიზნეს სექტორში გარემოზე ზიანის შემცირებით. აღნიშნული გულისხმობს ენერგიის მოხმარების შემცირებას და საწარმოო გამონაბოლქვის კონტროლს, წყლის რესურსის უფრო ეფექტურად გამოყენებას და ნარჩენების მართვის სისტემის დახვეწას.

ამ ეტაპზე ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი მწვანე პოლიტიკის წახალისებაა. საჭიროა შეიქმნას სათანადო სამართლებრივი ბაზა, რომელიც იქნება ადამიანების კეთილდღეობის, ბუნებრივი კაპიტალის დაცვისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირების საფუძველი. გარემოს დაცვის, ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებითა და თავმოყრით, ჩვენ შევიმუშავებთ პოლიტიკის დოკუმენტებს და საკანონმდებლო ცვლილებებს, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად უზრუნველვყოფთ დაგეგმარებისა და ინვესტიციების „გამწვანებას“, წავახალისებთ ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებას, ახალი ბიზნეს-მოდელების მიღებას და „მწვანე სამუშაოების“ განვითარებას.

მწვანე ეკონომიკური ზრდისა და ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობისთვის პოლიტიკის დონეზე გატარდება რეფორმები – წარმოებაში საუკეთესო გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების დანერგვის წახალისებისთვის, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და ეკოლოგიური მდგრადობის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. დაიხვეწება კანონმდებლობა ტყის, წყლისა და წიაღისეულის რესურსების მდგრადი მოპოვებისა და ზედამხედველობის გაძლიერებისთვის. საყურადღებოა, რომ დაიხვეწება კანონმდებლობა საყოფაცხოვრებო ინერტული და მწვანე ნარჩენების ეფექტიანი გამოყენების, აღდგენილი ნარჩენების ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვისა და გარემოს დაბინძურების პრევენციის მიმართულებით.

**როგორია ევროპული მიდგომა ამ თვალსაზრისით და თუ იყენებს საქართველოს ხელისუფლება მათ გამოცდილებას? რამდენად შეუწყობს ხელს ეკოინოვაციების დანერგვა-წახალისება ქვეყნის მდგრად განვითარებას და რა გამოცდილება მიიღო ამ თვალსაზრისით ბიზნესმა და ხელისუფლებამ პანდემიისგან?**

არსებობს სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება. უნდა გვახსოვდეს, რომ მნიშვნელოვანია არა უნიფიცირებული მიდგომის ძიება, არამედ, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გაზიარება და აღნიშნულის ადაპტირება ადგილობრივი კონტექსტისა და საჭიროებების შესაბამისად. მაგალითად, სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს პრაქტიკა, რომლის მიხედვით მწარმოებელს აქვს კომპანიის „მწვანე სტრატეგია“ და გარემოსდაცვით ანგარიშგებას აწარმოებს. ზოგან მსგავსი ანგარიშგება სავალდებულოც არის. თვითმონიტორინგის სისტემა გარკვეულწილად ჩვენთან უკვე ამოქმედდა ცალკეული მიმართულებით: მაგალითად, ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ კანონის თანახმად, საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის წარმოების მიზნით, ინსტრუმენტული

**What is the country's policy as concerns the further introduction and intensification of the eco-innovation process in various sectors? How should politics help the green economy?**

Eco-innovation is also closely linked to our use of natural resources, how we produce and consume products. In addition, it is important to consider the concepts of eco-efficiency and eco-industries, which helps the company to consider the environmental factor in the production and brings a competitive advantage in the business sector by minimising environmental damage. This includes reducing energy consumption and controlling emissions, using water resources more efficiently and improving the waste management system.

One of our top priorities at this point is endorsing greening policy. It is necessary to create an appropriate legal framework that will be the basis for the well-being of people, protection of natural capital and stimulation of economic growth. Taking into account environmental and economic factors, we will develop policy and legislative changes, work with the executive branch to "green" planning and investment, encourage the use of innovative technologies, adopt new business models and develop "green jobs".

Reforms will be carried out at the policy level to promote green economic growth and the circular economy, to encourage the introduction of the best environmental technologies in production, taking into account the best interests of public health and environmental sustainability. Legislation will be improved to strengthen the sustainable extraction and the oversight of forest, water and mineral resources. It is noteworthy that the legislation will be improved in the direction of efficient use of inert and green household waste, inclusion of recycled waste in economic circulation and prevention of environmental pollution.

**What is the European approach in this regard and is the Georgian government applying this experience? To what extent will the introduction and encouragement of eco-innovations contribute to the sustainable development of the country, and what experience have business and government gained from the pandemic in this regard?**

There are various approaches. We must remember that it is important not to seek a unified approach, but to share the experience





მეთოდით, უწყვეტად განსაზღვროს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობა. ეტაპობრივად, ჩვენ გადავდივართ ევროპულ, გარემოსდაცვით მმართველობაზე და ბუნებრივია, აღნიშნული ხდება კანონმდებლობის ჰარმონიზაციის გზითაც.

რაც შეეხება პანდემიის გავლენას, ყველანი ვრწმუნდებით, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური ინოვაციების მეტად განვითარება.

საყურადღებოა, რომ კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით მომზადებულია კანონპროექტები, რომელთა განხილვას საქართველოს პარლამენტი უახლოს მომავალში დაიწყებს და აღნიშნული მნიშვნელოვნად წაახალისებს ქვეყნის მდგრად განვითარებას.

**რას იტყვით საქართველოს მდგრად მომავალზე? რა გზა გვაქვს გასავლელი ამ მიმართულებით, როგორია ჩვენი პერსპექტივა?**

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკის დონეზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მდგრად განვითარებას. ყველა საპარლამენტო კომიტეტი თავის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ თითოეულ აქტივობას უკავშირებს მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან ერთ-ერთს და განსაზღვრავს, ეს კონკრეტული აქტივობა რომელი ამოცანის შესრულებას შეუწყობს ხელს.

პარლამენტში ფუნქციონირებს ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, რომელიც საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად მდგრადი განვითარების საკითხებზე მუშაობს.

აუცილებელია ხელი შევუწყოთ მწვანე, ინკლუზიურ და მდგრად განვითარებას. ჩვენ ნებაყოფლობით შევუერთდით მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვას ეროვნულ პოლიტიკაში და შესაბამისად, მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი თანაზომიერად ეხება განვითარების 3 განზომილებას: ეკონომიკურს, სოციალურს და გარემოსდაცვითს და წარმოადგენს იმ მიზნების, ამოცანების და ინდიკატორების ეროვნულ განსაზღვრებას, რომლის შესაბამისადაც საქართველო უზრუნველყოფს ეროვნული და სექტორული პოლიტიკის დაგეგმვას 2030 წლამდე.

of different countries and adapt it to the local context and needs. For example, in many countries there is a practice according to which the manufacturer has a company-wide "green strategy" and produces environmental reporting. In some places, such reporting is even mandatory. The self-monitoring system has already been activated in our country in some directions: for example, according to the Law on Protection of Ambient Air, the operator is obliged to self-monitor the emission of harmful substances from stationary sources of pollution an instrumental method for determining the actual amount of emissions. Gradually, we are moving to the European environmental governance, and, naturally, this is also being done through the harmonisation of legislation.

As for the impact of the pandemic, we all believe that it is very important to further develop technological innovations.

It is noteworthy that in close cooperation with the private sector, draft laws have been prepared, the discussion of which will be initiated by the Parliament of Georgia in the near future, and this will significantly encourage the sustainable development of the country.

**What would you say about Georgia's sustainable future? What path do we have to take in this direction?**

It should be noted that at the policy level, special attention is paid to sustainable development. All parliamentary committees link each of the activities set out in their action plans to one of the 17 Sustainable Development Goals and determine which task this particular activity will contribute to.

There is also a Parliamentary Standing Council for Open Government in the Parliament, which works with international and local organisations on sustainable development issues.

We have to stimulate green, inclusive and sustainable development. We are participating in efforts to achieve the Sustainable Development Goals and, consequently, the National Sustainable Development Goals document equally addresses three dimensions of development - economic, social and environmental, - and is a national appropriation of the Goals, objectives and indicators according to which Georgia ensures national and sectoral policy planning through 2030.

## ბათუმის ბულვარი ეკოლოგიის დასაცავად



# BATUMI BOULEVARD FOR ECOLOGY

ისეთი გამორჩეული საკურორტო ქალაქისთვის, როგორიც ბათუმია, ეკოლოგიას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. შავი ზღვის დაბინძურება, სანაპირო ზოლის სიახლოვეს მიმდინარე მშენებლობები, ნარჩენების მართვა, მოსახლეობის დაბალი ეკოლოგიური თვითშეგნება - წლებია აქტუალობას არ კარგავს. ეკოუსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარებისათვის მათზე ზრუნვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ბათუმი EBRD-ის მწვანე ქალაქის ჩარჩო პროგრამის წევრია. პროგრამა წარმოადგენს მწვანე ურბანული განვითარების სრულფასოვან ბიზნესმოდელს, სადაც სტრატეგიულ დაგეგმვასთან ერთად, გათვალისწინებულია ინვესტირებისა და ტექნიკური დახმარების კომპონენტები, რაც გულისხმობს გარემოსდაცვითი პრობლემების, მათ შორის, ეკოლოგიასა და მწვანე გარემოსთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას. ბათუმის ბულვარი, როგორც ქალაქის სავიზიტო ბარათი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი, აქტიურადაა ჩართული ამ საქმიანობაში. მისი ხელმძღვანელები, სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების დახმარებით, შეძლებისდაგვარად ცდილობენ გარემოს გაჯანსაღებას. როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი და რა პერსპექტივა აქვს ბულვარის მწვანე განვითარებას, სსიპ ბათუმის ბულვარის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, **სოფიო ლაზიშვილი** გვესაუბრება.

ECOLOGY IS CRUCIAL FOR A DISTINGUISHED RESORT SUCH AS BATUMI. POLLUTION OF THE BLACK SEA, CONSTRUCTION NEAR THE COASTLINE, WASTE MANAGEMENT, LOW ENVIRONMENTAL AWARENESS AMONG THE POPULATION – ALL OF THESE ISSUES HAVE BEEN HIGH ON THE LOCAL PUBLIC'S AGENDA FOR YEARS. ECO-SECURITY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT REQUIRE CRITICAL CARE.

BATUMI IS A MEMBER OF THE EBRD GREEN CITIES FRAMEWORK PROGRAM. THE PROGRAM ENTAILS A COMPREHENSIVE BUSINESS MODEL FOR GREEN URBAN DEVELOPMENT, WHERE ALONGSIDE STRATEGIC PLANNING, INVESTMENT AND TECHNICAL ASSISTANCE COMPONENTS ARE CONSIDERED TO ADDRESS ENVIRONMENTAL ISSUES, INCLUDING ECOLOGY AND GREEN ENVIRONMENT ISSUES. BATUMI BOULEVARD, AS THE CALLING CARD OF THE CITY AND ONE OF ITS IMPORTANT COMPONENTS, IS ACTIVELY INVOLVED IN THIS ACTIVITY. THE LEADERS OF THE BOULEVARD, WITH HELP FROM VARIOUS INTERNATIONAL AND LOCAL PROJECTS, TRY TO IMPROVE THE ENVIRONMENT AS MUCH AS POSSIBLE. **SOPHIO LAZISHVILI**, ACTING DIRECTOR OF BATUMI BOULEVARD, TALKS ABOUT HOW THIS PROCESS IS GOING AND WHAT OPPORTUNITIES THERE ARE FOR THE BOULEVARD IN GREEN DEVELOPMENT.

*„გარემოს საგანმანათლებლო ფონდი“ (FEE) მსოფლიოში გარემოს დაცვის მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ორგანიზაციაა, რომლის მთავარი პრიორიტეტია ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის კუთხით განათლების ხელშეწყობა. გარემოს მაღალ ხარისხთან ასოცირებული „ლურჯი დროშის“ პროექტი ითვალისწინებს საპლაჟო ინფრასტრუქტურის, ეკოლოგიის, განათლებისა და უსაფრთხოების მიმართულებით თანამედროვე სტანდარტებთან დაახლოებას.*

**THE FOUNDATION FOR ENVIRONMENTAL EDUCATION (FEE) IS ONE OF THE MOST RENOWNED ENVIRONMENTAL ORGANIZATIONS IN THE WORLD, THE MAIN PRIORITY OF WHICH IS TO PROMOTE EDUCATION IN THE FIELD OF ECOLOGY AND ENVIRONMENTAL PROTECTION. THE BLUE FLAG PROGRAM, ASSOCIATED WITH HIGH ENVIRONMENTAL QUALITY, AIMS TO BRING BEACH INFRASTRUCTURE UP TO MODERN STANDARDS OF ECOLOGY, EDUCATION AND SAFETY.**

**არცთუ დიდი ხნის წინ ბათუმის ბულვარი „გარემოს საგანმანათლებლო ფონდის“ (FEE) წევრი გახდა, რაც სხვადასხვა გარემოსდაცვით პროექტებთან ერთად, ითვალისწინებს „ლურჯი დროშის“ განხორციელებასაც. უფრო კონკრეტულად გვიამბეთ ამ პროექტისა და ორგანიზაციის შესახებ – რა მიზნებს ემსახურება, რა სარგებლობას მოუტანს მისი წევრობა ქალაქს?**

„გარემოს საგანმანათლებლო ფონდთან“ (FEE) თანამშრომლობა 2019 წლიდან დავიწყეთ. ფონდის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, 2020 წლიდან სსიპ ბათუმის ბულვარი ფონდის ოფიციალური წევრი გახდა. მისი პარტნიორობა საშუალებას გვაძლევს, ვიყოთ საქართველოში „ლურჯი დროშის“ პროგრამაზე პასუხისმგებელი უწყება, რაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ბათუმის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის ცნობადობაზე საერთაშორისო დონეზე.

„გარემოს საგანმანათლებლო ფონდი“ (FEE) მსოფლიოში გარემოს დაცვის მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ორგანიზაციაა, რომლის მთავარი პრიორიტეტია ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის კუთხით განათლების ხელშეწყობა. გარემოს მაღალ ხარისხთან ასოცირებული „ლურჯი დროშის“ პროექტი ითვალისწინებს საპლაჟო ინფრასტრუქტურის, ეკოლოგიის, განათლებისა და უსაფრთხოების მიმართულებით თანამედროვე სტანდარტებთან დაახლოებას.

„ლურჯი დროშა“ მსოფლიოში ყველაზე აღიარებული ნებაყოფლობითი ეკოლოგიური ნიშანია, რომლებიც პლაჟებს, იახტებს და სანაოსნო ტურიზმის ოპერატორებს ენიჭება. მისი მოპოვებისთვის აუცილებელია ეკოლოგიის, განათლებისა და უსაფრთხოების მიმართულებით მკაცრი კრიტერიუმების დაცვა. ჩვენი ვალდებულებაა, სწორად წარვმართოთ ამ პროექტით

**Batumi Boulevard recently became a member of the Foundation for Environmental Education (FEE), which, alongside various environmental projects, includes the implementation of the Blue Flag. Tell us more specifically about this program and the organization - what goals does it serve, what benefits will its membership bring to the city?**

Our cooperation with the Foundation for Environmental Education (FEE) started in 2019. According to the decision of the Board of Directors of the Foundation, LEPL Batumi Boulevard became an official member in 2020. Its partnership allows us to be responsible for the Blue Flag Program in Georgia, which will benefit both the city and its residents.

The Foundation for Environmental Education (FEE) is one of the most renowned environmental organizations in the world, the main priority of which is to promote education in the field of ecology and environmental protection. The Blue Flag Program, associated with high environmental quality, aims to bring beach infrastructure up to modern standards of ecology, education and safety.

The Blue Flag is the world's most recognized voluntary awards for beaches, marinas and boat operators. To obtain it, it is necessary to comply with strict criteria in the field of ecology, education and safety. It is our obligation to properly manage the activities envisaged by this project, to establish a regional committee together with the Blue Flag National Committee, and to follow the requirements imposed by this process. One such project planned to be implemented by Batumi Boulevard this very year, will install a Baywatch tower and informative infrastructure on the beach from ecologically clean materials. Batumi Boulevard generally gives preference to ecologically clean materials when implementing new projects.

**Another project in which your organization is involved is marine waste management. There is an installation in the boulevard on this subject. Given the number of visitors to Batumi during recent years, this issue is very relevant for the city. What is the main goal of the project and how will it help the city in the proper management of marine waste?**

Batumi Boulevard constantly cooperates with non-governmental organizations



გათვალისწინებული ღონისძიებები, შევქმნათ რეგიონული კომიტეტი „ლურჯი დროშის“ ეროვნულ კომიტეტთან ერთად და შევასრულოთ ის მოთხოვნები, რაც ამ პროცესში გვევალება. ერთ-ერთი ასეთი პროექტი, რომელსაც სსიპ ბათუმის ბულვარი გეგმავს განახორციელოს უკვე მიმდინარე წელს, არის სანაპიროზე ეკოლოგიურად სუფთა მასალისგან შექმნილი სამაშველო კოშკურის და დამხმარე საინფორმაციო ინფასტრუქტურის განთავსება. ამასთან, ბათუმის ბულვარი ყველა დაგეგმილი პროექტის განხორციელების პროცესში უპირატესობას ანიჭებს ეკოლოგიურად სუფთა მასალის გამოყენებას.

**კიდევ ერთი პროექტი, რომელშიც თქვენი ორგანიზაცია ჩაერთო, საზღვაო ნარჩენების მართვაა. ბულვარში დგას ინსტალაცია ნარჩენების თემაზე. ბოლო წლებში ბათუმში ჩამოსულ სტუმართა რაოდენობის გათვალისწინებით, ეს საკითხი ქალაქისთვის ძალზე აქტუალურია. რა არის პროექტის ძირითადი მიზანი და როგორ დაეხმარება ქალაქს საზღვაო ნარჩენების სწორად მართვაში?**

ბათუმის ბულვარი რეგულარულად თანამშრომლობს იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც ეკოლოგიის მიმართულებით მუშაობენ. საზღვაო ნარჩენების მართვის პროექტიც ერთ-ერთი ასეთი ინიციატივა იყო. ამავდროულად, ბათუმის ბულვარი და ქალაქის დასუფთავების სამსახური ბულვარის ტერიტორიაზე სისუფთავის შენარჩუნების, ნარჩენებისა თუ დანაგვიანების მართვისათვის მუდმივად ზრუნავენ. ტურისტული სეზონის მანძილზე ყოველ დილით იწმინდება ბულვარის პლაჟის ტერიტორია, დღეში რამდენიმეჯერ გააქვთ ნარჩენები.

გასულ წელს ბათუმის ბულვარში ახალი ინსტალაცია განთავსდა, რომელიც ზღვის საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან დაბინძურების წინააღმდეგ არის მიმართული. ინსტალაციას გამჭვირვალე ქვიშის საათის ფორმა აქვს, სადაც ზღვის ცხოველებთან ერთად სიმბოლურად განთავსებულია პლასტმასის ბოთლები. პროექტი, რომელიც ბათუმელმა მხატვარმა, ირინა ტორონჯაძემ ეკოლოგიის ინსტიტუტთან ერთად

*გასულ წელს ბათუმის ბულვარში ახალი ინსტალაცია განთავსდა, რომელიც ზღვის საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან დაბინძურების წინააღმდეგ არის მიმართული. ინსტალაციას გამჭვირვალე ქვიშის საათის ფორმა აქვს, სადაც ზღვის ცხოველებთან ერთად სიმბოლურად განთავსებულია პლასტმასის ბოთლები. პროექტი, რომელიც ბათუმელმა მხატვარმა, ირინა ტორონჯაძემ ეკოლოგიის ინსტიტუტთან ერთად განახორციელა, მიზნად ისახავს შავი ზღვის დაცვის იდეას და გარემოსდაცვით გამოწვევებზე ცნობიერების ამაღლებას, საზღვაო ნარჩენების შემცირებისა და მათი ხელმეორედ გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით.*

**LAST YEAR, A NEW INSTALLATION WAS SET UP ON THE BOULEVARD, AIMED AT COMBATING MARINE POLLUTION BY HOUSEHOLD WASTE. THE INSTALLATION HAS THE SHAPE OF A TRANSPARENT HOURGLASS, WHERE PLASTIC BOTTLES ARE SYMBOLICALLY PLACED WITH SEA ANIMALS. THE PROJECT, IMPLEMENTED BY BATUMI ARTIST IRINA TORONJADZE IN COOPERATION WITH THE INSTITUTE OF ECOLOGY, AIMS TO PROTECT THE BLACK SEA AND RAISE AWARENESS OF ENVIRONMENTAL CHALLENGES, MARINE LITTER REDUCTION AND PROMOTION OF REUSE.**

განახორციელა, მიზნად ისახავს შავი ზღვის დაცვის იდეას და გარემოსდაცვით გამოწვევებზე ცნობიერების ამაღლებას, საზღვაო ნარჩენების შემცირებისა და მათი ხელმეორედ გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით. ეს იდეა ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია, ამიტომაც გადაწყდა, ინსტალაცია დადგმულიყო ბათუმის ბულვარში, სადაც ყველაზე მეტი ხალხი იყრის თავს – როგორც ეკოლოგიაზე ზრუნვის კიდევ ერთი ნაბიჯი.

**ეკოლოგია ქალაქისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. რა კეთდება ამ მიმართულებით ბათუმის ბულვარში და რა სიახლეები ელოდება ბათუმელებს და ქალაქის სტუმრებს სამომავლოდ?**

ჯანსაღ გარემოზე ზრუნვა ნამდვილად არის ბათუმის ბულვარის პრიორიტეტი. როგორც ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი, ვცდილობთ, ამ საქმეში ჩვენი წვლილი შევიტანოთ. სწორედ ეკოლოგიის გაჯანსაღებას ემსახურება ბათუმის ბულვარში გამწვანების მიმართულებით განხორციელებული არაერთი ღონისძიება, მათ შორის, მწვანე ზოლის განახლება. ამისათვის ფიჭვების ხეივანს ყოველწლიურად ახალ ნერგებს ვამატებთ. ბულვარში ყოველწლიურად ვრგავთ ათასობით მარადმწვანე ხე-მცენარეს. გარდა ამისა, ინფრასტრუქტურის განახლებისას უპირატესობას ვანიჭებთ ბუნებრივ, ეკოლოგიურად სუფთა მასალებს. ასეთია ბავშვთა კუთხე ახალ ბულვარში, სადაც საბავშვო ატრაქციონები ეკოლოგიურად სუფთა მასალისგან დამზადდა. მომავალ წელს ძველი ბულვარის საბავშვო კუთხის რეაბილიტაციასაც ამავე პრინციპით ვგეგმავთ.

ბათუმის ბულვარი, პირველ რიგში, მწვანე რეკრეაციული ზონაა, სადაც ადამიანებმა უსაფრთხო, სუფთა და სასიამოვნო გარემოში უნდა იგრძნონ თავი. შესაბამისად, ჩვენ მიერ დაგეგმილი ყველა ღონისძიება მიმართულია რეკრეაციული ზონის კიდევ უფრო გაუმჯობესებისა და განვითარებისაკენ. ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა.



working in the field of ecology. The Marine Waste Management Project was one of such initiatives. At the same time, Batumi Boulevard and the city cleaning service constantly works towards cleanliness, waste or litter management on the boulevard area. The boulevard beach area is cleaned every morning during the tourist season, garbage and rubbish is removed several times a day.

Last year, a new installation was set up on the Boulevard, aimed at combating marine pollution by household waste. The installation has the shape of a transparent hourglass, where plastic bottles are symbolically placed with sea animals. The project, implemented by Batumi artist Irina Toronjadze in cooperation with the Institute of Ecology, aims to protect the Black Sea and raise awareness of environmental challenges, marine litter reduction and promotion of reuse. This idea is important for us as well, so it was decided to install it on Batumi Boulevard where many people gather as another step towards caring for the environment.

**Ecology is especially important for the city. What is being done in this regard on Batumi Boulevard and what can Batumi residents and city guests expect in the future?**

Caring for a healthy environment is a priority for Batumi. As an important part of the city, we strive to contribute to this cause. Numerous measures implemented with regards to greening up Batumi Boulevard, including the renewal of the green line, serve to improve the ecology. To this end, we add new seedlings to the pine alley every year. Thousands of evergreen trees are planted in the boulevard annually. In addition, we opt for natural, environmentally friendly materials when upgrading infrastructure. Children's corner on the new boulevard is such an example, where children's attractions are made from environmentally friendly materials. Next year we plan to renovate the children's corner of the old boulevard along the same principles.

Batumi Boulevard is, primarily, a recreational green zone, where people should find themselves in a safe, clean and pleasant environment. Accordingly, all the activities we have planned are aimed at further improving and developing the recreation area. This is our main task.

# „ᲗᲔᲠᲛᲝᲠᲣᲛᲘ“ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲔᲙᲝᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ




# THERMORUM FOR A HEALTHY ECO-FUTURE

„თერმორუმი“ გაეროს გლობალური შეთანხმების ხელმომწერი ორგანიზაციაა, რომელიც საქმიანობს გათბობა-კონდიცირებისა და წყალმომარაგების სისტემების მიმართულებით. მისი ფუნქციაა, იყოს მაკავშირებელი რგოლი ინდუსტრიის მოწინავე მწარმოებლებსა და მომხმარებელს შორის. ეკოინოვაციები და ეკომეგობრული პროდუქცია ამ სფეროს განუყოფელი ნაწილია და მნიშვნელოვანია, თითოეულმა კომპანიამ საკუთარი პასუხისმგებლობა აიღოს დედამიწის ეკოსისტემის გადარჩენაზე. არსებული ვითარების გაუმჯობესებასთან ერთად, ეს საჭიროა მომდევნო თაობების წარმატებული და ჯანსაღი მომავლისთვისაც.

„თერმორუმელებიც“ ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ.

კომპანია 2016 წელს დაარსა ხუთმა მეგობარმა, რომლებიც მრავალი წელია, გათბობა-კონდიცირების სფეროში საქმიანობენ. ძირითადი მიმართულებებია: შენობა-ნაგებობების გათბობა-გაგრილება, ვენტილაციისა და წყალმომარაგების სისტემების იმპორტი, რეალიზაცია, პროექტირება, სამონტაჟო სამუშაოები და მომსახურება. შესრულებული აქვთ რამდენიმე მნიშვნელოვანი მსხვილი პროექტი, მათ შორის, „ორბი სითის“ 10 000-მდე აპარტამენტის აღჭურვა უმაღლესი ხარისხის კონდიციონერებით. ხარისხიანი პროდუქციის შეთავაზებით და სწორი კორპორაციული პასუხისმგებლობით კომპანიამ სწრაფად მოიპოვა მომხმარებლის ნდობა.

Thermorum is a signatory of the UN GLOBAL COMPACT, and operates in the field of heating and cooling and water supply systems. Its function is to be a link between the industry's leading manufacturers and customers. Eco-innovations and eco-friendly products are an integral part of this field, and it is essential that each company have its own responsibility to save the earth's ecosystem. As the current situation improves, so does the need for a successful and healthy future for generations to come. Thermorum's employees are also guided by this principle.

The company was founded in 2016 by five friends who have been working on heating and air conditioning for many years. Its main directions are heating and cooling, import, sale, design, installation and services of ventilation and water supply systems. Several important major projects are on their account, including equipping 10,000 Orbi City apartments with the highest quality air conditioning systems. By offering quality products coupled by a strong sense of corporate responsibility, the company quickly



*ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ, ᲔᲜᲔᲠᲒᲝᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲕᲔᲬᲐ, ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲓᲐᲜ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲐ. „ᲗᲔᲠᲛᲝᲠᲣᲛᲘ“ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲯᲐᲜᲡᲐᲦᲔᲑᲐᲖᲔ – ᲔᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲙᲝᲠᲞᲝᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘᲐ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲒᲐᲐᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲡ (ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲑᲝᲑᲐ, ᲒᲐᲒᲠᲘᲚᲔᲑᲐ, ᲕᲔᲜᲢᲘᲚᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲐᲚᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲐ) ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ, ᲡᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲐᲛᲪᲘᲠᲝᲡ $CO_2$-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲐ ᲓᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲝᲡ ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲨᲘ, ᲣᲐᲠᲘ ᲗᲥᲕᲔᲡ ᲓᲐᲑᲐᲚᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲘᲛᲞᲝᲠᲢᲖᲔ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲑᲐᲖᲠᲝ ᲬᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲡ.*

ამჟამად დასაქმებული ჰყავთ 70 თანამშრომელი.

მდგრადი განვითარება, ენერგოეფექტური პროდუქტების შექმნა და დახვეწა, დაარსების დღიდან ბიზნესსტრატეგიის განუყოფელი ნაწილია. „თერმორუმი“ ზრუნავს გარემოს დაცვასა და გაჯანსაღებაზე – ეს მათი კორპორაციული პასუხისმგებლობის შემადგენელია. მას შემდეგ, რაც გააცნობიერეს, რომ ამ სექტორს (შენობების გათბობა, გაგრილება, ვენტილაცია და წყალმომარაგება) შეუძლია, საგრძნობლად შეამციროს $CO_2$-ის გამოყოფა და მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს პარიზის შეთანხმებით დადგენილი მიზნების მიღწევაში, უარი თქვეს დაბალეფექტური პროდუქციის იმპორტზე. აღნიშნული პროდუქტის ხელმისაწვდომობიდან და დიდი საბაზრო წილიდან გამომდინარე, გადაწყვეტილება არ იყო მარტივი, თუმცა არჩევანი ხარისხისა და ეკოლოგიის სასარგებლოდ გააკეთეს.

„თერმორუმი“ თანამშრომლობს ისეთი მაღალი კორპორაციული პასუხისმგებლობის მქონე მწარმოებლებთან, როგორიცაა, Danfoss (დანია), Aermec (იტალია), Caleffi (იტალია), Fonderie Sime (იტალია), Dab pumps (იტალია) და სხვა. ეს კომპანიები მთელ მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოშიც, მომხმარებელს სხვადასხვა ეკოინოვაციურ პროდუქტს სთავაზობენ. საერთო ჯამში, 50-მდე პარტნიორი ჰყავთ




**SUSTAINABLE DEVELOPMENT, THE CREATION AND REFINEMENT OF ENERGY EFFICIENT PRODUCTS, HAVE BEEN AN INTEGRAL PART OF THE BUSINESS STRATEGY SINCE THE COMPANY'S INCEPTION. THERMORUM CARES FOR THE ENVIRONMENT – THIS IS PART OF THEIR CORPORATE RESPONSIBILITY. ONCE THEY REALIZED THAT THIS SECTOR (HEATING, COOLING, VENTILATION AND WATER SUPPLY OF BUILDINGS) COULD SIGNIFICANTLY REDUCE $CO_2$ EMISSIONS AND PLAY AN IMPORTANT ROLE IN ACHIEVING THE GOALS SET OUT BY THE PARIS AGREEMENT, THEY REFUSED TO IMPORT LOW-EFFICIENCY PRODUCTS. GIVEN THE AVAILABILITY OF THIS PRODUCT AND ITS LARGE MARKET SHARE, THE DECISION WAS NOT AN EASY ONE, HOWEVER THE CHOICE WAS MADE IN FAVOR OF QUALITY AND ECOLOGY.**

gained customer trust. Currently it employs 70 people.

Sustainable development, the creation and refinement of energy efficient products, have been an integral part of the business strategy since the company's inception. Thermorum cares for the environment - this is part of their corporate responsibility. Once they realized that this sector (heating, cooling, ventilation and water supply of buildings) could significantly reduce $CO_2$ emissions and play an important role in achieving the goals set out by the Paris Agreement, they refused to import low-efficiency products. Given the availability of this product and its large market share, the decision was not an easy one, however the choice was made in favor of quality and ecology.

Thermorum cooperates with manufacturers with high corporate responsibility, such as Danfoss (Denmark), Aermec (Italy), Caleffi (Italy), Fonderie Sime (Italy), Dab pumps (Italy) and others. These companies offer customers various eco-innovative products all over the world, including in Georgia. In

იტალიაში, ესპანეთში, თურქეთში, უკრაინაში, პოლონეთში, ნიდერლანდების სამეფოსა და ჩინეთში. კომპანიის მიერ იმპორტირებული პროდუქცია სრულად აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის მიერ ცოტა ხნის წინ მიღებულ რეგულაციას აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების ტექნიკური რეგლამენტის შესახებ, რაც კომპანიის კონკურენტულ უპირატესობასა და მომხმარებლებში პროდუქციის მიმართ ნდობას კიდევ უფრო აძლიერებს.

კოვიდპანდემია მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო „თერმორუმისთვის.“ ამ პერიოდში ჰიბრიდული მოდელით: როგორც ოფისში, ისე – დისტანციურად მუშაობდნენ. 2021 წელს კომპანია ახალ ოფისში გადავიდა, რომელიც ყველა რეგულაციის დაცვით ფუნქციონირებს. თანამშრომლები ერთმანეთისგან დაშორებულ სივრცეებში საქმიანობენ, რაც მათ უსაფრთხოებას უწყობს ხელს. „თერმორუმის“ თანამშრომელთა უმრავლესობა სრულად აცრილია. ვაქცინაციას მარკეტინგულადაც ახალისებენ – აცრილ მომხმარებელს საჩუქრებს და ფასდაკლებას სთავაზობენ.

ახალ სათაო ოფისში ამონტაჟებენ მზის ფოტოვოლტურ პანელებს, რაც საშუალებას იძლევა, დაზოგონ ელექტროენერგია, გაუფრთხილდნენ გარემოს და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში თავიანთი წვლილი შეიტანონ. მზის პანელების ინტეგრირებით წლიურად საათში

*„თერმორუმის“ თანამშრომელთა უმრავლესობა სრულად აცრილია. ვაქცინაციას მარკეტინგულადაც ახალისებენ - აცრილ მომხმარებელს საჩუქრებს და ფასდაკლებას სთავაზობენ.*

**MOST OF THE EMPLOYEES OF THERMORUM ARE FULLY VACCINATED. VACCINATION IS ALSO PROMOTED IN MARKETING - GIFTS AND DISCOUNTS ARE OFFERED TO VACCINATED CUSTOMERS.**



**THE NEXT STAGE IS SAVING DRINKING WATER, WHICH INVOLVES COLLECTING AND FILTERING RAINWATER FOR SANITARY PURPOSES.**

*შემდეგი ეტაპი სასმელი წყლის დაზოგვას უკავშირდება, რაც სანიტარული მიზნებისათვის წვიმის წყლის მოგროვება-ფილტრაციას ითვალისწინებს.*

total, Thermorum has up to 50 partners in Italy, Spain, Turkey, Ukraine, Poland, the Kingdom of the Netherlands and China. The products imported by the company fully comply with the recent technical regulation adopted by the Georgian Government on gas-fired equipment, which further enhances the competitive advantage of the company and consumer confidence in the products.

The Covid-pandemic was a major challenge for Thermorum. It worked in a hybrid modality: from offices and through distance mode. In 2021, the company moved to a new office that operates in compliance with all regulations. Employees act in remote spaces, which ensures their safety. Most of the employees of Thermorum are fully vaccinated. Vaccination is also promoted in marketing - gifts and discounts are offered to vaccinated customers.

Solar photovoltaic panels are being installed in the new headquarters, which will allow them to save electricity, care for the environment and contribute to solving environmental problems. Integrating solar panels will generate 139 megawatts of electricity per






139 მეგავატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ, რაც ტოქსიკური აირის გამოყოფას რამდენიმე ათასი კილოგრამით შეამცირებს. ეს არის პირველი დიდი ნაბიჯი იმ მიზნისკენ, რომელიც სათაო ოფისისა და ცენტრალური საწყობის სრულად განახლებული ენერგიით ოპერირებას გულისხმობს. შემდეგი ეტაპი სასმელი წყლის დაზოგვას უკავშირდება, რაც სანიტარული მიზნებისათვის წვიმის წყლის მოგროვება-ფილტრაციას ითვალისწინებს.

„თერმორუმი“ ახორციელებს მაღალსართულიანი შენობებისთვის წყალმომარაგების სატუმბო სადგურების სამწყობრო სამუშაოებს. კომპანიის ინჟინრები თითოეულ პროექტზე მორგებულ ექსკლუზიურ, ენერგოეფექტურ სატუმბო სადგურებს აწყობენ, რაც დამკვეთს აძლევს საშუალებას, ევროპული ხარისხის ენერგოეფექტური პროდუქტი 25-30 პროცენტით დაბალ ფასად შეიძინოს, ამასთანავე საგრძნობლად დაზოგოს ელექტროენერგიისა და წყლის მოხმარება

კომპანიაში მიაჩნიათ, რომ 21-ე საუკუნის მთავარ გამოწვევას – დედამიწის ეკოლოგიური კატასტროფისგან გადარჩენას მხოლოდ ეკოინოვაციების დახმარებით გაუმკლავდებიან. განვითარებასა და ხარისხზე გაკეთებულ აქცენტთან ერთად, მნიშვნელოვანია ბუნებრივი რესურსების დაზოგვა და ჯანსაღ გარემოზე ზრუნვა. ეს მათი ვალდებულებაცაა და მოვალეობაც მომავალი თაობების წინაშე.

**THE COMPANY BELIEVES THAT THE MAIN CHALLENGE OF THE 21ST CENTURY – SAVING THE EARTH FROM ECOLOGICAL CATASTROPHE – CAN ONLY BE ADDRESSED WITH THE HELP OF ECO-INNOVATIONS.**

*კომპანიაში მიაჩნიათ, რომ 21-ე საუკუნის მთავარ გამოწვევას - დედამიწის ეკოლოგიური კატასტროფისგან გადარჩენას მხოლოდ ეკოინოვაციების დახმარებით გაუმკლავდებიან.*

year, reducing the emission of toxic gases by several thousand kilograms. This is the first big step towards the goal of fully operating the headquarters and central warehouse with renewable energy. The next stage is saving drinking water, which involves collecting and filtering rainwater for sanitary purposes.

Thermorum carries out installation works of water supply pumping stations for high-rise buildings. The company's engineers build exclusive, energy-efficient pumping stations tailored to each project, allowing the customer to buy European-quality energy-efficient products at a 25-30 per cent lower price, while significantly saving electricity and water consumption.

The company believes that the main challenge of the 21st century – saving the Earth from ecological catastrophe – can only be addressed with the help of eco-innovations. With an emphasis on development and quality, it is important to conserve natural resources and ensure the environment remains healthy. It is both an obligation and duty to future generations.

# „თქვენ შოულობთ, ჩვენ - გჭამთ“

# “YOU EARN – WE FEED ON YOU”

საავტორო ბლოგი
PERSONAL BLOG

**გიორგი ჭილაია**

*ციფრული მედიის მენეჯერი*

**Giorgi Chilaia**

*Digital Media Manager*

ორი მილიარდი წლის წინ ჩვენს პლანეტაზე მატერიის განვითარების უმაღლესი ფორმა იყო „პროტოუჯრედი“ – პატარა, სფეროიდული წარმონაქმნი რომელიც თავს შემგროვებლობით ირჩენდა. პროტოუჯრედები სარჩოს საშოვრად დღენიადაგ მჟავიან წყლებში ცურავდნენ და ნაპოვნი ნახშირწყლებით, ცილებითა და მინერალებით იკვებებოდნენ. მალე მათს რიგებს მოძლიერებული ინდივიდები გამოეყვნენ და სუსტებს განუცხადეს: „თქვენ შოულობთ, ჩვენ – გჭამთ“.

მას მერე სამყარო ასობით მილიონი წელი ნოკიას ტელეფონს ჰგავდა, რომელშიც მხოლოდ „სნეიკია“ ჩაწერილი. პრიმიტიული ბიორობოტები ცოცავდნენ, მრავლდებოდნენ და ერთმანეთით იკვებებოდნენ. იმარჯვებდა ის, ვინც ყველაზე მეტ პროტოუჯრედს ჩაყლაპავდა. ჩემპიონი იზრდებოდა, ჩემპიონი ბერდებოდა, იშლებოდა და საკვები ნივთიერებების გროვად იქცეოდა.

ერთ დღეს, მონადირემ მორიგი პროტოუჯრედი ჩაყლაპა, მაგრამ ჩაყლაპული სიბნელეს არ შეუშინდა და მასპინძლის მუცელში არხეინად გაგორდა. შენიშნა, რომ საბინადროში მტერი ვერ აღწევდა, სული მოითქვა და შრომას შეუდგა. სტუმარი მასპინძლის მონაპოვარს მიირთმევდა. გარსით დაცული, რადგან არავინ ემუქრებოდა, გაცილებით მეტ ენერგიას გამოიმუშავებდა, ვიდრე მისი თანატოლები მტაცებლებით სავსე ზღვებში.

შედეგი გასაოცარი იყო, სიმბიოტურმა თანამეგობრობამ ცოცხალი ორგანიზმის განვითარების ახალ დონეზე გადაინაცვლა: პროკარიოტული უჯრედებისგან შეიქმნა ეუკარიოტი და ეუკარიოტებმა დაიპყრეს მსოფლიო. (შეგახსენებთ, რომ ეუკარიოტული უჯრედებით შემდგარი ორგანიზმები არიან: ადამიანი, დელფინი, ფლამინგო, მანგუსტი, დიკდიკი, ჩიტები, ხვლიკები, წიფლები, ასკილი, ხახვი, ნიყვი, კარაქი და ა.შ.)

Two billion years ago, the highest developed form of matter on our planet was the protocell - a spherical formation which survived by aggregation. The protocells swam in acidic waters, feeding on carbohydrates, proteins, and minerals they found. Soon, stronger individuals came out from their ranks, and the weak were told, "You earn, we feed on you."

Since then, for hundreds of millions of years, the world was like a Nokia phone, with only the game Snake installed – primitive biorobots crawled, multiplied, and fed on each other. The one swallowing the most protocells was the winner. The champion grew, the champion aged, disintegrated, and became a pile of nutrients.

One day, a hunter swallowed another protocell, but the swallowed one was not frightened by the darkness and rolled giddily into the host's belly. Noticing that the enemy could not reach the dwelling, it took a break and began to work. The guest would feast on the host's insides, and what it consumed. Protected by the shell of its host, it generated much more energy than its peers in seas full of predators.

The result was astonishing, the symbiotic community took to a new level of living organism development: eukaryotes were created from prokaryotic cells and eukaryotes conquered the world (I remind you that organisms composed of eukaryotic cells include: humans, dolphins, flamingos, mongooses, birds, lizards, beeches, dog-roses, onions, Caesar's mushrooms, butter and others).

The era of "Snake" came to an end, friendship and caring for each other took triumph. An engraving appeared in the "log" of the universe, indirectly indicating that the essence of good is lasting and that it has overcome evil.

This phenomenon is called endosymbiosis and it is considered to be the greatest miracle of life organization, except for the development of spoken language, which allowed people to live together.




*შედეგი გასაოცარი იყო, სიმბიოტურმა თანამეგობრობამ ცოცხალი ორგანიზმის განვითარების ახალ დონეზე გადაინაცვლა: პროკარიოტული უჯრედებისგან შეიქმნა ეუკარიოტი და ეუკარიოტებმა დაიპყრეს მსოფლიო. (შეგახსენებთ, რომ ეუკარიოტული უჯრედებით შემდგარი ორგანიზმები არიან: ადამიანი, დელფინი, ფლამინგო, მანგუსტი, დიკდიკი, ჩიტები, ხვლიკები, წიფლები, ასკილი, ხახვი, ნიყვი, კარაქი და ა.შ.)*

**THE RESULT WAS ASTONISHING, THE SYMBIOTIC COMMUNITY TOOK TO A NEW LEVEL OF LIVING ORGANISM DEVELOPMENT: EUKARYOTES WERE CREATED FROM PROKARYOTIC CELLS AND EUKARYOTES CONQUERED THE WORLD (I REMIND YOU THAT ORGANISMS COMPOSED OF EUKARYOTIC CELLS INCLUDE: HUMANS, DOLPHINS, FLAMINGOS, MONGOOSES, BIRDS, LIZARDS, BEECHES, DOG-ROSES, ONIONS, CAESAR'S MUSHROOMS, BUTTER AND OTHERS).**

„სნეიკის“ ეპოქა დაიხურა, გაიმარჯვა მეგობრობამ და ერთმანეთზე ზრუნვამ. სამყაროს „ლოგში“ გაჩნდა გრავიურა, რომელიც ირიბად მიგვანიშნებდა, რომ კეთილის არსება ბოროტისაზე გრძელია და რომ მან მას სძლია.

ამ მოვლენას ენდოსიმბიოზი ეწოდება და სიცოცხლის ორგანიზების უდიდეს სასწაულად მიიჩნევა, თუ არ ჩავთვლით სალაპარაკო ენის განვითარებას, რამაც ადამიანებს საშუალება მისცა, ერთად ეცხოვრათ.

50,000 წლის წინ ჰომო საპიენსები, ნეანდერტალელები და მათი რამდენიმე გარე ბიძაშვილი იერარქიაში ტოლ-სწორნი იყვნენ, უბრალოდ ზოგი მაღალ ბალახს ეგუებოდა უკეთ, ზოგი – უსიერ ტყეებს. საპიენსებმა გამოიგონეს აბსტრაქტული სასაუბრო ენა და დიდ კოლექტივებად, ტომებად დაჯგუფდნენ, გაინაწილეს ფუნქციები. გააშენეს ბაღები და ყანები, დაიწყეს პურის ცხობა. ააგეს მდგრადი ქალაქები და მოიშინაურეს ცხოველი. მოსაზღვრეს სამფლობელოები და გამოწრთეს ფოლადი. დედამიწაზე ჰომო საპიენსი გაბატონდა. მალე იერარქიის სათავეში მოქცეულმა დიდგვაროვნებმა გლახაკები დაიმონეს და გამოუცხადეს: „თქვენ შოულობთ, ჩვენ – ვჭამთ“.

ასე და ამგვარად, ნელი ნაბიჯებით, სიცოცხლე ვითარდება. როგორც სქოლარები წერენ, სიცოცხლისთვის არსებობს მთავარი მიზანი – გადარჩენა და გამრავლება. არსებობს მისკენ მიმავალი მრავალი გზაც. ის ორგანიზმები, რომლებიც მდგრად, ჟამთასვლის გამძლე გამოსავალს პოულობენ, მრავალ ჟამს ატარებენ გამარჯვებულის სტატუსით. მთავარია არ მოდუნდნენ და თვალი არ აარიდონ მთავარ ამოცანებს.

ჰელინურ საბერძნეთში ინტერესის მთავარი საგანი იდეა იყო, რენესანსულ ევროპაში – ადამიანი და კოსმოსი; ანტიკური იდეალიზმის წიაღში ჰუმანიზმი განვითარდა, ასტროლოგია კი

*„სნეიკის“ ეპოქა დაიხურა, გაიმარჯვა მეგობრობამ და ერთმანეთზე ზრუნვამ. სამყაროს „ლოგში“ გაჩნდა გრავიურა, რომელიც ირიბად მიგვანიშნებდა, რომ კეთილის არსება ბოროტისაზე გრძელია და რომ მან მას სძლია.*

*THE ERA OF "SNAKE" CAME TO AN END, FRIENDSHIP AND CARING FOR EACH OTHER TOOK TRIUMPH. AN ENGRAVING APPEARED IN THE "LOG" OF THE UNIVERSE, INDIRECTLY INDICATING THAT THE ESSENCE OF GOOD IS LASTING AND THAT IT HAS OVERCOME EVIL.*

*ასე და ამგვარად, ნელი ნაბიჯებით, სიცოცხლე ვითარდება. როგორც სქოლარები წერენ, სიცოცხლისთვის არსებობს მთავარი მიზანი - გადარჩენა და გამრავლება. არსებობს მისკენ მიმავალი მრავალი გზაც. ის ორგანიზმები, რომლებიც მდგრად, ჟამთასვლის გამძლე გამოსავალს პოულობენ, მრავალ ჟამს ატარებენ გამარჯვებულის სტატუსით. მთავარია არ მოდუნდნენ და თვალი არ აარიდონ მთავარ ამოცანებს.*

**HENCEFORTH, IN SLOW STEPS, LIFE ADVANCES. AS SCHOLARS WRITE, THE MAIN PURPOSE OF LIFE IS SURVIVAL AND REPRODUCTION. THERE ARE MANY PATHS LEADING TO IT. ORGANISMS THAT FIND SUSTAINABLE, TIME-RESISTANT SOLUTIONS SPEND MANY ERAS AS WINNERS. THAT IS, AS FAR AS THEY DO NOT RELAX TOO MUCH AND AVOID MAIN TASKS.**





*თუ თქვენი ორგანიზაცია ქმნის დოვლათს, უფრთხლდება გარემოს და ზრუნავს მის თანამშრომლებზე, ყველა ცოცხალი ორგანიზმის სახელით გიხდით გულწრფელ მადლობას და გისურვებთ წარმატებებს როგორც ხვალ, ისე - ზეგ.*

**THAT'S IT. IF YOUR ORGANIZATION CREATES WEALTH, CARES FOR THE ENVIRONMENT AND ITS EMPLOYEES, IN THE NAME OF ALL LIVING ORGANISMS, I THANK YOU AND WISH YOU SUCCESS TOMORROW AND THE DAY AFTER THAT, TOO.**

ასტრონომიამ შეცვალა. სხვათა შორის, არაფერი აგვირგვინებს აღორძინების ეპოქის ინტერესის ორ დიად სფეროს ისე, როგორც მეფე ლუი XIV-ს ოქროს სიტყვები „მე მზე ვარ“. მაშინდელი ცივილიზაციის ცენტრში უფრო ნაკლებს ფიქრობდნენ ბუნებაზე, მის დივერსიულობასა და მრავალფეროვნებაზე, ვიდრე – აზიაში. მაგალითად ინდოეთში, სადაც ძროხას ეთაყვანებოდნენ, ხალხებს გარემოთი და ბუნებით შთაგონებული ღირებულებები, რწმენები და ლეგენდები აერთიანებდა. მეოცე საუკუნის ინდუსტრიულმა რევოლუციამ მოგვცა მასობრივი წარმოება და დიდი იარაღები, რაც უყურადღებოდ არ დარჩენიათ პატარა კაცებს. სამაგიეროდ, თვალთახედვის მიღმა მოხვდა ადამიანის უფლებები და გარემო და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებულმა სამყარომ დაიწყო მდგრადი და ინკლუზიური, მშვიდობიანი განვითარების გზების ძიება.

თანამედროვე საერთაშორისო თანამეგობრობები აგრძელებენ ისტორიულ ნარატივს და ადამიანისა და შრომით უფლებებზე და ბუნების კონსერ-ვაციაზე ზრუნავენ. იდეები ძველია, ხოლო მიდგომა – განახლებული.

თუ თქვენი ორგანიზაცია ქმნის დოვლათს, უფრთხლდება გარემოს და ზრუნავს მის თანამშრომლებზე, ყველა ცოცხალი ორგანიზმის სახელით გიხდით გულწრფელ მადლობას და გისურვებთ წარმატებებს როგორც ხვალ, ისე – ზეგ.

50,000 years ago, Homo sapiens, Australopithecus, and their 15 other cousins were equal on the hierarchy, although some adapted easily to higher grasses while others to larger forests. The Sapiens invented colloquial language and grouped into large collectives, tribes, dividing functions among each other. They planted gardens and fields, began to bake bread. They built sustainable cities and domesticated animals. They bordered their dominions and tempered steel. Homo sapiens took over the earth. Soon the nobles at the head of the hierarchy enslaved the poor and declared: "You earn, we - eat."

Henceforth, in slow steps, life advances. As scholars write, the main purpose of life is survival and reproduction. There are many paths leading to it. Organisms that find sustainable, time-resistant solutions spend many eras as winners. That is, as far as they do not relax too much and avoid main tasks.

The main object of interest in Hellenic Greece was the idea, in Renaissance Europe it was man's place in the cosmos; humanism developed in the bosom of ancient idealism, astrology was replaced by astronomy. Incidentally, nothing crowns the two great spheres of interest of the Renaissance like the golden words of King Louis XIV "I am the Sun". The center of civilization then thought less about nature, its diversity and variety, than in Asia. In India, for example, where cows were worshiped, peoples were united by values, beliefs, and legends inspired by environment and nature. The twentieth-century industrial revolution brought mass production and large tools that have not been neglected by the small people. But human rights and the environment got left behind, and it was the post-World War II world which began to look for sustainable, inclusive, peaceful ways of development.

Modern international communities continue the historical narrative and protect human and labour rights, and nature conservation. The ideas are old, but the approach is renewed.

That's it. If your organization creates wealth, cares for the environment and its employees, in the name of all living organisms, I thank you and wish you success tomorrow and the day after that, too.

# „ქარის“ მწვანე ტრანსპორტი



# GREEN TRANSPORT OF QARI

„ქარი“ ეკომეგობრული ელექტრომოპედების საზიარო სერვისია, რომელიც ურბანულ პირობებში სწრაფი და მარტივი გადაადგილებისათვის შეიქმნა. კომფორტი, გადაადგილების სიმარტივე და ეკოლოგიაზე ზრუნვა - ის მთავარი მახასიათებელია, რის გამოც ეს ტრანსპორტი ნელ-ნელა იხვეჭს პოპულარობას.

QARI IS AN ECO-FRIENDLY ELECTRIC MOPED SHARING SERVICE, CREATED FOR FAST AND EASY TRANSPORTATION IN URBAN CONDITIONS. COMFORT, EASE OF GETTING AROUND AND CARE FOR THE ENVIRONMENT ARE THE MAIN REASONS WHY THIS FORM OF TRANSPORT IS SLOWLY GAINING POPULARITY.

ელექტრომოპედები დღესდღეობით ინდივიდუალური ან ორი ადამიანის გადაადგილებისთვის განკუთვნილი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა. „ქარის“ შემთხვევაში, სერვისის საზიარო ბუნება მომხმარებელს ათავისუფლებს მოპედის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული არაერთი უხერხულობისგან, მთავარ ბენეფიტად კი 24-საათიანი ხელმისაწვდომობა, საცობებში მოძრაობის თავისუფლება, გარანტირებული საპარკინგე ზონები და ეკომეგობრულობა რჩება.

ელექტრომოპედების გამოყენება შესაძლებელია სპეციალური აპლიკაციით, რომელსაც სამგზავრო დანიშნულების გარდა, მომხმარებელთან კომუნიკაციის ფუნქციაც ეკისრება. „ქარის“ სამოძრაო არეალში სპეციალურადაა გამოყოფილი საპარკინგე სივრცეები, ე.წ. „მწვანე ზონები,“ რათა სხვა ტრანსპორტს თუ ქვეითებს გადაადგილებისას არ შეექმნათ შეფერხება.

„ქარის“ მოპედები აღჭურვილია მგზავრის უსაფრთხოებისთვის საჭირო ყველა ელემენტით, მათ შორის ორი ჩაფხუტით და ჰიგიენური ქუდებით. დაზიანებების მონიტორინგი კი მომხმარებლების მიერ Qari app-ში უწყვეტად ხორციელდება. სერვისი საზიაროა, შესაბამისად, ელექტრომოპედის შენახვასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, მათ შორის, ძრავის ელემენტის დამუხტვაზეც, კომპანია ზრუნავს.

იმის მიუხედავად, რომ ქართულ რეალობაში შედარებით ახალი სერვისია, „ქარი“ უკვე ყალიბდება ურბანული ცხოვრების და ყოველდღიურობის ავთენტურ ელემენტად და ხელს უწყობს ადგილობრივი სუბკულტურების განვითარებას.

დღესდღეობით ეკომეგობრული პროდუქტები და სერვისები ბაზარზე ძირითადად, გამონაკლისის სახითაა წარმოდგენილი. ტრანსპორტირების სფერო უმეტესად ამოწურვად რესურსს იყენებს, რასაც არამხოლოდ ნეგატიური გავლენა აქვს გარემოზე, არამედ არც საზოგადოების გრძელვადიან ქცევას ითვალისწინებს. ურბანულ სივრცეში დაბინძურების ხარისხი საოცარი სისწრაფით იზრდება და შესაბამისად, ნადგურდება

Electric mopeds are one of the most effective means of transportation for an individual or for two people nowadays. In the case of Qari, the shared nature of the service frees the customer from a few inconveniences related to the maintenance of the moped, while the main benefits remain 24-hour access, freedom of getting around in traffic jams, guaranteed parking zones and eco-friendliness.

Electric mopeds can be used with a special app, which, in addition to the travelling function, also serves for communication with the customer. Parking spaces are specially allocated in the Qari's traffic area, known as "green zones", so as not to interfere with the movement of other vehicles or pedestrians.

Qari's mopeds are equipped with all necessary elements for passenger safety, including two helmets and hygienic caps. Damage is monitored continuously by users in the Qari app. The company takes care of all maintenance issues, including charging of the electric motor.

Despite being a relatively new service in Georgia, Qari is already becoming an authentic element of urban living and everyday life and contributes to the development of local subcultures.

Today, eco-friendly products and services are mainly an exception in the market. The transportation sector mainly utilizes exhaustible resources, which not only negatively impacts the environment, but

**ELECTRIC MOPEDS ARE ONE OF THE MOST EFFECTIVE MEANS OF TRANSPORTATION FOR AN INDIVIDUAL OR FOR TWO PEOPLE NOWADAYS. IN THE CASE OF QARI, THE SHARED NATURE OF THE SERVICE FREES THE CUSTOMER FROM A FEW INCONVENIENCES RELATED TO THE MAINTENANCE OF THE MOPED, WHILE THE MAIN BENEFITS REMAIN 24-HOUR ACCESS, FREEDOM OF GETTING AROUND IN TRAFFIC JAMS, GUARANTEED PARKING ZONES AND ECO-FRIENDLINESS.**

*ელექტრომოპედები დღესდღეობით ინდივიდუალური ან ორი ადამიანის გადაადგილებისთვის განკუთვნილი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა. „ქარის“ შემთხვევაში, სერვისის საზიარო ბუნება მომხმარებელს ათავისუფლებს მოპედის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული არაერთი უხერხულობისგან, მთავარ ბენეფიტად კი 24-საათიანი ხელმისაწვდომობა, საცობებში მოძრაობის თავისუფლება, გარანტირებული საპარკინგე ზონები და ეკომეგობრულობა რჩება.*

*„ქარის“ მოპედები აღჭურვილია მგზავრის უსაფრთხოებისთვის საჭირო ყველა ელემენტით, მათ შორის ორი ჩაფხუტით და ჰიგიენური ქუდებით. დაზიანებების მონიტორინგი კი მომხმარებლების მიერ Qari app-ში უწყვეტად ხორციელდება.*

**QARI'S MOPEDS ARE EQUIPPED WITH ALL NECESSARY ELEMENTS FOR PASSENGER SAFETY, INCLUDING TWO HELMETS AND HYGIENIC CAPS. DAMAGE IS MONITORED CONTINUOUSLY BY USERS IN THE QARI APP.**



also ignores the long-term behavior of the community. The degree of pollution in urban space is growing at an astonishing rate and, consequently, the environment is suffering. The aim of Qari is to initiate a positive change by introducing a new habit to the customer. The company is trying to go beyond eco-friendly initiatives and become a part of the daily lives of as many people as possible. The engagement of both consumers and corporations in these initiatives is important.

Qari's mopeds are powered by silent electric motors, minimizing not only air but noise pollution too. Due to the nature of the service, electric mopeds reduce the degree of impact

ეკოლოგია. „ქარის“ მიზანია, მომხმარებელში ახალი ჩვევის დანერგვით პოზიტიური ცვლილების ინიცირება. კომპანია ცდილობს, ეკომეგობრული ინიციატივები ერთეულებს გასცდეს და რაც შეიძლება მეტი ადამიანის ყოველდღიურობად გადაიქცეს. მნიშვნელოვანია ამ ინიციატივებში როგორც მომხმარებლის, ასევე, კორპორაციების ჩართულობა.

„ქარის“ მოპედები უხმო ელექტროძრავებით მოძრაობს, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს როგორც ჰაერის, ასევე, ხმოვანი დაბინძურება. სერვისის ბუნებიდან გამომდინარე, ელექტრომოპედები სხვაგვარადაც ამცირებს გარემოზე ზემოქმედების ხარისხს: პიკის საათებში საცობში მოხვედრილი ავტომობილები არა მარტო მეტ საწვავს მოიხმარს, არამედ, ჩვეულებრივ მოძრაობასთან შედარებით, ზრდის გამონაბოლქვის წილსაც. „ქარის“ გამოყენება მსგავს „ეფექტებს“ გამორიცხავს. გარდა ამისა, ელექტრომოპედით მოძრაობა მგზავრებს საცობებსაც აცილებს და გზების გათავისუფლებასაც ეხმარება.

მომხმარებელთან აქტიური კომუნიკაცია „ქარის“ კიდევ ერთი გამორჩეული ნიშანია: მხარდაჭერის ჩათისა და კვალიფიციური საკონსულტაციო გუნდის დახმარებით ნებისმიერ საკითხს უმოკლეს დროში აგვარებენ. დარეგისტრირებულ მომხმარებელს კი, რომელსაც მართვის მოწმობა არა აქვს ან სათანადოდ ვერ ფლობს ამ უნარს, უფასო პროფესიულ ტრენინგსა და დახმარებას სთავაზობენ.

დამატებით სერვისებად ქარმა სტუდენტური და კორპორატიული პაკეტებიც წარადგინა. სტუდენტები ხშირად ავლენენ ენთუზიაზმს პოზიტიური სიახლეების დასანერგად, ხოლო სანაცვლოდ მათზე მორგებული შეღავათიანი პაკეტით სარგებლობა შეუძლიათ.

*კომპანია ცდილობს, ეკომეგობრული ინიციატივები ერთეულებს გასცდეს და რაც შეიძლება მეტი ადამიანის ყოველდღიურობად გადაიქცეს. მნიშვნელოვანია ამ ინიციატივებში როგორც მომხმარებლის, ასევე, კორპორაციების ჩართულობა.*

**THE COMPANY IS TRYING TO GO BEYOND ECO-FRIENDLY INITIATIVES AND BECOME A PART OF THE DAILY LIVES OF AS MANY PEOPLE AS POSSIBLE. THE ENGAGEMENT OF BOTH CONSUMERS AND CORPORATIONS IN THESE INITIATIVES IS IMPORTANT.**





*კომფორტულ სატრანსპორტო საშუალებად ჩამოყალიბების გარდა, „ქარის“ მთავარი განაცხადი ურბანული ეკომეგობრულობაა. გამონაბოლქვითა და ხმაურით გადატვირთულ ქუჩებში კომპანია ქმნის ყოველგვარი დაბინძურებისგან თავისუფალი მოძრაობის კულტურას, რაც თანამედროვე ეკოგამოწვევებით აღსავსე ქალაქში ძალზე მნიშვნელოვანია.*

**IN ADDITION TO BEING A COMFORTABLE MEANS OF TRANSPORTATION, THE MAIN STATEMENT OF QARI IS URBAN ECO-FRIENDLINESS. IN STREETS CONGESTED WITH EXHAUST AND NOISE, THE COMPANY IS CREATING A CULTURE OF GETTING AROUND WITHOUT ANY POLLUTION, WHICH IS VERY IMPORTANT IN A CITY FULL OF MODERN ECO-CHALLENGES.**

„მწვანე ტრანსპორტის“ ინტეგრაცია ყოველდღიურობაში კორპორაციებისთვისაც მნიშვნელოვანი განაცხადია. მოკლე და საშუალო მანძილებზე მორაობისას კორპორაციული ტრანსპორტი ზრდის როგორც ფინანსურ, ასევე ენერგიის დანახარჯს. გარდა ამ პრობლემის ამოხსნისა, „ქარის“ შეღავათიანი სერვისის შეთავაზებით კომპანიები თანამშრომლებს აარიდებენ საცობებს და უზრუნველყოფენ პარკინგის გარანტირებული ადგილებით.

პანდემიის პირობებში განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა ინდივიდუალური ტრანსპორტის როლი და მნიშვნელობა. სხვა საშუალებებთან შედარებით, „ქარის“ მოპედები არა მხოლოდ დახურულ სივრცეში კონტაქტს ამცირებს, დროდადრო დაწესებული შეზღუდვების პირობებშიც ამარტივებს გადაადგილებას.

ამჟამად „ქარის“ გუნდი ველოსიპედების გაზიარების სერვისზე მუშაობს, რაც ეკომეგობრული ტრანსპორტის ხაზს გააფართოვებს. გარდა ამისა, მეტი მრავალფეროვნებისათვის მინი ელექტრომობილების წარდგენაც იგეგმება.

კომფორტულ სატრანსპორტო საშუალებად ჩამოყალიბების გარდა, „ქარის“ მთავარი განაცხადი ურბანული ეკომეგობრულობაა. გამონაბოლქვითა და ხმაურით გადატვირთულ ქუჩებში კომპანია ქმნის ყოველგვარი დაბინძურებისგან თავისუფალი მოძრაობის კულტურას, რაც თანამედროვე ეკოგამოწვევებით აღსავსე ქალაქში ძალზე მნიშვნელოვანია.

on the environment in other ways as well: cars that get stuck in jams during rush hours not only consume more fuel, but also increase the share of emissions compared to normal traffic. Using Qari eliminates such "effects". In addition, electric mopeds help people avoid traffic jams and support the freeing up of roads too.

Active communication with the customer is another distinguishing feature of Qari: with the help of a support chat and a qualified consulting team, any issue will be resolved in the shortest time possible. Registered customers who do not have a driver's license or who do not possess proper skills are offered free professional training and assistance.

As an additional service, Qari has also introduced student and corporate packages. Students often show enthusiasm in establishing positive trends, and in return can take advantage of a discount package tailored to them.

The integration of "green transport" in daily life is an important activity for corporations as well. When going short and medium distances, corporate transport increases both financial and energy costs. In addition to solving this problem through offering preferential Qari services, companies help employees avoid traffic jams and provide them with guaranteed parking spaces.

The role and significance of individual transport during the pandemic has become particularly clear. Compared to other means, Qari's mopeds not only reduce closed-space contact, but also facilitate getting around under restrictions established at different times.

Currently, the Qari team is working on a bicycle sharing service, which will expand the eco-friendly transport line. Additionally, mini electric vehicles are planned to be introduced for more diversity.

In addition to being a comfortable means of transportation, the main statement of Qari is urban eco-friendliness. In streets congested with exhaust and noise, the company is creating a culture of getting around without any pollution, which is very important in a city full of modern eco-challenges.

# „თეგეტა“ მწვანე ზონა - ზრუნვა გარემოსა და თანამშრომლებზე



# TEGETA GREEN ZONE – TAKING CARE OF THE ENVIRONMENT AND EMPLOYEES

„თეგეტა მოტორსი“ ერთ-ერთი მსხვილი კომპანიაა, რომელიც 28 შვილობილ კომპანიას აერთიანებს და ავტოინდუსტრიის ბაზრის ლიდერად გვევლინება არა მარტო საქართველოში, არამედ, მთელ ამიერკავკასიაში. ბოლო წლებში ჰოლდინგი აქტიურადაა ჩართული მწვანე პროექტებში და ეკოლოგიის გაუმჯობესების მიმართულებებს აქტიურად ლობირებს.

თანამედროვე მსოფლიოში პასუხისმგებლიანი კომპანიების უმეტესობა ეკოინიციატივების დანერგვას გულგრილად ვერ ეკიდება. რაც უფრო დიდია კონკრეტულ ინდუსტრიაში გარემოზე გამოწვეული მავნე ზეგავლენა, მით მეტ პასუხისმგებლობას გრძნობენ საკუთარი საქმიანობის გამო კომპანიები და ცდილობენ ამ პროცესის ყველა შესაძლო გზით განეიტრალებას.

როგორია ამ მხრივ საქართველოში არსებული ვითარება და რა გზით ებრძვიან გარემოზე მავნე ზემოქმედებას, „თეგეტა მოტორსის“ სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, **ნათიკა ბერძული** გვიამბობს.

TEGETA MOTORS IS ONE OF THE LARGEST COMPANIES UNITING 28 SUBSIDIARIES AND IS THE LEADER OF THE AUTOMOTIVE INDUSTRY NOT ONLY IN GEORGIA, BUT IN THE WHOLE SOUTHERN CAUCASUS. DURING THE PAST FEW YEARS, THE HOLDING IS ACTIVELY ENGAGED IN GREEN PROJECTS, LOBBYING FOR IMPROVING THE ENVIRONMENT.

IN THE MODERN WORLD THE MAJORITY OF RESPONSIBLE COMPANIES CANNOT STAY INDIFFERENT TO ESTABLISHING ECO-INITIATIVES. THE GREATER THE ADVERSE IMPACT ON THE ENVIRONMENT IN AN INDUSTRY, THE MORE COMPANIES FEEL THE RESPONSIBILITY FOR THEIR ACTIVITIES AND MAKE ALL POSSIBLE ATTEMPTS TO NEUTRALIZE THE NEGATIVE IMPACTS.

**NATIKA BERDZULI**, HEAD OF STRATEGIC COMMUNICATIONS DEPARTMENT AT TEGETA MOTORS, TELLS US ABOUT THE CURRENT SITUATION IN GEORGIA AND HOW THE ADVERSE IMPACT ON THE ENVIRONMENT IS BEING TACKLED.



*გარემოზე მავნე ზემოქმედების შესამცირებლად ჩვენი ერთ-ერთი მიმართულება ნარჩენების მართვა და გადამუშავებაა. უსარგებლო აბსორბენტებს, ფილტრის მასალებს, მეორად ზეთებსა და აკუმულატორებს გადამამუშავებელ კომპანიებს ვაბარებთ, რომლებიც უვარგის ნაწილებს ახალ ფუნქციას სძენენ.*

**„თეგეტა მოტორსისთვის,“ რომლის საქმიანობა საავტომობილო სფეროს უკავშირდება, ეკოლოგიაზე ზრუნვა და მისი მოფრთხილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. რა კეთდება გარემოზე მავნე ზემოქმედების შესამცირებლად და როგორია თქვენი კორპორაციული პასუხისმგებლობა ამ მიმართულებით?**

საავტომობილო ინდუსტრიაში მთავარი მოთამაშის სტატუსი ეკოლოგიური გამოწვევების წინაშე მაღალ კორპორაციულ პასუხისმგებლობას გულისხმობს. „თეგეტა მოტორსისთვის“ გარემოსდაცვითი ინიციატივები პრიორიტეტულია. ვცდილობთ, ამ საქმეში საკუთარი წვლილი შევიტანოთ.

გარემოზე მავნე ზემოქმედების შესამცირებლად ჩვენი ერთ–ერთი მიმართულება ნარჩენების მართვა და გადამუშავებაა. უსარგებლო აბსორბენტებს, ფილტრის მასალებს, მეორად ზეთებსა და აკუმულატორებს გადამამუშავებელ კომპანიებს ვაბარებთ, რომლებიც უვარგის ნაწილებს ახალ ფუნქციას სძენენ.

აღსანიშნავია „თეგეტა მოტორსის“ წვლილი ქაღალდის მოხმარების შემცირებისა და გადამუშავების მიმართულებით. ბოლო დრომდე ჩვენს სერვის ცენტრებში მისული მომხმარებელი კონკრეტული პროდუქციის შეძენისას მთელ რიგ პროცედურებს გადიოდა, რაც ფურცლების ხშირ გამოყენებას გულისხმობს. რამდენიმე თვეა, ეს ადამიანები მობილურ ტელეფონზე შეტყობინების სახით იღებენ საჭირო დოკუმენტაციას, რაც მნიშვნელოვანია ქაღალდის მოხმარების შემცირებისა და მომავალში სრულად ამოღებისათვის.

აქტიურად ვთანამშრომლობთ გამომცემლობა „პალიტრა L“–ის პროექტ „მაკულიტერატურასთან“, რომლის ფარგლებშიც ჩვენი თანამშრომლების მიერ შეგროვილ მაკულატურას ქაღალდის გადამამუშავებელ საწარმოს გადავცემთ. თავის მხრივ, „პალიტრა L“ გვაძლევს

**Caring for the environment and safeguarding it is particularly relevant for Tegeta Motors, which operates in the automotive field. What is being done to reduce the harmful impact on the environment and what does your corporate responsibility looks like in this direction?**

Holding the leading role in the automotive industry entails high corporate responsibility towards ecological challenges. Environmental initiatives are prioritized by Tegeta Motors. We try to make our contribution in this process.

To reduce the harmful impact on the environment, one of our directions is managing and processing waste. We hand over junk absorbers, filter materials, secondary oils and batteries to recycling companies, which upcycle them, giving used parts a new function.

Tegeta Motors' contribution to reducing the consumption of paper and recycling thereof is noteworthy. Until recently, customers visiting our service centers went through

**TO REDUCE THE HARMFUL IMPACT ON THE ENVIRONMENT, ONE OF OUR DIRECTIONS IS MANAGING AND PROCESSING WASTE. WE HAND OVER JUNK ABSORBERS, FILTER MATERIALS, SECONDARY OILS AND BATTERIES TO RECYCLING COMPANIES, WHICH UPCYCLE THEM, GIVING USED PARTS A NEW FUNCTION.**

ვაუჩერებს წიგნებისთვის, რომელთაც თავისი ადრესატი ჰყავს: გამოცემებს საჩუქრად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ბავშვებთან ვაგზავნით.

**„თეგეტა ჰოლდინგი“ რამდენიმე შვილობილ კომპანიას აერთიანებს, რომელთაგან ერთ-ერთი – „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“ ორი წლის წინ მნიშვნელოვან საერთაშორისო კამპანიაში –„მწვანე არჩევანი“ ჩაერთო, რაც ჰიბრიდული ავტომობილების გაყიდვების წახალისებას ითვალისწინებს. გვიამბეთ ამ წამოწყებასა და შედეგებზე, რომელიც თქვენს ინიციატივას მოჰყვა.**

„ტოიოტა ცენტრი თეგეტა“ 2019 წლიდან გლობალურ პროექტში – „ეკოგამოწვევა 2050“ ჩაერთო და კამპანიით – „მწვანე არჩევანი“ ჰიბრიდული ავტომობილების გაყიდვების წახალისებას შეუდგა. კამპანიის ფარგლებში ყველა, ვინც „ტოიოტა ცენტრ თეგეტაში“ ჰიბრიდული ძრავით აღჭურვილ მოდელს შეიძენს, „მწვანე გზის კლუბის“ წევრი ხდება, კომპანია კი მათ სახელზე აჯამეთის დაცულ ტერიტორიაზე იმერულ მუხას რგავს, რომელიც გადაშენების პირას მყოფი და წითელ ნუსხაში შეტანილი ჯიშია. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენი მომხმარებლის სახელით აჯამეთში 1000-მდე მუხა დაირგო, რაც საკმაოდ დიდი სტიმულია ჩვენი მომხმარებლებისთვის.

**ავტომობილების გამონაბოლქვი დიდ ქალაქებში მნიშვნელოვნად აბინძურებს გარემოს. ამ თვალსაზრისით, ჰიბრიდული**

*„ტოიოტა ცენტრი თეგეტა“ 2019 წლიდან გლობალურ პროექტში – „ეკოგამოწვევა 2050“ ჩაერთო და კამპანიით – „მწვანე არჩევანი“ ჰიბრიდული ავტომობილების გაყიდვების წახალისებას შეუდგა. კამპანიის ფარგლებში ყველა, ვინც „ტოიოტა ცენტრ თეგეტაში“ ჰიბრიდული ძრავით აღჭურვილ მოდელს შეიძენს, „მწვანე გზის კლუბის“ წევრი ხდება, კომპანია კი მათ სახელზე აჯამეთის დაცულ ტერიტორიაზე იმერულ მუხას რგავს, რომელიც გადაშენების პირას მყოფი და წითელ ნუსხაში შეტანილი ჯიშია. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენი მომხმარებლის სახელით აჯამეთში 1000-მდე მუხა დაირგო, რაც საკმაოდ დიდი სტიმულია ჩვენი მომხმარებლებისთვის.*

**TOYOTA CENTER TEGETA HAS BEEN ENGAGED IN GLOBAL PROJECT ECO CHALLENGE 2050 SINCE 2019 AND THROUGH THE CAMPAIGN GREEN CHOICE HAS BEEN PROMOTING THE SALES OF HYBRID CARS. AS PART OF THE CAMPAIGN, EVERYONE BUYING HYBRID ENGINE CARS IN TOYOTA CENTER TEGETA BECOMES A MEMBER OF THE GREEN ROAD CLUB, WHILE THE COMPANY PLANTS AN ENDANGERED OAK SEEDLING IN THE AJAMETI MANAGED RESERVE. DURING THIS PERIOD, NEARLY 1000 OAKS HAVE BEEN PLANTED IN AJAMETI ON BEHALF OF OUR CONSUMERS, WHICH IS A RATHER BIG MOTIVATION FOR OUR CLIENTS.**

several procedures when purchasing specific products, which involves the use of paper. For several months now, our customers have been receiving necessary documentation in the form of notifications on their mobile phones, which is important for reducing paper consumption and completely removing it in the future.

We actively collaborate with Palitra L's project Makuliteratura, whereby wastepaper collected by our employees is handed over to recycling facility. Palitra L gives us vouchers for books in return, which are aimed at a specific audience: we send the publications to children living in various regions of Georgia.

**Tegeta Holding unites several daughter companies, one of which, Toyota Center Tegeta, has been engaged with the significant international Green Choice campaign for two years now, promoting the sales of hybrid cars. Tell us about this initiative and the outcomes it has had.**

Toyota Center Tegeta has been engaged in global project Eco Challenge 2050 since 2019 and through the campaign Green Choice has been promoting the sales of hybrid cars. As






*ჩვენი ერთ-ერთი შვილობილი კომპანია – „პორშე ცენტრი თბილისი“ რეგიონის მასშტაბით ელექტროავტომობილების სერვისის პირველი ჰაბია. ელექტროავტომობილების გარდა, მომხმარებელს „პორშე ცენტრი თბილისის“ ტერიტორიაზე დამონტაჟებულ მანქანების ელექტროდამტენებს ვთავაზობთ, რაც სწრაფი დამუხტვის საშუალებას იძლევა.*

**ONE OF OUR DAUGHTER COMPANIES, PORSCHE CENTER TBILISI, IS THE FIRST HUB FOR ELECTRIC CAR SERVICES. PORSCHE CENTER TBILISI OFFERS NOT ONLY THE SALE OF ELECTRIC CARS, BUT ALSO CHARGING STATIONS ON SITE, WHICH ALLOW FOR FAST CHARGING.**

**და ელექტროავტომობილები ერთგვარი სასარგებლო ალტერ-ნატივაა. რამდენიმე ათწლეულში ისინი სრულად ჩაანაცვლებს დღევანდელ მოდელებს, თუმცა მანამდე საჭიროა არსებული სურათის გაუმჯობესება. რა სახის ინოვაციებით და აქტივობებით შეიძლება ამ პროცესის ხელ-შეწყობა და როგორია ამ მიმარ-თულებით კომპანიის ხედვა?**

ჰაერის დაბინძურება თანამე-დროვე მსოფლიოს ერთ-ერთი დიდი გამოწვევაა. ,,თეგეტა მოტორსი“ მუდმივად ცდილობს ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი წვლილის შეტანას. ჰაერის დაბინძურების შემცირების ყველაზე ეფექტიან გზად – ბაზარზე ელექტრომანქა-ნების ჩანაცვლებით ნულოვანი ემისიის პროცესის წახალისება მიგვაჩნია.

part of the campaign, everyone buying hybrid engine cars in Toyota Center Tegeta becomes a member of the Green Road Club, while the company plants an endangered oak seedling in the Ajameti Managed reserve. During this period, nearly 1000 oaks have been planted in Ajameti on behalf of our consumers, which is a rather big motivation for our clients.

**Vehicle emissions in large cities significantly pollute the environment. Hybrid and electric powered cars are somewhat beneficial alternative in this regard. In a few decades they will fully replace current models, however before that improving the existing picture is necessary. What innovations and activities can support this process and what is your company's vision in this regard?**

Air pollution is one of the biggest challenges for the modern world. Tegeta Motors constantly tries to have its input in combating this problem. We believe the most efficient way to reduce air pollution is through promoting zero emissions by replacing existing cars with electric powered ones.




ჩვენი ერთ-ერთი შვილობილი კომპანია – „პორშე ცენტრი თბილისი“ რეგიონის მასშტაბით ელექტროავტომობილების სერვისის პირველი ჰაბია. ელექტროავტომობილების გარდა, მომხმარებელს „პორშე ცენტრი თბილისის“ ტერიტორიაზე დამონტაჟებულ მანქანების ელექტროდამტენებს ვთავაზობთ, რაც სწრაფი დამუხტვის საშუალებას იძლევა. დამტენები თბილისის რამდენიმე ობიექტსა და საქართველოში არსებული ცნობილი ქსელური სასტუმროების ტერიტორიაზეა ხელმისაწვდომი.

„თეგეტა მოტორსის“ ცენტრა-ლური ფილიალის სერვისცენტრში გამოყოფილია ელექტრო სატვირთო მანქანები, რომ-ლებიც შიდა პერიმეტრზე ავტონაწილების გადასატანად გამოიყენება. ნულოვანი ემისიის მქონე ავტომანქანები მხოლოდ ჰაერის კი არა, არანაკლებ მნიშვნელოვანი – ე.წ. „ხმაურის დაბინძურების“ (Noice Pollution) შემცირებას ეხმარება, რაც, როგორც ჩვენი თანამშრომლების, ასევე, ,,თეგეტა მოტორსის“ მომხმარებლისთვის დამატებითი კომფორტია.

**კოვიდპანდემია ერთგვარ გამოწვევად იქცა კომპანიების-თვის. იქ, სადაც დისტანციურად მუშაობა შეუძლებელია, მნიშვნელოვანია თანამშრომ-ლებისთვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნა. ბოლო პერიოდში ამას დაემატა ვაქცინაციაც, როგორც ვირუსთან ბრძოლის მნიშვნელო-ვანი იარაღი. როგორ გაართვა**

One of our daughter companies, Porsche Center Tbilisi, is the first hub for electric car services. Porsche Center Tbilisi offers not only the sale of electric cars, but also charging stations on site, which allow for fast charging. Chargers are available on various sites in Tbilisi and on territories of renowned hotel networks throughout Georgia.

In the service center of Tegeta Motors Headquarters electric trucks are allocated to transfer vehicle parts within the territory. Zero emission cars not only help with air pollution, but also with "noise pollution", which is an additional comfort for both Tegeta Motors employees and its consumers.

**The Covid pandemic has made things challenging for companies. Where remote working is impossible, creating a safe environment for employees as much as possible is significant. Lately vaccination, as an important weapon for combating the virus, has emerged. How has Tegeta Holding dealt with these difficulties and how has it managed to become a green zone for those working there.**





**თავი „თეგეტა ჰოლდინგმა“ ამ სირთულეებს და რამდენად მოახერხა, გამხდარიყო მწვანე ზონა იქ მომუშავეთათვის?**

თითოეული თანამშრომლის ჯანმრთელობა კომპანიისთვის უმნიშვნელოვანესია. კოვიდპანდემიის დაძლევისა და თანამშრომელთა უსაფრთხოების მიზნით, დავიწყეთ ვაქცინაციის წამახალისებელი კამპანია – „თეგეტა - მწვანე ზონა“.

პროექტის ფარგლებში რამდენიმე მიმართულებით ვიმუშავეთ: კომპანიამ იმუნიზაციისათვის თანამშრომელთა რეგისტრაცია და აცრის პუნქტებამდე ტრანსპორტირება უზრუნველყო. სურვილის შემთხვევაში ამ შეთავაზებით დასაქმებულთა ოჯახის წევრებიც სარგებლობდნენ.

მეორე მნიშვნელოვანი მიმართულება იყო საინფორმაციო შეხვედრები, სადაც ყოველკვირეულად დარგის ექსპერტებსა და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს ვიწვევდით. ლაივ ჩართვების მეშვეობით ჩვენს თანამშრომლებს, არსებული ვაქცინებისა და მათი ეფექტიანობის შესახებ, კონსულტაციის გავლა შეეძლოთ ცნობილ ექიმებთან და ე.წ. „აზრის ლიდერებთან.“

გარდა ამისა, გვქონდა სპეცია-ლური გათამაშებები და წამახალისებელი საჩუქრები. ვაქცინირებულმა თანამშრომ-ლებმა ინდივიდუალური, ბრენდირებული საჩუქრების გარდა, ლოტოტრონის მეშვეობით სხვადასხვა ფასიანი პრიზები მოიგეს. მათ შორის, მთავარი პრიზი – ელექტროსკუტერი. ვფიქრობთ, ჩვენმა წამოწყებამ გაამართლა და შედეგად, არაერთი დეპარტამენტი თუ შვილობილი კომპანია „მწვანე ზონის“ სტატუსით ამაყობს, რაც დღესდღეობით ძალზე მნიშვნელოვანია.

*თითოეული თანამშრომლის ჯანმრთელობა კომპანიისთვის უმნიშვნელოვანესია. კოვიდპანდემიის დაძლევისა და თანამშრომელთა უსაფრთხოების მიზნით, დავიწყეთ ვაქცინაციის წამახალისებელი კამპანია – „თეგეტა - მწვანე ზონა“.*

**THE HEALTH OF EVERY EMPLOYEE IS CRUCIAL FOR THE COMPANY. TO OVERCOME THE COVID PANDEMIC AND THE SAFETY OF EMPLOYEES, WE COMMENCED VACCINATION SUPPORT CAMPAIGN – TEGETA – GREEN ZONE.**

The health of every employee is crucial for the company. To overcome the covid pandemic and the safety of employees, we commenced vaccination support campaign – Tegeta – Green Zone.

We worked in several directions within this project: the company has ensured registration for vaccination and transportation to vaccination sites. Family members of the employees were also offered such support.

The second significant direction was informa-tive meetings, where every week we invited field experts and medical representatives. Our employees were able to receive information and consultations from famous doctors and so-called opinion leaders on existing vaccines and their efficiency.

Apart from this, we've had special lotteries and promotional prizes. Vaccinated staff members received individual, branded gifts, and also various value prizes through lotto draws. Among the prizes was the main prize – an electric scooter. We believe this initiative was successful and as a result, multiple departments or subsidiaries are proud of their Green Zone status, which is very important nowadays.

# ცირკულარულ ეკონომიკაზე გარდამავალი ბიზნესის და კომპანიების სოციალური სარგებელი

# BUSINESS AND SOCIETAL BENEFITS OF COMPANIES TRANSITIONING TOWARDS A CIRCULAR ECONOMY

წლების განმავლობაში პარ ლარშანს 1000-ზე მეტი გამოსვლა ჰქონდა მდგრადობასთან დაკავშირებულ თემებზე. მას აქვს 25 წლიანი პროფესიული გამოცდილება მდგრადობის მენეჯმენტის სფეროში. ბატონი ლარშანსი ეხმარება შვედეთის სამთავრობო უწყებებს გარემოსდაცვითი მიზნების დასახვის საკითხების ექსპერტის რანგში. სხვადსხვა დროს მუშაობდა შვედეთის მრეწველობისა და გარემოს დაცვის სამინისტროში.

„Ragn-Sells“-ი შვედური კერძო კორპორაციული ჯგუფია, რომელიც 1881 წელს შეიქმნა და საქმიანობს შვედეთში, ნორვეგიაში, დანიასა და ესტონეთში. 1966 წლიდან „Ragn-Sells“-ი ჩართულია ნარჩენების მართვაში, გარემოსდაცვით მომსახურებასა და ნარჩენების გადამუშავებაში. ჯგუფი აგროვებს, ამუშავებს და წმენდს ნარჩენებს კომპანიებში, ორგანიზაციებსა და შინამეურნეობებში. კომპანიამ შეიმუშავა უაღრესად კლიმატ-ეფექტური ცირკულარული გადაწყვეტილებები, რომლებიც მორგებულია ცირკულარულ ეკონომიკაზე, რათა ხელი შეუწყოს „waste2energy“ სისტემებს და გამოუსადეგარი წყლების გამწმენდ ნაგებობებს, რათა ისინი ცირკულარულ ეკონომიკაში მომგებიან და მომწამლავი ნივთიერებებისგან გამწმენდ ნაგებობებად იქცნენ.

ექსკლუზიურ ინტერვიუში ბატონი ლარშანსი გვიზიარებს შვედეთში „Ragn-Sells“-ის ნარჩენების მართვისა და გამონაბოლქვის შემცირების გამოცდილებას, რათა გახდეს კლიმატ-პოზიტიური კომპანია 2030 წლისთვის და მოუწოდებს კერძო სექტორს, გარემოსდაცვითი გამოწვევები ბიზნეს გეგმად აქციონ.

OVER THE YEARS, MR. LARSHANS HAS DELIVERED MORE THAN 1,000 SPEECHES ON SUSTAINABILITY RELATED TOPICS. HE COUNTS MORE THAN 25 YEARS OF PROFESSIONAL EXPERIENCE IN THE FIELD OF SUSTAINABILITY MANAGEMENT. MR. LARSHANS SUPPORTS THE GOVERNMENT OFFICES OF SWEDEN AS AN EXPERT ON ENVIRONMENTAL GOAL-SETTING. HE PREVIOUSLY HELD APPOINTMENTS AT THE MINISTRY OF INDUSTRY AND MINISTRY OF ENVIRONMENT OF SWEDEN.

RAGN-SELLS IS A SWEDISH PRIVATELY HELD CORPORATE GROUP CREATED IN 1881 AND OPERATING IN SWEDEN, NORWAY, DENMARK, AND ESTONIA. SINCE 1966, RAGN-SELLS HAS BEEN INVOLVED IN WASTE MANAGEMENT, ENVIRONMENTAL SERVICES, AND RECYCLING. THE GROUP COLLECTS, TREATS AND RECYCLES WASTE AND RESIDUAL PRODUCTS FROM BUSINESSES, ORGANIZATIONS AND HOUSEHOLDS. THE COMPANY HAS DEVELOPED A RANGE OF HIGHLY CLIMATE-EFFECTIVE CIRCULAR SOLUTIONS FITTED FOR THE CIRCULAR ECONOMY TO COME SUPPORT TODAY WASTE2ENERGY SYSTEMS AND WASTE WATERS TREATMENT PLANTS TO BECOME RESOURCE-AND DETOXIFYING PLANTS IN A FUTURE CIRCULAR ECONOMY.

IN THIS EXCLUSIVE INTERVIEW MR. LARSHANS SHARES RAGN-SELLS EXPERIENCE IN MANAGING WASTE AND REDUCING EMISSIONS IN SWEDEN IN ORDER TO BECOME A CLIMATE POSITIVE COMPANY BY 2030, AND CALLS ON COMPANIES TO TURN ENVIRONMENTAL CHALLENGES INTO BUSINESS PLANS.







**პარ ლარშანსი**
*კომპანია „Ragn-Sells“-ის მდგრადობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორი.*

**Mr. Pär Larshans**
*Director of Sustainability & Public Affairs at Ragn-Sells*

**რატომ ისწრაფვიან კომპანიები ცირკულარული ეკონომიკისკენ, რა ბიზნეს და სოციალური სარგებელი მოაქვს ცირკულარულ ეკონომიკას და ეკოინოვაციურ მიდგომებს?**

არსებობს რამდენიმე მიზეზი, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი კლიმატზე დადებითი ეფექტია, რაც მასების ცირკულარულმა ნაკადებმა შეიძლება მოიტანოს და, უკვე ვიცით, რომ ბევრი ქიმიური ელემენტისადმი მოთხოვნა აღემატება მათი მოპოვების შესაძლებლობას – სპილენძი, კობალტი და კიდევ 40 ქიმიური ელემენტი აუცილებელია ციფრულ და ელექტრონულ ტრანსფორმაციაში, რაც ახლა ხდება და გასტანს მომავალი 30 წლის განმავლობაში. რკინის საჭიროებამაც კი შეიძლება გამოიწვიოს მრავალი პრობლემა მოპოვებით პროცესში.

**Why are companies moving towards the circular economy, what are the business and societal benefits of the circular economy and eco-innovation approaches?**

There are several reasons but the most important are the positive climate effect that circular material flows can have and we also already now know that the need for many elements are exceeding the possibility to mine them – copper, cobalt and another 40 elements are much needed in the digital-and electrified transformation that are taking place from now and the next 30 years. Even the need for iron will lead to sourcing problems.

There are many companies already today that see the challenges of how to meet their need for raw materials and it leads to those companies securing their materials from what they put on market by themselves. Batteries are one concrete example.

A circular economy needs new types of regulations in place to enable circular

*წლების განმავლობაში პარ ლარშანს 1000-ზე მეტი გამოსვლა ჰქონდა მდგრადობასთან დაკავშირებულ თემებზე. მას აქვს 25 წლიანი პროფესიული გამოცდილება მდგრადობის მენეჯმენტის სფეროში. ბატონი ლარშანსი ეხმარება შვედეთის სამთავრობო უწყებებს გარემოსდაცვითი მიზნების დასახვის საკითხების ექსპერტის რანგში. სხვადსხვა დროს მუშაობდა შვედეთის მრეწველობისა და გარემოს დაცვის სამინისტროში.*

**OVER THE YEARS, MR. LARSHANS HAS DELIVERED MORE THAN 1,000 SPEECHES ON SUSTAINABILITY RELATED TOPICS. HE COUNTS MORE THAN 25 YEARS OF PROFESSIONAL EXPERIENCE IN THE FIELD OF SUSTAINABILITY MANAGEMENT. MR. LARSHANS SUPPORTS THE GOVERNMENT OFFICES OF SWEDEN AS AN EXPERT ON ENVIRONMENTAL GOAL-SETTING. HE PREVIOUSLY HELD APPOINTMENTS AT THE MINISTRY OF INDUSTRY AND MINISTRY OF ENVIRONMENT OF SWEDEN.**

დღეისათვის უკვე ბევრი კომპანიაა, რომელიც ხედავს გამოწვევებს, თუ როგორ უნდა დააკმაყოფილონ ნედლეულის საკუთარი მოთხოვნა და ეს აიძულებს კომპანიებს, მოიპოვონ მასალები იმავე პროდუქტისგან, რომელსაც ბაზარზე ათავსებენ. ქიმიური ელემენტები ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია.

ცირკულარულ ეკონომიკას ახალი სახის რეგულაციები სჭირდება, რათა შესაძლებელი იყოს ცირკულარული მასალის ნაკადების მოძრაობა, მაგრამ მნიშვნელოვანი იქნება დეკონტამინაციის ეტაპის გათვალისწინება, რათა საფრთხე არ შევუქმნათ მომავალი თაობების ჯანმრთელობას.

**როგორ შეუძლია, ერთის მხრივ, ბიზნესს და, მეორეს მხრივ, მთავრობას ცირკულარული ეკონომიკისკენ სწრაფვა? თქვენს ქვეყანაში რას აკეთებს ბიზნესი და მთავრობა იმისათვის, რომ მწვანე ეკონომიკა რეალობად იქცეს?**

დღევანდელ სწორხაზოვან ეკონომიკაში ჩვენ ორგანიზებულნი ვართ ფილიალების სახით, ეს დღევანდელ ეკონომიკაში ნიშნავს, რომ ჩვენ ვართ ნარჩენების მართვის ინდუსტრიის ნაწილი, ხოლო ხვალინდელ ცირკულარულ ეკონომიკაში ჩვენ საზოგადოებას ღირებულებათა ჯაჭვებში მოვათავსებთ, რადგან სრულ ცირკულარულ ეკონომიკაში ნარჩენები არ არის. მართალია, იარსებებს ტოქსიკური ნივთიერებები, რომლებიც უნდა გამოვიტანოთ ეკოსისტემიდან, რადგან ისინი გამოიყენება მხოლოდ იმისთვის, რისთვისაც საჭიროა. როდესაც ორგანიზებას უწევ მასალების ნაკადებს, შენ უნდა გქონდეს პოლიტიკოსების მხარდაჭერა სხვადასხვა მიმართულებით, ეს შეიძლება იყოს მატერიალური კვოტები, საგადასახადო შეღავათები, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანია, დარწმუნდეთ, რომ ცირკულარული მასალის ნაკადების შესახებ კანონმდებლობა ეფუძნება არა წარმოშობის არამედ ხარისხის კრიტერიუმებს. თუ იგი ნარჩენად იქნა განსაზღვრული, ბევრ ქვეყანაში არ არის ნებადართული მისი გამოყენება ახალი პროდუქტების წარმოებისთვის. სიმართლე გითხრათ, დღეს რასაც

*ცირკულარულ ეკონომიკას ახალი სახის რეგულაციები სჭირდება, რათა შესაძლებელი იყოს ცირკულარული მასალის ნაკადების მოძრაობა, მაგრამ მნიშვნელოვანი იქნება დეკონტამინაციის ეტაპის გათვალისწინება, რათა საფრთხე არ შევუქმნათ მომავალი თაობების ჯანმრთელობას.*

**A CIRCULAR ECONOMY NEEDS NEW TYPES OF REGULATIONS IN PLACE TO ENABLE CIRCULAR MATERIAL FLOWS, BUT IT WILL BE IMPORTANT TO INCLUDE A DECONTAMINATION STEP SO THAT WE DON'T RISK THE HEALTH OF FUTURE GENERATIONS.**

material flows, but it will be important to include a decontamination step so that we don't risk the health of future generations.

**How can business and government drive the transformation towards a circular economy? In your country what are both business and government doing to make the green economy a reality?**

In todays linear economy we are organized in branches, in today's economy it means that we are part of the waste management industry, in tomorrow's circular economy we will organize the society into value chains, because in a fully circular economy there will not be any waste. It is true that we will have toxic substances that we need to take out of the ecosystem or make sure that they are only used for what they are needed for. When you organize in material flows you will need to have policymakers' support in enabling it with different tools – this could be material quotas, tax benefits, but the most important are to make sure that the legislation for circular material flows are bases on QUALITY criteria, and not origin. If it has been defined as waste, in many countries it is not allowed to be used to produce new products. To be honest, what is today waste are resources in disorder – and you will only need the correct treatment





ნარჩენებს ვეძახით, რეალურად დაულაგებელი რესურსია და მხოლოდ გადამუშავების სწორი მეთოდი გჭირდებათ, რათა ისინი „კვლავ დალაგდნენ“. ჩვენი Ash2Salt (easymining.se) და Ash2Phos (easymining.se) წარმოადგენს მაგალითებს, რომელიც აჩვენებს თუ როგორ შეიძლება მასალის ხარისხის აღდგენა მინიმუმ იმავე ხარისხში ან თუნდაც უკეთესად ვიდრე თავდაპირველად იყო.

**ეკოინოვაციურ მიდგომებზე გადასვლის პროცესში რა არის ბიზნესის ძირითადი გამოწვევები?**

არსებობს რამდენიმე გამოწვევა, მაგრამ ყველაზე რთული კულტურული ასპექტია, ჩვენ უნდა ვიყოთ ექსპერტები თანამშრომლობაში, ამავდროულად კი გვჭირდება კანონმდებლობის ცვლილებებიც. ცირკულარული ეკონომიკა და ცირკულარული მასალის ნაკადები არ გაითვალისწინებს, რომ ქვეყნებს შორის საზღვრები არსებობს, ამიტომ კანონები უნდა იყოს უფრო ფართო გეოგრაფიულად, მაგალითად, ევროკავშირის ან თუნდაც მსოფლიო სავაჭრო გარიგებების (WTO) დონეზე.

**რა არის ის ამოცანები, რომლებიც დაუწესეთ „Ragn-Sells“-ს, რათა წაახალისოთ მწვანე პროდუქტები და წარმოების პროცესები მთელს მიწოდების ჯაჭვში?**

ჩვენ კლიმატის ამოცანები უმაღლეს პრიორიტეტად განვსაზღვრეთ, თუმცა ასევე დავისახეთ დეკონტამინაციის პრინციპი, რომელიც უნდა შევასრულოთ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩვენ ვიარსებებთ ნარჩენების მართვის დღევანდელ ინდუსტრიაში მანამ, სანამ ნარჩენები იარსებებს, თუმცა ჩვენი ყურადღება ასევე გამახვილებულია ცირკულარული ქიმიური პროცესების შემუშავებაზე, რომელიც რამდენიმე განსხვავებული „მიწოდების წრის“ (და არა

method in place to make them back 'in order' again. Our ash2salt (Ash2Salt (easymining.se), ash2phos Ash2Phos (easymining.se) are examples of processes that can restore that quality of the material to at least the same quality or even better than from the original production.

**What are the main challenges of businesses in the process of transitioning to eco-innovation approaches?**

There are several challenges but the most challenging is the culture aspect, we need to be experts in collaborating and then we have the need to change the legislation as well. A circular economy and circular material flows will not take into consideration that country borders exist, so it means that the laws enacted need to be the same across a larger geography like in the EU or even preferably in global trade deals (WTO).

**What are the targets that you have set for Ragn-Sells to drive green products and production processes throughout your supply chain?**

We have set climate targets as the highest priority but then we also have the decontamination principle which is just as important to fulfill. What is important to state is that we will exist in today's waste management industry as long waste exists but our focus is to develop circular chemical processes that will be part of several different "supply circles" (not supply chain that has a beginning and an end). When we did our forecast in 2015, which is the basics for our company strategy today, we understood that in a future circular economy "waste" will not exist and therefore there will be no need for waste management companies either.

**How has COVID affected your decision-making in the process of the adoption of green and clean technologies and practices? How has it affected your supply chain and what steps have you taken to support the supply chain?**

*სიმართლე გითხრათ, დღეს რასაც ნარჩენებს ვეძახით, რეალურად დაულაგებელი რესურსია და მხოლოდ გადამუშავების სწორი მეთოდი გჭირდებათ, რათა ისინი „კვლავ დალაგდნენ“.*

მიწოდების ჯაჭვი, რომელსაც აქვს დასაწყისი და დასასრული) ნაწილი იქნება. როდესაც ჩვენ გავაკეთეთ პროგნოზი 2015 წელს, რაც კომპანიის დღევანდელი სტრატეგიის საბაზისო მაჩვენებელია, ჩვენ გვესმოდა, რომ მომავალში ცირკულარული ეკონომიკის პირობებში აღარ იარსებებს „ნარჩენები“ და, შესაბამისად, არც ნარჩენების მართვის კომპანიები იქნება საჭირო.

**როგორ იმოქმედა კოვიდ-პანდემიამ მწვანე და სუფთა ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის მიღების პროცესში თქვენი გადაწყვეტილებების მიღებაზე? როგორ იმოქმედა მან თქვენს მიწოდების ჯაჭვზე და რა ნაბიჯები გადადგით მიწოდების ჯაჭვის მხარდასაჭერად?**

ჩვენზე საერთოდ არ იმოქმედა პანდემიამ ან მხოლოდ ნაწილობრივ იმოქმედა (ვგულისხმობთ, რა თქმა უნდა, შემთხვევებს, როდესაც მომხმარებლები გვყავდა ტრანსპორტში, სასტუმროებსა და რესტორნებში). რაც დავინახეთ, არის ის, რომ მოპოვებითი ინდუსტრიის მიერ მიღებული რესურსებიდან გლობალური მიწოდების ჯაჭვები დღეს უკვე ძნელად იშოვება და ამან განაპირობა, რომ ნარჩენებიდან მასალის მოპოვება გაიზარდა. ჩვენ გავზარდეთ ბრუნვა და, ამავე დროს, შევძელით ხარჯების შემცირება. ჩვენ ამას აღვიქვამთ მტკიცებულებად იმისა, რომ ჩვენი სტრატეგია, გავხდეთ ნედლეულის მიმწოდებელი და მომავალ ცირკულარულ ეკონომიკაში დეტოქსიფიკატორი, სწორი გზაა. ჩვენი გაზრდილი თანამშრომლობის უნარი ასევე განაპირობებს ახალ ბიზნეს შეთანხმებებს ახალ გეოგრაფიულ რეგიონებში და გაზრდილ ინტერესს საზოგადოების მხრიდან.

**როგორ შეგიძლიათ მიაწოდოთ პროდუქცია ნარჩენების წარმოქმნის გარეშე? როგორ იქმნება ცირკულარული მასალის ნაკადი, აქტივების და რესურსების გარეშე, რათა გაფართოვდეს ცვლილებები მთლიანად ბიზნესში?**

We have not been affected at all or only partly (where we had customers in the transport, hotels, restaurants of course). What we have seen is that global supply chains from mined resources are already today hard to get, and it has led to sourcing from waste has increased. We have increased our turnover and at the same time been able to reduce our cost. We see this as a proof that our strategy to become a raw material supplier and detoxifier in a future circular economy are the correct way. Our increased ability to collaborate has also led to new business agreements in new geographies as well and an increased interest from society.

**How can you deliver products without generating waste? How can you create circular material flows, assets and resources to be developed to scale change across businesses?**

First you need to design products so it will be possible to keep the value of the raw material in loops, then you need to collaborate along the value circle both upstream and downstream in order to secure both your supply but also the correct use of the product. Then you will need to

**TO BE HONEST, WHAT IS TODAY WASTE ARE RESOURCES IN DISORDER – AND YOU WILL ONLY NEED THE CORRECT TREATMENT METHOD IN PLACE TO MAKE THEM BACK 'IN ORDER' AGAIN.**



პირველ რიგში, პროდუქტი ისე უნდა დაგეგმოთ, რომ შესაძლებელი იყოს ნედლეულის ღირებულების შენარჩუნება, შემდეგ უნდა ითანამშრომლოთ ღირებულებათა წრეზე როგორც ზემოთ, ისე ქვემოთ, რათა უზრუნველყოთ როგორც თქვენი მარაგები, ასევე პროდუქტის სწორი გამოყენება. შემდეგ დაგჭირდებათ იმის უზრუნველყოფა, რომ შეგიძლიათ მასშტაბის ეფექტის ეკონომიკაში მუშაობა, თუმცა აქ ბევრი გამოწვევაა დღევანდელ კანონმდებლობასთან დაკავშირებით.

**რა ნაბიჯები გადადგა თქვენმა კომპანიამ დაბალი ნახშირბადის და რესურს-ეფექტური ოპერაციების მიმართულებით?**

ჩვენ გვაქვს გეგმა, რომ 2030 წლამდე გავხდეთ კლიმატ-პოზიტიური, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ შევამცირებთ $CO_2$-ზე ჩვენს ზემოქმედებას მინიმუმ 50 პროცენტით 2030 წლამდე, მაგრამ ასევე შემოვიღებთ ახალ ცირკულარულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეამცირებენ $CO_2$-ის გაფრქვევებს და $CO_2$-ის გამოყენებას სხვადასხვა პროცესში: OSA პროექტი ესტონეთში ერთი-ერთი მაგალითია, სადაც ჩვენ შევიმუშავეთ მეთოდი $CO_2$-ის გამოყენებით ესტონეთის ნაცრის მთებიდან ნაცრის გამოსადევნად. პირველი საწარმოო ერთეული 2025 წლიდან ამოქმედდება, რომელიც აწარმოებს PCC-ის (ფილერს), თუმცა საერთო ჯამში ამ ერთ პროექტს აქვს პოტენციალი გლობალური $CO_2$ გაფრქვევა შეამციროს 400 მილიონი ტონით რაც $CO_2$-ის შვედეთის 2019 წლისთვის არსებული გაფრქვევების 8 წლის ჯამის ტოლი ოდენობაა. https://www.osaservice.ee/en/

კიდევ ერთი მაგალითია „Re-Fertilze“ პროექტი ან პროექტი აზოტი, რომელიც ჰაბერ ბოშის მეთოდით აზოტოვანი სასუქის წარმოების საჭიროებას შეამცირებს და ამავდროულად თავიდან აიცილებს „სიცილის გაზის“ უზარმაზარ გაფრქვევას ($N_2O$). LIFE RE-Fertilize (easymining.se)

*ჩვენ გვაქვს გეგმა, რომ 2030 წლამდე გავხდეთ კლიმატ-პოზიტიური, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ შევამცირებთ $CO_2$-ზე ჩვენს ზემოქმედებას მინიმუმ 50 პროცენტით 2030 წლამდე, მაგრამ ასევე შემოვიღებთ ახალ ცირკულარულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეამცირებენ $CO_2$-ის გაფრქვევებს და $CO_2$-ის გამოყენებას სხვადასხვა პროცესში.*

**WE HAVE A PLAN TO BECOME CLIMATE POSITIVE BEFORE 2030, IT MEANS THAT WE WILL REDUCE OUR OWN $CO_2$ IMPACT BY AT LEAST 50 PER CENT BY 2030 BUT ALSO INTRODUCE NEW CIRCULAR SOLUTIONS THAT WILL EITHER REDUCE $CO_2$ EMISSIONS OR EVEN USE $CO_2$ AS INPUT IN PROCESSES.**

ensure that you can operate in an economy of scale, but here there are a lot of challenges with today's legislation.

**What steps has your company taken towards low-carbon and resource-efficient operations?**

We have a plan to become climate positive before 2030, it means that we will reduce our own $CO_2$ impact by at least 50 per cent by 2030 but also introduce new circular solutions that will either reduce $CO_2$ emissions or even use $CO_2$ as input in processes: he OSA project in Estonia is one example where we have developed a method to use $CO_2$ to eject into the ash from the ash mountains in Estonia. The first production unit is planned to be up and running from 2025 producing PCC (filler) but in total this single project has the potential to reduce the global $CO_2$ emissions by 400 million tons or the equal sum of 8 years of $CO_2$ emissions that Sweden had as a nation in 2019. https://www.osaservice.ee/en/

Another example is the Re-Fertilze project or Project Nitrogen which will reduce the need to produce nitrogen fertiliser with the Haber Bosch method and at the same time avoid huge 'laughing gas' emissions ($N_2O$) to occur. LIFE RE-Fertilize (easymining.se)

# მდგრადი მოდა ქართულად და თანამედროვე მოდის ინდუსტრიის თავისებურებები

# GEORGIAN-STYLE SUSTAINABLE FASHION AND THE PECULIARITIES OF THE MODERN FASHION INDUSTRY



ანანო დოლაბერიძე
*ონლაინმაღაზია „ფაბერის“ თანადამფუძნებელი*

**Anano Dolaberidze**
*Co-founder of the online store Phubber*

თანამედროვე მოდის ინდუსტრია საინტერესოდ ვითარდება: ერთი მხრივ, სახეზეა მუდმივი ცვლილებების ტენდენცია და სწრაფი მოდის ზეიმი, მეორე მხრივ, ჭარბი წარმოებისა და გარემოს დაბინძურების მიმართ ეკოლოგიის დამცველთა პროტესტი. მნიშვნელოვანია, რომ ამ ყველაფერს თავად მოდის სფეროს წარმომადგენლებიც ეწინააღმდეგებიან და ყურადღების მიქცევას სხვადასხვა გზით ცდილობენ.

აღნიშნულმა ტალღამ საქართველომდეც მოაღწია. საინტერესოა ონლაინმაღაზია „ფაბერი“-ს კონცეფცია, რომელიც ხარისხიანი სამოსისა და აქსესუარების ხელახლა ყიდვა-გაყიდვას ითვალისწინებს. აღნიშნული პრაქტიკა დიდი ხანია დამკვიდრებულია სხვა ქვეყნებში. როგორ მუშაობს ეს მოდელი საქართველოში და როგორია მისი როლი მდგრადი მოდის განვითარების პროცესში? „ფაბერის“ თანადამფუძნებელი, **ანანო დოლაბერიძე** და კომპანიის მდგრადი მოდის ელჩი, **თაკო ნაცვლიშვილი** გვესაუბრებიან პლატფორმის საქმიანობასა და სამომავლო გეგმებზე.

THE MODERN FASHION INDUSTRY IS DEVELOPING IN AN INTRIGUING WAY: ON THE ONE HAND, THERE IS A TREND OF CONSTANT CHANGE AND A CELEBRATION OF FAST FASHION, WHILE ON THE OTHER HAND, WE SEE PROTESTS OF ENVIRONMENTALISTS AGAINST EXCESSIVE PRODUCTION AND POLLUTION. IT IS IMPORTANT FOR THE FASHION INDUSTRY ITSELF TO ALSO COMBAT AGAINST THESE NEGATIVE TRENDS OPPOSE THIS AND TRY TO ATTRACT ATTENTION IN DIFFERENT WAYS.

THIS WAVE HAS REACHED GEORGIA AS WELL. IT IS INTERESTING TO LOOK AT THE CONCEPT BEHIND ONLINE STORE PHUBBER, WHICH ENTAILS RE-BUYING AND SELLING QUALITY CLOTHES AND ACCESSORIES. THIS PRACTICE HAS LONG BEEN ACCEPTED IN OTHER COUNTRIES. HOW DOES THIS MODEL WORK IN GEORGIA AND WHAT IS ITS ROLE IN THE DEVELOPMENT OF SUSTAINABLE FASHION? **ANANO DOLABERIDZE**, CO-FOUNDER OF PHUBBER, AND **TAKO NATSVLISHVILI**, THE COMPANY'S AMBASSADOR FOR SUSTAINABLE FASHION, TALK ABOUT THE PLATFORM'S ACTIVITIES AND PLANS.

**EACH OF US CAN CONTRIBUTE TO THE CREATION OF A SUSTAINABLE FUTURE. SUSTAINABILITY IS PRIMARILY AN UNDERSTANDING OF PERSONAL RESPONSIBILITY - WE MUST LOOK FOR A SOLUTION IN EVERYDAY TRIVIALITIES.**








**დიდი ხანი არ არის, რაც თქვენი პლატფორმა ონლაინსივრცეში გამოჩნდა, თუმცა უკვე მოახერხა, შეეძინა ერთგული მომხმარებელი. რა გახდა ამის მიზეზი, რით აღმოჩნდა „ფაბერის“ კონცეფცია მიმზიდველი?**

საერთაშორისო ბაზარზე „სოციალური შოპინგი“ საკმაოდ პოპულარულია. „ფაბერი“ არის ონლაინპლატფორმა, სადაც მომხმარებელს შეუძლია იყიდოს და გაყიდოს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, აქსესუარები და თავის მოვლის სხვადასხვა საშუალება. აპლიკაციის იდეაა, ადამიანმა გაყიდოს სამოსი, რომელშიც დიდი თანხა გადაიხადა და აღარ სჭირდება. მეორე მხრივ, შეძლოს ასეთივე ნივთების შეძენა. ჩვენი პლატფორმა თითოეულს საშუალებას აძლევს, აქციოს თავისი გარდერობი ონლაინმაღაზიად, ჰყავდეს ერთგული მიმდევრები და მყიდველი, „ფაბერი“ კი უზრუნველყოფს გაყიდული ნივთების მიტანის სერვისს, ხარისხის კონტროლს, შეფუთვას, მარკეტინგსა და ონლაინგადახდების სისტემას.

**„ფაბერის“ ერთ-ერთი მიზანი მოდის მდგრადი და ცირკულარული მომავლის ხელშეწყობა და პოპულარიზაციაა. რამდენად აქტუალურია ეს საკითხი თანამედროვე მსოფლიოში? რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში და რას აკეთებთ ამ თემის გასააქტიურებლად?**

მოდის ინდუსტრია დაბინძურების მხრივ, მსოფლიოში მეორე ადგილზეა. კვლევების მიხედვით, ადამიანები თავიანთი გარდერობის დაახლოებით 80 პროცენტს არ იყენებენ. მისი დიდი ნაწილი ხშირად ნაგავსაყრელებზე ხვდება და ყოველწლიურად მილიონობით ტონას შეადგენს. თითოეულ ჩვენგანს შეუძლია, საკუთარი წვლილი შეიტანოს მდგრადი მომავლის შექმნაში. მდგრადობა, პირველ რიგში, პირადი პასუხისმგებლობის გაცნობიერებაა – ყოველდღიურ წვრილმანებში უნდა ვეძებოთ გამოსავალი. მნიშვნელოვანია საზოგადოებამდე

*თითოეულ ჩვენგანს შეუძლია, საკუთარი წვლილი შეიტანოს მდგრადი მომავლის შექმნაში. მდგრადობა, პირველ რიგში, პირადი პასუხისმგებლობის გაცნობიერებაა - ყოველდღიურ წვრილმანებში უნდა ვეძებოთ გამოსავალი.*

**It has not been very long since your platform emerged in the digital world, but it has already managed to acquire a loyal user base. What was the reason for this? Why was the Phubber concept so attractive?**

"Social shopping" is quite popular on the international market. Phubber is an online platform where customers can buy and sell clothes, shoes, accessories and various self-care products. The idea of the app is for a person to sell clothes for which they have paid a lot yet no longer have the need for. On the other hand, they can buy similar items. Our platform allows everyone to turn their wardrobe into an online store, to have loyal followers and buyers, while Phubber provides delivery service, quality control, packaging, marketing and an online payment system.

**One of the main goals of Phubber is to promote and boost the sustainable and circular future of fashion. How relevant is this issue in the modern world? What is the situation in Georgia and what are you doing to make this topic a trend?**

The fashion industry ranks second globally in terms of pollution. Some studies claim people do not use about 80 per cent of their

სწორი მესიჯის მიტანა – რომ ეს არ არის ინდივიდუალური, ლოკალური პრობლემა, რომლის უარყოფითი მხარეები მხოლოდ ერთ კონკრეტულ ჯგუფს ან სფეროს აზიანებს. საკითხი გლობალურია და საზოგადოების ჩართულობას საჭიროებს. სამწუხაროდ, საქართველოში ეს თემა ნაკლებად მნიშვნელოვანია. მოსახლეობას ამ კუთხით ძალიან მწირი ინფორმაცია აქვს, ამიტომ ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოდის მდგრადი და ცირკულარული მომავლის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

**„ფაბერის“ სლოგანია reuse, resell, repeat – რაც ხელახალ გაყიდვებს და ბრუნვადი მოდის კონცეპტს ეფუძნება. როგორ ეხმარება ეს მოდელი ეკოლოგიის გადარჩენას და რამდენად შეიძლება განვიხილოთ ეკოინოვაციის ერთგვარ შემადგენლად?**

დიახ, ჩვენი მიზანიც ეს არის – „ფაბერის“ მომხმარებლამდე მივიტანოთ სწორი მესიჯი, რას ნიშნავს იყო ცირკულარული მოდის მომავლის მონაწილე და რატომაა მნიშვნელოვანი. ვცდილობთ, ხშირად ვისაუბროთ ამ თემაზე და კონკრეტული მაგალითებით ვაჩვენოთ, რა გავლენა აქვს ერთი შეხედვით, უმნიშვნელო გადაწყვეტილებას ეკოლოგიაზე; რომ თითოეული ადამიანის მცირედი ძალისხმევა საბოლოო ჯამში, შედეგიანია და აუცილებელია ყოველდღიური ქცევების შეცვლა, დაფიქრება ამაზე.

**ცოტა ხნის წინ ცნობილი მოდელი, თაკო ნაცვლიშვილი „ფაბერის“ მდგრადი განვითარების ელჩი გახდა. რას გულისხმობს ეს ინიციატივა და რა ერთობლივი პროექტები იგეგმება ეკომეგობრული მოდის განხრით მომხმარებლის ცნობიერების ასამაღლებლად?**

მდგრადი მოდის მნიშვნელობაზე ცნობიერების ამაღლება და ეკოაქტივიზმის ხელშეწყობა პრევენციული ქმედებაა, რომელიც აუცილებლად შეცვლის არსებულ სურათს. ამიტომაც დავიწყეთ თანამშრომლობა თაკო ნაცვლიშვილთან. მასთან ერთად მომხმარებელს ვთავაზობთ ძალიან საინტერესო პროექტებს, როგორიცაა – Green Round Table Talks, რომელიც მოიცავს აქტუალურ დიალოგებს და ინიციატივებს მოდის მდგრადობასთან დაკავშირებით. ჩვენი ახალი ინიციატივაა, გარემოსთვის საზიანო პოლიეთილენის პარკის მრავალჯერადი გამოყენების ჩანთით ჩანაცვლება. Phubber x Tako Nats ჩანთების მრავალფეროვან არჩევანს გვთავაზობს. ტენდენციური დიზაინის აქსესუარი შეგვიძლია ყოველდღიურად სხვადასხვა დანიშნულებით გამოვიყენოთ. ამასთან, არც გარემო დავაბინძუროთ და მოდურებიც ვიყოთ.

**როგორია თქვენი გეგმები – რა მიმართულებით აპირებთ განვითარებას? როგორ გესახებათ „ფაბერის“ მსგავსი ონლაინმარკეტების მომავალი და რამდენად შეძლებენ ისინი კონკურენცია გაუწიონ სწრაფი მოდის ინდუსტრიას?**

„რისეილი“, ანუ ხელახლა გაყიდვა მსოფლიოში ძალიან აქტუალურია. ბიზნესის კუთხით თუ შევხედავთ, უახლოეს წლებში ეს ბაზარი 64 მილიარდს მიაღწევს და როგორც სწრაფ, ისე luxury მოდასაც გადაუსწრებს. „რისეილი“ ნელ-ნელა ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ტრენდი ხდება მსოფლიოში. შესაბამისად, ჩვენი განვითარება და გეგმებიც იქითაა მიმართული, რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის გახდეს ეს პროცესი მუდმივი და საინტერესო.

ჩვენი გუნდი აქტიურად მუშაობს ტექნოლოგიების განვითარებაზე. უახლოეს პერიოდში „ფაბერში“ ვიხილავთ ხელოვნურ ინტელექტს, რომელიც მომხმარებელს მასზე მორგებულ კატალოგს შესთავაზებს. ვცდილობთ, სხვადასხვა საშუალებით კიდევ უფრო დავხვეწოთ მომხმარებლის გამოცდილება და არჩევანი გავუადვილოთ. სწრაფ მოდასთან კონკურენცია არ არის მარტივი და ალბათ, ხელახალი გაყიდვები სრულად ვერც ჩაანაცვლებს, მაგრამ ნელ-ნელა რომ შევამციროთ ამ ტიპის პროდუქციის მოხმარება, სწრაფი მოდის წარმოებაც დაიკლებს და უფრო მეტად მიუახლოვდება ისეთ პროდუქტს, რომელიც ნაკლებად დააზიანებს გარემოს, ნაკლებად გამოიყენებს ბუნებრივ რესურსს და ა.შ.

*მდგრადი მოდის მნიშვნელობაზე ცნობიერების ამაღლება და ეკოაქტივიზმის ხელშეწყობა პრევენციული ქმედებაა, რომელიც აუცილებლად შეცვლის არსებულ სურათს.*

**RAISING AWARENESS OF THE IMPORTANCE OF CIRCULAR FASHION AND PROMOTING ECO-ACTIVISM ARE PREVENTIVE ACTIONS THAT WILL SURELY CHANGE THE CURRENT PICTURE.**

wardrobe. Most of it ends up in landfills and amounts to millions of tonnes every year. Each of us can contribute to the creation of a sustainable future. Sustainability is primarily an understanding of personal responsibility - we must look for a solution in everyday trivialities. It is important to deliver the correct message to the public: that this is not an individual, local problem, the disadvantages of which only affect a particular group or area. The issue is global and requires community engagement. Unfortunately, this topic is not very important yet in Georgia. The population has rather scarce information in this regard, so one of our main goals is to promote and popularize a viable and circular future of fashion.

**Phubber's slogan is reuse, resell, repeat - which is based on the concept of resales and circular fashion. How does this model help save the environment and can we consider that this is somewhat a component of eco-innovation?**

Yes, and that is our very goal - to deliver the correct message to Phubber customers, what it means to be a participant in the future of circular fashion and why it is important. We try to talk about this topic often and show with concrete examples what impact a seemingly insignificant decision has on the environment – that a small effort from everyone is ultimately fruitful and is necessary to change daily behaviors.



*ჩვენი ახალი ინიციატივაა, გარემოსთვის საზიანო პოლიეთილენის პარკის მრავალჯერადი გამოყენების ჩანთით ჩანაცვლება. Phubber x Tako Nats ჩანთების მრავალფეროვან არჩევანს გვთავაზობს.*

**OUR NEW INITIATIVE IS TO REPLACE ENVIRONMENTALLY HARMFUL POLYETHYLENE BAGS WITH REUSABLE BAGS. PHUBBER X TAKO NATS OFFERS A WIDE SELECTION OF BAGS.**

**Recently, famous model Tako Natsvlishvili became the sustainable development ambassador of Phubber. What does this initiative envisage and which joint projects are planned to raise consumer awareness in the field of eco-friendly fashion?**

Raising awareness of the importance of circular fashion and promoting eco-activism are preventive actions that will surely change the current picture. That is why we started cooperating with Tako Natsvlishvili. We offer customers very interesting projects together with her, such as Green Round Table Talks, which include dialogues on topical issues and initiatives related to fashion sustainability. Our new initiative is to replace environmentally harmful polyethylene bags with reusable bags. Phubber x Tako Nats offers a wide selection of bags. Trendy design accessories can be used daily for different purposes. At the same time, they bring down pollution and are fashionable.

**What are your plans - in what direction are you going to develop? How do you see the future of Phubber-like online markets and how well they will be able to compete with the fast fashion industry?**

"Resale", i.e., selling again is very relevant globally. In terms of business, this market will reach $64 billion in the coming years and will surpass both fast and luxury fashion. "Resale" is slowly becoming one of the most attractive trends in the world. Consequently, our development and plans are also directed at making this process permanent and interesting for as many people as possible.

Our team is passionately working on technology development. We will soon see artificial intelligence in Phubber, which will offer customers a customized catalog. We try to further refine user experience through various means and make the choice easier. Competing with fast fashion is not easy and resales are not likely to completely replace it, but if we gradually reduce the consumption of this type of product, fast fashion production will also decrease and will eventually move closer to a product that is less harmful to the environment and that uses fewer natural resources.




**თაკო ნაცვლიშვილი**
*„ფაბერის“ მდგრადი მოდის ელჩი, მოდელი*

**Tako Natsvlishvili**
*Phubber Sustainable Fashion Ambassador, Model*

*ბრენდები რაც შეიძლება მეტად უნდა დაფიქრდნენ ეკომეგობრული ბიზნეს-მოდელის შექმნაზე, მომხმარებელმა კი თავისი ქცევითა და არჩევანით აიძულოს მწარმოებლები მოდის გაჯანსაღებასა და პასუხისმგებლიანი კამპანიების დაგეგმვაზე.*

**BRANDS SHOULD THINK AS MUCH AS POSSIBLE ABOUT CREATING AN ECO-FRIENDLY BUSINESS MODEL, WHILE CONSUMERS, THROUGH THEIR BEHAVIOR AND CHOICES, SHOULD FORCE MANUFACTURERS TO PLAN HEALTHIER AND MORE RESPONSIBLE CAMPAIGNS.**

**ბოლო პერიოდში სწრაფი მოდისადმი დამოკიდებულება მსოფლიოში ნელ-ნელა იცვლება. გარემოზე მზრუნველი ადამიანები ეწინააღმდეგებიან ამ ინდუსტრიის მავნე ზემოქმედებას და მისგან მომავალ საფრთხეებს ებრძვიან. როგორია თქვენი, ახალი თაობის მოდელის დამოკიდებულება ამ პროცესების მიმართ?**

რამდენიმე წლის წინ, ჩემი სამოდელო საქმიანობის დასაწყისში, მოდის მდგრადობასთან დაკავშირებულ საკითხებს საზოგადოება და თავად ამ ინდუსტრიის შემოქმედებიც ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას, თუმცა დროსთან ერთად ბევრი რამ იცვლება და დღესდღეობით ეს პრობლემა მთელ მსოფლიოში აქტუალურია. პასუხისმგებლიანი ბრენდები სულ უფრო მეტად ფიქრობენ ეკომეგობრული პროდუქციის შექმნაზე, რათა ნაკლები ზიანი მიაყენონ გარემოს და ეკოლოგიას. ეს საკითხი არ არის იოლად მოსაგვარებელი და დიდი ძალისხმევა სჭირდება, თუმცა ყველას, მომხმარებელსაც და მწარმოებელსაც შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს მის დაჩქარებაში: ბრენდები რაც შეიძლება მეტად უნდა დაფიქრდნენ ეკომეგობრული ბიზნეს-მოდელის შექმნაზე, მომხმარებელმა კი თავისი ქცევითა და არჩევანით აიძულოს მწარმოებლები მოდის გაჯანსაღებასა და პასუხისმგებლიანი კამპანიების დაგეგმვაზე.

**რა იყო მიზეზი, რის გამოც „ფაბერის“ მდგრადი განვითარების ელჩობაზე დათანხმდით? რით არის თქვენთვის მნიშვნელოვანი ეს საქმიანობა?**

მდგრადი მოდის და ზოგადად, მდგრადი განვითარების საკითხები ჩემს ცხოვრებაში იტალიაში, უნივერსიტეტში სწავლისას შემოვიდა, სადაც დიდ დროს ვუთმობდით ამ თემატიკას, ვაკეთებდით უამრავ პროექტს მდგრადი მოდის მიმართულებით. სწორედ მაშინ მივხვდი, რამდენად საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხია. გადავწყვიტე, საქართველოში უფრო მეტად ჩავრთულიყავი ამ პროცესში და შეძლებისდაგვარად ამემაღლებინა ამ კუთხით ადამიანების ცნობიერება. „ფაბერის“ მიზნები დაემთხვა ჩემს ინტერესებს – ამ პლატფორმის ბიზნესმოდელიც მდგრადი და ბრუნვადია და ეკოლოგიაზე მოდის მავნე გავლენის შემცირებას ითვალისწინებს. ამიტომაც გადავწყვიტე მათთან თანამშრომლობა.

**რას ნიშნავს თქვენთვის მდგრადი მოდის ელჩობა და როგორ აპირებთ ამ მისიის განხორციელებას?**

მდგრადი მოდის ელჩობა მნიშვნელოვანი მისიაა და პირველ რიგში, ნიშნავს უკეთესი მომავლის შექმნას, საკუთარი წვლილის შეტანას მდგრადი მოდის პოპულარიზაციასა და უფრო პასუხისმგებლიანი, გამჭვირვალე საზოგადოების ჩამოყალიბებაში. „ფაბერთან“ ერთად ბევრი საინტერესო აქტივობა ჩავატარეთ: ფოტო და ვიდეოკამპანიები, საგანმანათლებლო სახის ვიდეოები, რუბრიკა green talks, სადაც საინტერესო ადამიანებთან ერთად მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს განვიხილავთ. ერთობლივად გამოვუშვით მრავალჯერადი ჩანთები პოლიეთილენის პარკების გამოყენების ჩასანაცვლებლად და შესამცირებლად. სამომავლოდ ამ საკითხის პოპულარიზაციისთვის კიდევ ბევრ სიახლეს ვგეგმავთ.

**როგორ შეიძლება შეცვალოს მოდის ინდუსტრიის მომავალი მდგრადი მოდის განვითარებამ?**

დიდი ხანია, მოდა ნარჩენებისა და კლიმატის ცვლილების ერთ-ერთი უდიდესი კონტრიბუტორია – ძირითადად, მისი არამდგრადი და არაეკოლოგიური წარმოების მეთოდების გამო. მაგრამ მოდა იცვლება და ბრენდები უფრო მდგრადი ქსოვილებისა და წარმოების მეთოდებზე გადადიან. კვლევების მიხედვით, მომხმარებლის 88 პროცენტს სურს, ბრენდები ეკომეგობრულად ცხოვრებაში დაეხმარონ. შესაბამისად, შემიძლია ვთქვა, რომ მოდის მომავალი არის და იქნება ეკომეგობრული და მდგრადი.

ბრენდები ცვლიან თავიანთ ბიზნესს, სტილს, ხდებიან უფრო გამჭირვალე. მომავალში გამჭვირვალობა სავალდებულო იქნება, რათა მიწოდების ჯაჭვის ყველა პროცესი კარგად ჩანდეს და მომხმარებელი დარწმუნდეს კომპანიის მდგრადობაში. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათთვის.

*კვლევების მიხედვით, მომხმარებლის 88 პროცენტს სურს, ბრენდები ეკომეგობრულად ცხოვრებაში დაეხმარონ. შესაბამისად, შემიძლია ვთქვა, რომ მოდის მომავალი არის და იქნება ეკომეგობრული და მდგრადი.*

**Attitudes towards fast fashion are slowly changing in the world. Environmentalists oppose the harmful effects of this industry and the dangers posed by it. What is your attitude, as a new generation model, towards these processes?**

A few years ago, at the beginning of my modeling career, fashion sustainability was an issue that didn't really capture the attention of the public or industry creators, but over time things are changing and nowadays this problem is significant all over the world. Responsible brands are increasingly thinking about creating eco-friendly products to do less harm to the environment and ecology. This issue is not easy to solve and requires a great deal of effort, but everyone, including both consumers and manufacturers, can contribute to its acceleration: brands should think as much as possible about creating an eco-friendly business model, while consumers, through their behavior and choices, should force manufacturers to plan healthier and more responsible campaigns.

**What motivated you to be Phubber's Ambassador for Sustainable Development? What makes this activity important to you?**

Sustainable fashion and in general, sustainable development issues, came into my life while studying at a university in Italy, where we devoted a lot of time to this topic, including multiple projects in the field of circular fashion. It was then that I realized how interesting and important the issue is. I decided to get more involved in this process in Georgia and to raise people's awareness in this regard as much as possible. Phubber's goals coincided with my interests - the business model of this platform is sustainable and circular as well; and aims to reduce harmful effects of fashion on the environment. Hence, I decided to collaborate with them.

**What does being a Sustainable Fashion Ambassador mean to you and how are you going to carry out this mission?**

A Sustainable Fashion Ambassador has an important mission – primarily of creating a better future, contributing to the popularization of sustainable fashion and to the formation of a more responsible, transparent society. We organized a lot of interesting activities with Phubber: photo and video campaigns, educational videos, green talks, where we discuss sustainable development issues with interesting people. We have jointly produced reusable bags to replace and reduce the use of polyethylene packaging. We are planning many more novelties to popularize this issue in the future.

**How can the future development of sustainable fashion change the fashion industry?**

For a long time, fashion has been one of the biggest contributors to waste and climate change - mainly because of its unsustainable and non-environmentally friendly manufacturing methods. But fashion is changing and brands are opting more sustainable fabrics and production methods. Studies show that 88 per cent of consumers want brands to help them lead an eco-friendly lifestyle. Consequently, I can say that the future of fashion is and will be eco-friendly and sustainable.

Brands are transforming their business style, they are becoming more transparent. Transparency will become mandatory to ensure that all processes in the supply chain look good and that the customer is assured of the sustainability of the company. This is vital for them.

**STUDIES SHOW THAT 88 PER CENT OF CONSUMERS WANT BRANDS TO HELP THEM LEAD AN ECO-FRIENDLY LIFESTYLE. CONSEQUENTLY, I CAN SAY THAT THE FUTURE OF FASHION IS AND WILL BE ECO-FRIENDLY AND SUSTAINABLE.**

# ეკოინოვაცია, როგორც ახალი შესაძლებლობა

# ECO-INNOVATION – A NEW OPPORTUNITY

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

EU4Environment
Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Republic of Moldova, Ukraine

*ბოლო ათწლეულების განმავლობაში კომპანიებმა გააცნობიერეს ახალი მიდგომების აუცილებლობა, რომლებიც ხელს უწყობენ ბიზნეს პროცესების, წარმოებისა და პროდუქტის მდგრადობას. შესაბამისად, ეკოინოვაცია მთავარი კონცეფციაა ამ კონტექსტში. მას გავლენა აქვს კომპანიის საქმიანობის ყველა ეტაპზე. სწორედ ამიტომ გვეხმარება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, ამცირებს ბიზნეს საქმიანობის უარყოფით გავლენას გარემოზე, ზრდის ბუნების მედეგობას გარემოს გამოწვევების წინაშე.*

**თამთა ლომთაძე**

*ანალიტიკური და პარტნიორული პროექტების მენჯერი*

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი

მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიების საქმიანობასა და წარმატებაზე. კლიმატის ცვლილება, შეზღუდული რესურსები, ბიომრავალფეროვნების ცვლილება – თანაბრად აისახება სხვადასხვა სექტორსა და ბიზნეს საქმიანობაზე. ბოლო ათწლეულების განმავლობაში კომპანიებმა გააცნობიერეს ახალი მიდგომების აუცილებლობა, რომლებიც ხელს უწყობენ ბიზნეს პროცესების, წარმოებისა და პროდუქტის მდგრადობას. შესაბამისად, ეკოინოვაცია მთავარი კონცეფციაა ამ კონტექსტში. მას გავლენა აქვს კომპანიის საქმიანობის ყველა ეტაპზე. სწორედ ამიტომ გვეხმარება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, ამცირებს ბიზნეს საქმიანობის უარყოფით გავლენას გარემოზე, ზრდის ბუნების მედეგობას გარემოს გამოწვევების წინაშე.

ეკოინოვაციები კომპანიებს ეხმარება არსებულ გამოწვევებს ინოვაციური მიდგომებით გაუმკლავდნენ და ამასთან, მნიშვნელოვან ახალ შესაძლებლობებს უქმნის მათ. კომპანიებს, რომლებიც წარმატებით ნერგავენ ეკოინოვაციებს, ხელი მიუწვდებათ ახალ ბაზრებზე, წარმოების პროცესში უმცირდებათ ხარჯები, ინარჩუნებენ პროდუქტიულობას და ამცირებენ უარყოფით ზეგავლენას გარემოზე, არიან კონკურენტუნარიანნი და მოიზიდავენ ახალ ინვესტიციებს.

ეკოინოვაციების მიმართულებით საერთაშორისო ორგანიზაციები განსაკუთრებით აქტიურად მუშაობენ. 2019 წლიდან ევროკავშირი, პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებს პროგრამას „ევროკავშირი გარემოსათვის“ (EU4Environment)[1]. პროგრამა აერთიანებს ხუთ ძირითად თემატურ საკითხს და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს – აზერბაიჯანს, ბელარუსს, მოლდოვას, საქართველოს, სომხეთსა და ურაინას – ეხმარება პოლიტიკის დაგეგმვასა და უფრო „მწვანე“ ინვესტიციების განხორციელებაში, ინოვაციური პროდუქტებისა და ტექნოლოგიების ხელშეწყობაში, გარემოს დაცვის მიმართულებით აქტივობების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში. პროგრამა ევროკავშირის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამისა (UNEP), გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) და მსოფლიო ბანკის მიერ ერთობლივად ხორციელდება.

პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება და კომპონენტია მცირე და საშუალო საწარმოებში ეკოლოგიური ღირებულებათა ჯაჭვისა და პროდუქტების ინოვაციების („ეკოინოვაციების“) ხელშეწყობა, რომელსაც გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) ხელმძღვანელობს და გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელთან თანამშრომლობით ახორციელებს.

გაეროს გარემოსდაცვილი პროგრამის (UNEP) საქმიანობის შესახებ UNEP-ის ევროპის ოფისის კლიმატის ცვლილებისა და რესურსების ეფექტიანობის რეგიონული კოორდინატორი, **რი ცუცუმი გვესაუბრება.**

**შეგიძლიათ მოკლედ გვითხრათ „გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის“ (UNEP) საქმიანობის შესახებ „ევროკავშირი გარემოსთვის“ პროგრამის (EU4Environment Program) ფარგლებში? რა არის პრიორიტეტული მიმართულებები და რომელია თქვენი ძირითადი სამიზნე ჯგუფები ჩვენს ქვეყანაში? და აგრეთვე, შეგიძლიათ გვითხრათ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის გამოცხადებული კონკურსის შესახებ?**

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში გრძელდება ძალისხმევა მცირე და საშუალო ზომის საწარმოების „გამწვანების“ მხარდასაჭერად, მაგალითად, მათი გარემოზე ზემოქმედების შემცირებისა და პროდუქტიულობის ზრდის გაუმჯობესების კუთხით. ეს მცდელობები გაგრძელდა პანდემიის დროსაც.

„ევროკავშირი გარემოსთვის პროგრამის“ (EU4Environment Programme) ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის, ეკონომიკური

1 პროგრამის შესახებ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.eu4environment.org/ka/about/

**OVER THE PAST DECADES, COMPANIES HAVE APPRECIATED THE NEED FOR NEW APPROACHES THAT SUPPORT THE SUSTAINABILITY OF BUSINESS PROCESSES, MANUFACTURING AND PRODUCTS. ECO-INNOVATION IS A KEY CONCEPT IN THIS CONTEXT. IT INTERVENES AT THE LEVEL OF A COMPANY'S BUSINESS STRATEGY AND MODELS AND THEREFORE HELPS US ACHIEVE THE SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS, REDUCING THE BUSINESS ACTIVITY NEGATIVE IMPACT ON THE ENVIRONMENT, INCREASING THE RESILIENCE OF NATURE TO ENVIRONMENTAL CHALLENGES.**

**Tamta Lomtadze**

*Manager, Analytics and Partnership projects*

Global Compact Network Georgia

Challenges linked to the sustainable development have significant impact on the companies. Climate change, insufficient resources, changes in biodiversity - affect various sectors and businesses equally. Over the past decades, companies have appreciated the need for new approaches that support the sustainability of business processes, manufacturing and products. Eco-innovation is a key concept in this context. It intervenes at the level of a company's business strategy and models and therefore helps us achieve the Sustainable Development Goals, reducing the business activity negative impact on the environment, increasing the resilience of nature to environmental challenges.

Eco-innovations help companies deal with existing challenges through innovative approaches and, at the same time, provides for significant new opportunities for them. Companies that successfully implement eco-innovations have access to new markets, mange to reduce production costs, maintain productivity and reduce negative impact on the environment, they are competitive, and attract new investment.

International organizations are particularly active when it comes to eco-innovation. Since 2019, the European Union, with partner international organizations, has been implementing the EU4Environment programme.[1] The programme combines five key thematic issues and helps Eastern Partnership countries - Azerbaijan, Belarus, Moldova, Georgia, Armenia and Ukraine – in policy planning and creating "greener" investments, promoting innovative products and technologies, and focusing on environmental activities. The programme is implemented jointly by the European Union (EU), the Organization for Economic Co-operation and Development (OECD), the United Nations Environment Program (UNEP), the United Nations Industrial Development Organization (UNIDO) and the World Bank.

One of the main directions and components of the programme is the assistance to ecological value chain and product innovation ("eco-innovations") in small and medium enterprises (SMEs), implemented by the United Nations Environment Program (UNEP) leadership in cooperation with the Global Compact Network Georgia.

**Rie Tsutsumi,** Regional Coordinator for Climate Change and Resource Efficiency at the Europe Office United Nations Environment Programme (UNEP), speaks with us.

1 Additional information about the program is available at: https://www.eu4environment.org/ka/about/

*კომპანიებს, რომლებიც წარმატებით ნერგავენ ეკოინოვაციებს, ხელი მიუწვდებათ ახალ ბაზრებზე, წარმოების პროცესში უმცირდებათ ხარჯები, ინარჩუნებენ პროდუქტიულობას და ამცირებენ უარყოფით ზეგავლენას გარემოზე, არიან კონკურენტუნარიანნი და მოიზიდავენ ახალ ინვესტიციებს.*

თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამისა (UNEP) და გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) მიერ, ხელს უწყობს მცირე და საშუალო ზომის საწარმოების გარემოს დაცვის თვალსაზრისით ეფექტიანობის გაუმჯობესებას და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ეკოინოვაციური ბიზნეს მიდგომების ინტეგრირებას. კერძოდ, UNEP-ი ახორციელებს აქტივობებს ღირებულებათა ჯაჭვის ეკოლოგიურობის და პროდუქტების ინოვაციების მიმართულებით.

პროგრამის ფარგლებში, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) ეხმარება მცირე და საშუალო ზომის საწარმოების წარმომადგენლებს საქართველოსა და მოლდოვაში, შექმნან ახალი ბიზნეს მოდელები, რომლებიც შეესაბამება UNEP-ის ეკოინოვაციურ მიდგომას. ამ მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად საქართველოში ჩვენ ვთანამშრომლობთ გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელთან.

პირველ ეტაპზე ჩვენ ჩავატარეთ ბაზრის შეფასება და პოლიტიკის ანალიზი, რათა განგვესაზღვრა პრიორიტეტული სექტორები შემდგომი ჩართულობისთვის. საქართველოში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ეკოინოვაციების გაზრდის მიზნით გამოვლენილ სექტორებში ყველაზე პერსპექტიულია სოფლის მეურნეობისა და სტუმარმასპინძლობის სექტორები.

კონკურსი მიზნად ისახავს რვა მცირე და საშუალო ზომის საწარმოს შერჩევას იმ სექტორებიდან, რომლებიც მიიღებენ ტექნიკურ მხარდაჭერას მათი ეკოინოვაციური მზადყოფნის შესაფასებლად. რვა კომპანიიდან ხუთი უზრუნველყოფილი იქნება დამატებითი ინდივიდუალური ტექნიკური დახმარებით ბიზნეს მოდელის ტრანსფორმაციისა და სამოქმედო გეგმების ჩამოყალიბებისათვის.

**ეკოინოვაცია არის ახალი ბიზნეს მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს პროდუქტის მთელი სასიცოცხლო ციკლის მდგრადობას, ამასთანავე, ზრდის კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობას და კონკურენტუნარიანობას. რა სარგებელი მოაქვს ეკოინოვაციის მიდგომას მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის და მდგრადი მიდგომების განხორციელება როგორ ეხმარება კომპანიებს?**



**Can you tell us briefly about UNEP's activities under the EU4Environment Programme? What are the priority areas and what are your main target groups in our country? and about the announced contest for the small and medium-sized enterprises?**

In the EU Eastern Partnership countries, efforts have been ongoing to support the "greening" of SMEs, i.e., reducing their environmental impacts while improving productivity growth. These efforts have continued during the pandemic.

Under the EU4Environment Programme, funded by the EU, OECD, UNEP and UNIDO support improvements in environmental performance of SMEs and the integration of eco-innovative business approaches in the EaP countries. Particularly, UNEP is implemented activities aimed at ecological value-chains and product innovation.

**COMPANIES THAT SUCCESSFULLY IMPLEMENT ECO-INNOVATIONS HAVE ACCESS TO NEW MARKETS, MANGE TO REDUCE PRODUCTION COSTS, MAINTAIN PRODUCTIVITY AND REDUCE NEGATIVE IMPACT ON THE ENVIRONMENT, THEY ARE COMPETITIVE, AND ATTRACT NEW INVESTMENT.**





პანდემიამ აჩვენა რამდენად დაუცველნი არიან მცირე და საშუალო ზომის საწარმოები გლობალური გამოწვევების წინაშე. მცირე და საშუალო ზომის საწარმოები მრავლად არიან წარმოდგენილი იმ სექტორებში, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ კრიზისით და 8 პროცენტით უფრო სავარაუდოა, რომ დროებით დაიხურონ, ვიდრე მსხვილი ფირმები. ისინი 9 პროცენტით უფრო მეტად განიცდიან გაყიდვების ვარდნას, ვიდრე დიდი კომპანიები. რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება კრიზისი, მით უფრო სავარაუდოა, რომ ბიზნეს საქმიანობის შემცირება გამოიწვევს გადახდისუუნარობასა და კომპანიის ბაზრიდან გასვლას.

გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) ეხმარება მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს გაუმკლავდნენ ამ გამოწვევებს ჩვენი ეკოინოვაციური მიდგომის საშუალებით. აღნიშნული, მიდგომა გულისხმობს, რომ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებმა მდგრადობის საკითხები უნდა შეიტანონ ბიზნეს მოდელების, საქმიანობის, სტრატეგიის, პროდუქტებისა და პროცესების ყველა ასპექტში, რათა შეამციროს ადამიანის საქმიანობის გავლენა გარემოსდაცვით და სოციალურ ჭრილში. ამით კი კომპანია ხდება მოქნილი, კონკურენტული და სწრაფად რეაგირებს მოთხოვნებზე.

როდესაც კომპანიები გადადიან ცირკულარულ ბიზნეს მოდელებზე, ისინი იცავენ თავს რეგულაციური შოკების, ბაზრის ცვლილებების, არასაკმარისი ტექნიკური შესაძლებლობების, შეზღუდული შემოსავლების და დაფინანსების მცირე შესაძლებლობისაგან. ამ გადასვლის დამხმარეა ტექნიკური შუამავლები, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი და სხვა ქსელები, როგორიცაა რესურსების ეფექტიანი და სუფთა წარმოების გლობალური ქსელი, რომლებიც უზრუნველყოფენ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს გადამზადებით, გამოცდილებისა და უნარების გაზიარებით.

**რა რეკომენდაციები გაქვთ ბიზნესისა და მთავრობისთვის ეკოინოვაციის თვალსაზრისით? რატომ არის მნიშვნელოვანი**

*პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება და კომპონენტია მცირე და საშუალო საწარმოებში ეკოლოგიური ღირებულებათა ჯაჭვისა და პროდუქტების ინოვაციების („ეკოინოვაციების“) ხელშეწყობა, რომელსაც გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) ხელმძღვანელობს და გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელთან თანამშრომლობით ახორციელებს.*

**ONE OF THE MAIN DIRECTIONS AND COMPONENTS OF THE PROGRAMME IS THE ASSISTANCE TO ECOLOGICAL VALUE CHAIN AND PRODUCT INNOVATION ("ECO-INNOVATIONS") IN SMALL AND MEDIUM ENTERPRISES (SMES), IMPLEMENTED BY THE UNITED NATIONS ENVIRONMENT PROGRAM (UNEP) LEADERSHIP IN COOPERATION WITH THE GLOBAL COMPACT NETWORK GEORGIA.**

As part of the Programme, UNEP is assisting SMEs in Georgia and Moldova to develop new business models aligned with the UNEP eco-innovation approach. In Georgia, we are partnering with Global Compact Network Georgia to provide this support.

In a first step, we carried out a market assessment and policy analysis to identify priority sectors for further engagement. The sectors that were identified as most promising to upscale eco-innovation measures among SMEs in Georgia are agriculture, and accommodation and food.

The contest aims to select eight SMEs from those sectors that will benefit from technical support to assess their eco-innovation readiness. Five out of the eight companies will be provided with additional individual technical assistance for business model transformation and formation of action plans.

**Eco-innovation is a new business approach which promotes sustainability throughout the entire life cycle of a product, while also boosting a company's performance and competitiveness. What is the benefit of eco-innovation approach for SMEs and how implementing sustainable approaches helps companies?**

The pandemic has shown how vulnerable SMEs are to global shocks. SMEs are overrepresented in the sectors most affected by the crisis and are 8 per cent more likely to have shut down temporarily than larger firms. They are 9 per cent more likely to experience a fall in sales than large firms. The longer the crisis persists, the more likely that decreased liquidity will translate into insolvency and firm exit.

*მცირე და საშუალო ზომის საწარმოები მრავლად არიან წარმოდგენილი იმ სექტორებში, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ კრიზისით და 8 პროცენტით უფრო სავარაუდოა, რომ დროებით დაიხურონ, ვიდრე მსხვილი ფირმები. ისინი 9 პროცენტით უფრო მეტად განიცდიან გაყიდვების ვარდნას, ვიდრე დიდი კომპანიები.*

**SMES ARE OVERREPRESENTED IN THE SECTORS MOST AFFECTED BY THE CRISIS AND ARE 8 PER CENT MORE LIKELY TO HAVE SHUT DOWN TEMPORARILY THAN LARGER FIRMS. THEY ARE 9 PER CENT MORE LIKELY TO EXPERIENCE A FALL IN SALES THAN LARGE FIRMS.**

**ეკოინოვაცია ქვეყნისა და საზოგადოებისთვის?**

ჩვენი პლანეტა დგას სამმაგი კრიზისის წინაშე – კლიმატის, ბუნებისა და გარემოს დაბინძურების კუთხით – თანაც გლობალური დათბობა 2030-2052 წლებში 1.5°C-ს მიაღწევს, ამასთან, სახეზეა ბუნების სწრაფი დეგრადაცია, დაბინძურება და ნარჩენების დაგროვება, რაც ყოველწლიურად მილიონობით ადამიანის ნაადრევ სიკვდილს იწვევს მსოფლიოში. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესმა და მთავრობამ შეიმუშაონ უფრო მდგრადი პოლიტიკა და პრაქტიკა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის, მათ შორის, საქართველოსთვისაც, რადგან რეგიონი ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთი გლობალური ცხელი წერტილია, ამასთანავე ძალიან დაუცველია კლიმატის ცვლილების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო ზომის საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქართველოს ეკონომიკაში, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არის ერთობლივი მცდელობა. მთავრობებმა უნდა შექმნან გარემო ეკოინოვაციის სასარგებლოდ და გაზარდონ სახელმწიფო სექტორის დაფინანსება კერძო სექტორის რესურსების გამოსაყენებლად. მომხმარებლებმა უნდა განაგრძონ ბაზარზე ეკოინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების მოთხოვნა. მრავალეროვანმა საწარმოებმა უნდა გააღრმავონ თავიანთი საქმიანობა ღირებულების ჯაჭვების მიმართულებით. საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორიცაა გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP), უნდა გააგრძელონ ინიციატივების ხელშეწყობა, რომლებიც გაზრდის მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მდგრადობასა და კონკურენტუნარიანობას.

ბენეფიტები ნათელია – უფრო კონკურენტუნარიანი მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, უფრო უსაფრთხო და ღირსეული სამუშაოები, გამოწვევებთან გამკლავების მეტი უნარი და მეტი პროგრესი პლანეტის სამმაგი კრიზისის დასაძლევად.

UNEP helps SMEs face these challenges through our eco-innovation approach. This guides SMEs in incorporating sustainability into every aspect of business models, operations, strategy, products and processes to reduce the environmental and social impact of human activity. It results in an agile, reactive and competitive company.

When companies transition to circular business models, they protect themselves against regulatory shocks, market changes, inefficient technical capacity, limited revenue streams and narrow financing options. Instrumental to this transition are technical intermediaries such as GCNG and networks such as the Global Network for Resource Efficient and Cleaner Production, which provide SMEs with training, expertise and skills.

**What are your recommendations for business and government in terms of eco-innovation? Why is eco-innovation important for the country and for the society?**

We are facing a triple planetary crisis – climate, nature, and pollution – with global warming estimated to reach 1.5°C between 2030 and 2052, rapid decline of nature, as well as pollution and waste resulting in the premature deaths of millions of people across the world every year. It is therefore important that businesses and governments adopt more sustainable policies and practices. This is particularly important for the countries of the South Caucasus, including Georgia, as the region is one of the global biodiversity hotspots, while also being highly vulnerable to climate change.

While SMEs play a significant role in the economy of Georgia, we must recognize that it is a joint endeavour. Governments must shape the environment in favour of eco-innovation and increase public sector funding to leverage private sector resources. Consumers must continue demanding eco-innovative products and services from the market. Multinational enterprises must deepen their work along value chains. International organizations such as UNEP must continue to promote initiatives that increase the sustainability and the competitiveness of SMEs.

The benefits are clear. More competitive SMEs. More safe and decent jobs. More resilience to shocks. And more progress towards tackling the triple planetary crisis.



## ეკოინოვაციების მნიშვნელობა მცირე და საშუალო საწარმოებისთვის

პროგრამის მონაწილე ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში მცირე და საშუალო ზომის საწარმოები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეკონომიკაში, ასევე მნიშვნელოვანია მათი გავლენა გარემოზე, შესაბამისად, ეკოინოვაციების დანერგვა მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში მნიშვნელოვან ინსტრუმენტად მიიჩნევა, რაც უფრო „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლას შეუწყობს ხელს. ეკოინოვაციების დანერგვა, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს დაეხმარებათ, შეამცირონ გამოყენებული რესურსები, აღადგინონ მასალები და მართონ ნარჩენები.

ეკოინოვაციის დანერგვა ერთიანი პროცესია და გულისხმობს ცვლილებებს კომპანიის / საწარმოს სტრატეგიაში. თავის მხრივ, სტრატეგიაში შეტანილი ცვლილებები აისახება ბიზნეს მოდელში, საოპერაციო დონეზე და ბიზნეს პრაქტიკაში. ამდენად, ეკოინოვაცია მოიცავს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპს: ნედლეულის მოპოვებიდან – სასიცოცხლო ციკლის ბოლომდე, მისი რეალიზაციის ჩათვლით.

პროგრამის ფარგლებში, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი, UNEP-თან თანამშრომლობით მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს ცნობიერების ამაღლებასა და შესაძლებლობების განვითარებაში, პროდუქტის წარმოების პროცესში „პრობლემური წერტილების“ აღმოჩენაში დაეხმარება, ასევე, ეკოინოვაციური მიდგომები ბიზნეს სტრატეგიაში ასახვის მიზნით ტექნიკურ დახმარებასა და კონსულტაციას გაუწევს.

UNEP-ის პროექტის ფარგლებში გამოცხადებული ღია კონკურსის შედეგად შეირჩა 8 კომპანია, რომლებიც დაინტერესებულნი არიან და აქტიურად მუშაობენ ეკოინოვაციების დასანერგად. პროგრამა შერჩეულ კომპანიებს დაეხმარება, საერთაშორისო სტანდარტებისა და ადგილობრივი ბაზრის გათვალისწინებით, ეფექტიანად დანერგონ ეკოინოვაციური მიდგომები თავიანთ ბიზნეს სტრატეგიასა და საქმიანობაში.

## THE SIGNIFICANCE OF ECO-INNOVATION FOR SMALL AND MEDIUM ENTERPRISES

In the participating countries, Georgia included, SMEs play an important role in the economy, their impact on the environment is also significant. Introducing eco-innovation thus will help SMEs reduce the resources used, diversify their product offer, recycle materials and manage waste, amongst others.

The introduction of eco-innovation is a holistic process and implies changes in the company / enterprise strategy. In turn, changes in strategy are reflected in the business model, operational level and business practice. Therefore, eco-innovation covers all stages of the product life cycle: from the raw material extraction to the end of life, including its sale.

Global Compact Network Georgia, within the framework of the programme, in collaboration with UNEP, will assist SMEs in awareness raising and capacity building, identifying main challenges in the product development process, as well as in providing technical assistance and advice on reflecting eco-innovative approaches in business strategy.

As a result of the open call for applications announced within the framework of the UNEP project, 8 companies interested and actively working to implement eco-innovations were selected. The programme will help selected companies to effectively implement eco-innovative approaches in their business strategy and activities in line with international standards and through taking the local market into consideration.

*პროგრამის ფარგლებში, გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი, UNEP-თან თანამშრომლობით მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს ცნობიერების ამაღლებასა და შესაძლებლობების განვითარებაში, პროდუქტის წარმოების პროცესში „პრობლემური წერტილების“ აღმოჩენაში დაეხმარება, ასევე, ეკოინოვაციური მიდგომები ბიზნეს სტრატეგიაში ასახვის მიზნით ტექნიკურ დახმარებასა და კონსულტაციას გაუწევს.*

**GLOBAL COMPACT NETWORK GEORGIA, WITHIN THE FRAMEWORK OF THE PROGRAMME, IN COLLABORATION WITH UNEP, WILL ASSIST SMES IN AWARENESS RAISING AND CAPACITY BUILDING, IDENTIFYING MAIN CHALLENGES IN THE PRODUCT DEVELOPMENT PROCESS, AS WELL AS IN PROVIDING TECHNICAL ASSISTANCE AND ADVICE ON REFLECTING ECO-INNOVATIVE APPROACHES IN BUSINESS STRATEGY.**

## პროექტში მონაწილე კომპანიები

# COMPANIES PARTICIPATING IN THE PROJECT

კომპანია **„ჯი-ეს-ჯი“**-ს სურს, მიაღწიოს უდანაკარგო წარმოებას და შეამციროს გარემოსთვის მიყენებული ზიანი, გადაამუშაოს ნარჩენი და მიიღოს ცხოველთა და მცენარეთა კვების, ფარმაცევტული თუ სხვა მიმართულებით საჭირო პროდუქტი. ამისთვის, კი მას სჭირდება ინფორმაცია შესაბამისი ტექნოლოგიებისა და ბაზრების შესახებ. მსგავსად, **„თელეთის მეფრინველეობის ფაბრიკა“**-ს სურს წარმოების პროცესში არსებული ნარჩენების გამოყენება, შესაბამისად, კომპანიის მიზანი ნარჩენების გადამუშავების ახალი ტექნოლოგიების გაცნობა, შეფასება და დანერგვაში დახმარების მიღებაა.
ამავე სექტორში, კომპანია „ფრინველს“ სურს, გათბობისა და განათებისთვის მზის პანელების დამონტაჟება, რაც შეამცირებს კომპანიის მიერ ელექტრო ენერგიის გამოყენებას და დაეხმარება მას ენერგოეფექტური წარმოების მიღწევაში.

**“GSG”** wants to achieve loss-free production and reduce environmental damage, recycle waste and obtain animal and plant nutrition, pharmaceutical or other products. To do this, it requires information on relevant technologies and markets. Similarly, **TELETI POULTRY FARM** wants to utilize waste from the production, therefore, company's goal is to get acquainted with new waste processing technologies, to evaluate and receive assistance in implementation. In the same sector, company "Prinveli" wants to install solar panels for heating and illumination, which will reduce company's use of electricity and help it achieve energy efficient production.

კომპანია **„ბიოშეშის“** ბიზნესი შეეხება ეკოლოგიურად სუფთა, მყარი ბიოსაწვავის, ბიობრიკეტების და ნახშირის წარმოებას ხე-ტყის და სოფლის მეურნეობის ნარჩენების გამოყენებით. ბიო შეშის და ბიო ნახშირის, როგორც ალტერნატიული ენერგო რესურსის, გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა დანიშნულებით, როგორც საყოფაცხოვრებო, ისე საწარმოო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ამ პროდუქტის წარმოებით შემცირდება ხე-ტყის გაჩეხვა და გამოუყენებელი ნარჩენი ნედლეულით ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. კომპანიას სურს გარემოს დაცვის ხელშეწყობა, ფინანსებზე მეტი ხელმისაწვდომობის გაზრდა, ბიზნესის განვითარება და ახალი ბაზრების ათვისება, კოვიდპანდემიით გამოწვეული კრიზისის ფონზე ბიზნესის მართვა და მდგრადობის შენარჩუნება, ნიჭიერი თანამშრომლების მოზიდვა და მეტი სამუშაო ადგილის შექმნა.

**“BIOSHESHA”** (BioFirewood) business is related to the production of environmentally friendly, solid biofuels, bio-briquettes and coal using wood and agricultural waste. Bio firewood and bio coal can be used as alternative energy source for various purposes, including both domestic and industrial demand. Manufacturing this product will reduce logging and improve ecological condition of unused waste materials. The company wants to promote environmental protection, increase access to finance, grow businesses and expand to new markets, manage and sustain businesses in the wake of the Covid Pandemic crisis, attract talented employees and create more jobs.

კომპანია **„მანნა“** აწარმოებს ქართული ჩაის სახეობებს და ორიენტირებულია უმაღლესი ხარისხის, ეკოსლოგიურად სუფთა და ორგანული პროდუქციის წარმოებაზე, რომელიც არ შეიცავს მავნე ნივთიერებებსა და დანამატებს. კომპანიას სურს განაგრძოს მუშაობა აღნიშნული მიმართულებით, ამისთვის კი მნიშვნელოვანია ტექნიკური დახმარება დარგის ექპერტებისა და საერთაშორისო კონსულტანტის ჩართულობით.

**“MANNA”** produces a variety of Georgian tea and focuses on production of premium quality and organig products, free from unhealthy substances and additives. The company intends to continue working in this direction, thus, it requires technical assistance through the involvement of leading experts of the field and international consultant.



**„SEVSAMORA RESORT & SPA“**
არის სასტუმრო-კომპლექსი, რომლის ტერიტორიაზე განთავსებულია სასტუმროს შენობა დამოუკიდებელი აუზით და ტერასებით, სხვადასხვა კონცეფციის რესტორნები, ბარები, აუზები. კომპანიის მიზანია სასტუმროს კომპლექსში ენერგო ეფექტური, უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნა, სადაც მზის ჰელიო სისტემა სრულად ავტომატიზებული იქნება, დაინერგება აუზების წყლის გათბობის, ცხელწყალმომზადების და ჰაერის გათბობის სისტემის ჰელიო სისტემასთან ინტეგრაცია, რაც სასტუმრო კომპლექსში შეამცირებს ან სრულად დაზოგავს ელექტრო ენერგიის და გაზის მოხმარებას და შექმნის ჯანსაღ და ენერგოეფექტურ გარემოს. კომპანიის მდგრადი განვითარების კუთხით დაგეგმილია სრული ინტეგრაცია ჰელიო სისტემის ჭკვიან სისტემებთან, სადაც წარმოდგენილი იქნება მონაცემების მონიტორინგი/დიაგნოსტიკა და დეტალური მოხსენება თუ რა ენერგო და ფინანსური რესურსი დაიზოგა გარკვეულ დროში.

**“SEVSAMORA RESORT & SPA”** is a hotel complex, having a hotel building with independent pool and terraces, restaurants, bars, swimming pools of different concepts on its territory. The company aims to create an energy efficient, safe and healthy environment in its facilities, where the solar helium system will be fully automated, pool water heating, hot water and air heating system through helium system will be introduced, reducing or fully saving electricity and gas expanses, and creating healthy and energy efficient environment. In terms of sustainable development, the company plans to integrate fully with the smart helio systems, which will provide possibilities for data monitoring / diagnostics and a detailed report on what energy and financial resources have been saved over time.

**„უდაბნო“** აჭარა ჯგუფის წევრი კომპანიაა, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით მუშაობს. უდაბნოში დიდი პროცენტულობით დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთა შორის არიან როგორც ეკომიგრანტები, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

კომპანიის მიზანია ნატურალური, ჯანმრთელი და ქართული პროდუქტის წარმოება და საქართველოს სახელით ექსპორტზე გატანა, საქართველოში ნუშის ბიზნესის განვითარება, ახალგაზრდებში ინტერესის ამაღლება, შხამ-ქიმიკატების და ჰერბიციდების გამოყენების მაქსიმალური შემცირება, ნარჩენების სწორად მართვა და მათი დროული უტილიზაცია.

კომპანიის სამომავლო გეგმებში შედის ვენახის ბიოსერტიფიცირება რაზეც აქტიური მუშაობა მიმდინარეობს, ხოლო შემდეგი ნაბიჯი ამ კუთხით 1 წლიანი და მრავალწლიანი კულტურების განვითარება იქნება. კომპანია უდაბნოსთვის მნიშვნელოვანია ეკოლოგია და გარემოს დაცვა, ამიტომ დანერგილი აქვს შემარბილებელი ღონისძიებები, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ ხდება გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ნორმებზე მუდმივი მეთვალყურეობა.

**“UDABNO”** is a member of Adjara Group, which operates in the field of agricultural development. Udabno employs a large percentage of locals, including eco-migrants as well as ethnic minorities.

The goal of the company is to produce natural, healthy and Georgian-made products and to export them on behalf of Georgia, to develop almond business in Georgia, to increase the interest of young people, to minimize the use of poisonous chemicals and herbicides, to ensure proper waste management and timely disposal.

Bio-certification of the vineyard is among the company plans, which it works actively on, and the next step will be the development of annual and perennial crops. The company cares about ecology and environmental protection for the Udabno settlement; thus it has implemented mitigation measures, its qualified personnel constantly monitors the conformity with environmental and safety norms.

კონკურსში მონაწილე კომპანიები მუშაობენ სოფლის მეურნეობისა და სტუმარმასპინძლობის სექტორში სხვადასხვა მიმართულებით. შესაბამისად, მათ პროგრამის მიმართ სხვადასხვა მიზანი და მოლოდინები აქვთ, თუმცა ყველა მათგანისთვის, ძირითადი მიზანი ეკოინოვაციური მიდგომების დანერგვა და გარემოსთვის მიყენებული ზიანის შემცირებაა.

The companies participating in the competition operate in different directions of agriculture and hospitality. Consequently, they have varying goals and expectations towards the programme, however, their main goal is to introduce Eco-innovative approaches and reduce the damage to the environment.

# კლიმატის ცვლილება, როგორც საფრთხე და შესაძლებლობა



# CLIMATE CHANGE

## – BOTH A THREAT AND AN OPPORTUNITY

**"WE CAN'T SOLVE PROBLEMS BY USING THE SAME KIND OF THINKING WE USED WHEN WE CREATED THEM."**

***- ALBERT EINSTEIN***

**კონსტანტინე შუბითიძე**

*კორპორაციული მდგრადობის აკადემიის კოორდინატორი*

გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი

**Konstantine Shubitidze**

*Coordinator of Corporate Sustainability Academy*

Global Compact Network Georgia

ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული ადმინისტრაციის (NASA) მონაცემებით დედამიწის ზედაპირის საშუალო ტემპერატურა მე-19 საუკუნის მიწურულის შემდეგ 1.8°C-ით გაიზარდა, რაც ძირითადად ატმოსფეროში ნახშიროჟანგის უპრეცენდენტოდ დიდი ოდენობით გაფერქვევით და გარემოზე მოქმედი სხვა არასასურველი აქტივობებით არის გამოწვეული. მაგალითისთვის, ადამიანთა საქმიანობის შედეგად დღეისათვის ატმოსფეროში ნახშიროჟანგის გამოფრქვევის მოცულობა 250-ჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ბუნებრივი წყაროებიდან ბოლო გამყინვარების პერიოდის შემდეგ. კლიმატური ცვლილებები რომ აბსტრაქტული მოვლენა არ არის და მისი ეფექტი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე აისახება, კონკრეტული გაზომვადი და ხელშესახები ფაქტებით დასტურდება. მომატებული სითბოს შთანთქმა ძირითადად ხდება მსოფლიო ოკეანის მიერ, რამაც 1969 წლიდან დღემდე წყლის ტემპერატურის საშუალოდ 0.33°C-ით მატება გამოიწვია. ამის შედეგად NASA-ს კვლევით 1993-დან 2019 წლამდე შუალედში გრენლანდია წელიწადში საშუალოდ 279 მილიარდ ტონა ყინულს კარგავდა, ხოლო არქტიკა 148 მილიარდ ტონას. მცირდება მყინვარების მოცულობა და სიმაღლე მთელი მსოფლიოს მასშტაბით, დაწყებული ალპებიდან, დასრულებული ჰიმალაით და ანდებით. ხოლო,








**„ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი პრობლემების მოგვარება იმავე აზროვნებით, რაც მათი შექმნის დროს გამოვიყენეთ"**

*– ალბერტ აინშტაინი*

სატელიტური დაკვირვების შედეგები ცხადყოფს, რომ ბოლო ხუთი ათწლეულის განმავლობაში ჩრდილოეთ ნახევარსფეროში გაზაფხულის თოვლის საფარი მკვეთრად შემცირდა და გაიზარდა მისი დნობის სიჩქარე. მოიმატა ზღვის დონემ, ტყის ხანძრების რაოდენობამ და სხვა ექსტრემალურმა მოვლენებმა. ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში იწვევს გამოუსწორებელ ზიანს არამხოლოდ იმ გარემოზე, რომელშიც ვცხოვრობთ, არამედ ვნებს უშუალოდ ადამიანების ჯანმრთელობას და მათი განვითარების პერსპექტივებს. იზრდება ინფექციური დაავადებების რაოდენობა და მათი გავრცელების ტემპი, მცირდება ნიადაგის პროდუქტიულობა და სწრაფად იწურება სასმელი წყლის რესურსი.

ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების პროფესორი გლენ სნაიდერი 1990 წელს გამოცემულ წიგნში „ალიანსების პოლიტიკა" აღნიშნავდა, რომ მოკავშირეობა გულისხმობს საერთო მოლოდინებს მხარდაჭერის შესახებ და ინტერესების თანხვედრას ორ ან მეტ ქვეყანას შორის საერთო გამოწვევის წინააღმდეგ. ინტერესების თანხვედრის სიდიდე, ანუ რამდენად ძლიერი ან სუსტია ისინი, დამოკიდებულია საერთო გამოწვევის/მეტოქის ხარისხზე. ფორმალური ალიანსები კი აძლიერებს არსებულ მოკავშირეობას ან ქმნის საერთოდაც ახალს, მის მიმართ ერთგულებით, დეტალურობით, ლეგალური და ნორმატიული ვალდებულებებითა და საჯარო ხილვადობით.

კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებული დისკუსია და არსებული გამოწვევის მოგვარების გზების ძიება 21-ე საუკუნის საერთაშორისო საზოგადოების დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი საკითხია. ამ მიზნით 2015 წელს პარიზში გამართულ მოლაპარაკებებში 196 საერთაშორისო აქტორი (სახელმწიფოები, გაეროს დამკვირვებელი ორგანიზაციები,

According to the US National Aeronautics and Space Administration (NASA), the average temperature of the Earth's surface has risen by 1.8°C since the end of the 19th century, mainly due to the release of unprecedented amounts of carbon dioxide into the atmosphere and other adverse environmental activities. For instance, the amount of carbon dioxide emitted into the atmosphere today as a result of human activity is growing 250 times faster than it did after the period of recent glacial period from natural sources.

It is a fact that climate change is not an abstract phenomenon and its effect on our daily lives is confirmed by concrete measurable and tangible facts. Increased heat absorption is mainly from the world ocean, which has led to an average increase in water temperature of 0.33°C since 1969. As a consequence, according to a NASA study, between 1993 and 2019, Greenland lost an average of 279 billion tonnes of ice per year, while the Arctic lost 148 billion tonnes. The volume and height of glaciers around the world, from the Alps to the Himalayas and to the Andes, are decreasing. The results of satellite observations show that in the last five decades the spring snow cover in the Northern Hemisphere has decreased sharply and melting is increasing. The sea level, the

არასამთავრობო გაერთიანებები და ა.შ.) მონაწილეობდა. კონფერენციაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლითაც განისაზღვრა ძირითადი პრინციპები და მიზნები, რომელთა შესრულების ვალდებულებაც უნდა აეღოთ ხელმომწერებს. დოკუმენტი ხელმოწერისთვის გაიხსნა 2016 წლის 22 პარილს, დედამიწის დღეს, ნიუ იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სათაო ოფისში. დოკუმენტის უმთავრესი მიზანია დედამიწაზე მიმდინარე კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული პრობლემების შემცირება და შემდგომი აღმოფხვრა. ამისთვის კი შეთანხმების მხარეები მიიჩნევენ, რომ საჭიროა პლანეტაზე არსებული საშუალო ტემპერატურის ზრდის შეკავება 2°C-ის ფარგლებში, იდეალურ შემთხვევაში კი, 1.5°C-ის ფარგლებში. პარიზის შეთანხმების საკვანძო საკითხია ატმოსფეროში სათბური აირების გამოყოფის შემცირება, რაც ყველაზე დიდ ზიანს აყენებს გარემოს და იწვევს კლიმატის იმგვარ ცვლილებებს, რომელიც საბოლოო ჯამში პლანეტაზე შეუქცევად პროცესებს იწვევს და საფრთხეს უქმნის როგორც ადამიანებს და მათ ჯანმრთელობას, ისე ზოგადად ბიომრავალფეროვნებას.

პარიზის შეთანხმების შესრულების 5 წლიანი პერიოდის შეფასებისა და შემდგომი ნაბიჯების, მათ შორის კლიმატური ცვლილებების შესაკავებლად ბიზნეს სექტორს, მედიას და არასამთავრობო ორგანიზებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებისა და ფინანსების მოზიდვის მიზნით ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება – გაეროს კლიმატური ცვლილებების რიგით 26-ე კონფერენცია, რომელიც ასევე ცნობილია როგორც COP26 (Conference Of the Parties) დაიგეგმა 2020 წელს გლაზგოში, გაერთიანებულ სამეფოში. თუმცა, COVID-19-ის პანდემიის გამო 2020 წლის ნაცვლად ღონისძიება 2021 წლის მიწურულისთვის გადაიდო და შოტლანდიამ მონაწილეებს 31 ოქტომბრიდან 12 ნოემბრის ჩათვლით უმასპინძლა.

გლაზგომ აღნიშნული კონფერენციის მასპინძლობისთვის მზადების პროცესში დარგო 18 მილიონი ხე, რაც მიზნად ისახავს, რომ ქალაქ გლაზგოში დასახლებული პუნქტების მწვანე სივრცეების საერთო ფართობმა მიაღწიოს 20 პროცენტს.

**გლაზგომ აღნიშნული კონფერენციის მასპინძლობისთვის მზადების პროცესში დარგო 18 მილიონი ხე, რაც მიზნად ისახავს, რომ ქალაქ გლაზგოში დასახლებული პუნქტების მწვანე სივრცეების საერთო ფართობმა მიაღწიოს 20 პროცენტს.**




amount of forest fires and other extreme events have risen. All these ultimately not only cause irreparable damage to the environment in which we live, but also directly affects people's health and their development prospects. The number of infectious diseases and the rate of their spread are increasing, soil productivity is decreasing and drinking water resources are rapidly depleting.

Glenn Snyder, a professor of political science at the University of North Carolina, wrote in his 1990 book The Politics of Alliances that an alliance entails common expectations of support and a balance of interests against a common challenge between two or more countries. The magnitude of the concurrence of interests, i.e., how strong or weak they are, depends on the degree of overall challenge/ rivalry. Formal alliances reinforce existing coalitions or create entirely new ones with commitment, thoroughness, legal and regulatory commitments, and public visibility.

Discussing climate change and finding ways to address the current challenge is one of the main issues on the 21st century international community agenda. To this





**GLASGOW PLANTED 18 MILLION TREES IN PREPARATION FOR THE CONFERENCE HOSTING, AIMING TO INCREASE THE TOTAL GREEN SPACE IN GLASGOW TO 20 PER CENT.**

ხე, რაც მიზნად ისახავს, რომ ქალაქ გლაზგოში დასახლებული პუნქტების მწვანე სივრცეების საერთო ფართობმა მიაღწიოს 20 პროცენტს.

კონფერენციისთვის მზადების პერიოდში გაერთიანებული სამეფო ერთგვარ როლურ მოდელადაც წარმოჩინდა მთელი მსოფლიოსთვის, როგორც ქვეყანა, რომელიც ყველაზე სწრაფად ამცირებს ატმოსფეროში სითბური აირების გაფრქვევას და სრულად გადადის განახლებად ენერგიასა და მწვანე ეკონომიკაზე. მაგალითისთვის, ბრიტანეთის მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯების შედეგად ქვეყნის ეკონომიკა ბოლო 30 წლის განმავლობაში გაიზარდა 78 პროცენტით მაშინ, როდესაც ჰაერის დაბინძურება შემცირდა 44 პროცენტით. ხოლო, თუკი 2021 წლისთვის ქვეყნის ელექტრო მომარაგების 40 პროცენტი ნახშირის გადამუშავებით მიიღებოდა, 2021 წლისთვის ეს მაჩვენებელი 2 პროცენტამდე არის შემცირებული და 2024 წლისთვის სრულად ჩანაცვლდება მზისა და ქარის ენერგიით. ამ ყველაფრის შედეგად, გაერთიანებული სამეფო გახდება პირველი ქვეყანა, რომელიც 2035 წლისთვის ატმოსფეროში 78 პროცენტით ნაკლებ სათბურ აირებს გააფრქვევს. COP26-ის მასპინძელი ქვეყნის მაგალითი აჩვენებს, რომ სახელმწიფოსა და ბიზნესის ერთობლივი ძალისხმევით აზროვნების შეცვლა, მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა ისე, რომ ეკონომიკა არათუ შემცირდეს, არამედ პირიქით, უფრო სწრაფად გაიზარდოს, სრულიად რეალისტურია.

COP26-ის ფარგლებში, 2035 წლისთვის სრულად განახლებად ენერგიაზე გადასვლის ამბიციის შესახებ განაცხადი გააკეთა ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც, პრეზიდენტ ბაიდენის ადმინისტრაციამ საკუთარი პრიორიტეტების ჩამოთვალში კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლას ერთ-ერთი ძირითადი ადგილი მიანიჭა COVID-19-ის პანდემიის შედეგების აღმოფხვრასა და ეკონომიკის აღდგენასთან ერთად.

end, 196 international actors (states, UN observers, non-governmental organizations, etc.) participated in the 2015 negotiations in Paris. An agreement was reached at the Conference which set out the basic principles and objectives that the signatories must have committed to. The document was opened for signature on April 22, 2016, on Earth Day, at the United Nations Headquarters in New York. The main goal of the Document is to reduce and further eliminate the problems caused by the current climate change on Earth. To do this, the parties to the Agreement believe that it is necessary to hold the average temperature increase on the planet below 2°C, and ideally below 1.5°C. A key issue of the Paris Agreement is the reduction of greenhouse gas emissions into the atmosphere, which is most damaging to the environment and causes climate change that ultimately results in irreversible processes on the planet threatening both humans and their health, as well as biodiversity in general.

The most important measure to evaluate the five-year implementation period of the Paris Agreement, set up future steps, including to enhance cooperation and raise funds for holding off the climate change amongst the business sector, media and non-governmental organizations, the 26th UN Conference on Climate Change, also known as COP26 (Conference of the Parties), was planned for 2020 in Glasgow, United Kingdom. However, due to the COVID-19 pandemic, the event was postponed to the end of 2021 instead of in 2020, and Scotland hosted participants from 31 October to 12 November.

Glasgow planted 18 million trees in preparation for the Conference hosting, aiming to increase the total green space in Glasgow to 20 per cent.

In the run-up to the Conference, the United Kingdom has somewhat emerged as a role model for the rest of the world being the country that most rapidly reduces greenhouse gas emissions and fully moves to renewable energy and a green economy. For example, as a result of steps taken by the British gov-

## “SECURING A BRIGHTER FUTURE FOR OUR CHILDREN AND FUTURE GENERATIONS REQUIRES COUNTRIES TO TAKE URGENT ACTION AT HOME AND ABROAD TO TURN THE TIDE ON CLIMATE CHANGE. IT IS WITH AMBITION, COURAGE AND COLLABORATION AS WE APPROACH THE CRUCIAL COP26 SUMMIT IN THE UK THAT WE CAN SEIZE THIS MOMENT TOGETHER, SO WE CAN RECOVER CLEANER, REBUILD GREENER AND RESTORE OUR PLANET.”

*- BORIS JOHNSON, PRIME MINISTER OF THE UNITED KINGDOM.*

იგივე პოზიცია დააფიქსირა ევროკომიიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლეიენმაც და კონფერენციაზე შეკრებილ მსოფლიო ლიდერებს მიმართა ინიციატივით, პანდემიის შემდგომი ეკონომიკური აღდგენის პროცესი აქციონ შესაძლებლობად, რათა დაინერგოს მწვანე ეკონომიკის პრინციპები და შემცირდეს გარემოსთვის მიყენებული ზიანი. ევროკომისიის პრეზიდენტის თქმით, ევროკავშირი შემდგომი წლების განმავლობაში როგორც წევრი, ისე პარტნიორი ქვეყნებისთვის ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობების განხილვისას დიდ მნიშვნელობას მიანიჭებს ამ ქვეყნების მხრიდან პარიზისა და გლაზგოს შეთანხმებებში ასახული პრინციპების ეფექტური იმპლემენტაციის საკითხს.

„ჩვენი შვილებისა და შემდეგი თაობების ნათელი მომავლის დასაცავად ქვეყნების მხრიდან საჭიროა გადაუდებელი მოქმედება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გლობალურად, რათა შეჩერდეს კლიმატური ცვლილებების ტალღა. COP26-ის სამიტი უნდა იქცეს ამბიციის, გამბედაობისა და თანამშრომლობის მომენტად, რათა ერთად გავხადოთ გარემო უფრო სუფთა, აღვადგინოთ მწვანე საფარი და დავიბრუნოთ ჩვენი პლანეტა“ – ბორის ჯონსონი, გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი

მიუხედავად იმისა, რომ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ძირითადი ლოკომოტივი სახელმწიფოთა მთავრობები არიან, უდავოა, რომ ადამიანთა აზროვნების და აქედან გამომდინარე ქცევის ცვლილება ყველაზე სწრაფად და ეფექტიანად კერძო ინიციატივებს შეუძლია. სწორედ ამიტომ, გლაზგოში გამართული გაეროს კლიმატური ცვლილებების ყველა დროის ყველაზე მასშტაბური კონფერენციის ყურადღების ცენტრში კერძო ბიზნესი მოექცა. ბიზნესი, რომელმაც

ernment, the country's economy has grown by 78 per cent over the last 30 years while air pollution has reduced by 44 per cent. And while by 2021 40 per cent of the country's electricity supply was obtained from coal processing, by 2021 this figure has reduced to 2 per cent and by 2024 it will be fully replaced by solar and wind energy. Consequently, the United Kingdom will become the first country to emit 78 per cent less greenhouse gases into the atmosphere by 2035. The example of the host country of COP26 shows that through the joint efforts of the state and business it is completely realistic to change the mindset, and to move to a green economy so that the economy not only does not shrink but grows faster.

As part of COP26, the United States has also announced its ambition to switch to renewable energy by 2035, with President Biden's administration putting climate change as one of its top priorities along with tackling the effects of the COVID-19 pandemic and restoring the economy. The same position was taken by the President of the European Commission Ursula von der Leyen, addressing world leaders gathered at the Conference with an initiative to make the post-pandemic economic recovery process an opportunity






## „ჩვენი შვილებისა და შემდეგი თაობების ნათელი მომავლის დასაცავად ქვეყნების მხრიდან საჭიროა გადაუდებელი მოქმედება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გლობალურად, რათა შეჩერდეს კლიმატური ცვლილებების ტალღა. COP26-ის სამიტი უნდა იქცეს ამბიციის, გამბედაობისა და თანამშრომლობის მომენტად, რათა ერთად გავხადოთ გარემო უფრო სუფთა, აღვადგინოთ მწვანე საფარი და დავიბრუნოთ ჩვენი პლანეტა“

*– ბორის ჯონსონი, გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი*

საკუთარი ინიციატივით შეძლო და განახორციელა მწვანე სტანდარტების დანერგვა, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, ტრადიციული ენერგიის განახლებადი რესურსებით ჩანაცვლება – საფინანსო კორპორაციებისა და მსოფლიოს უმდიდრესი სახელმწიფოების სასურველ პარტნიორებად დასახელდნენ.

მდგრადი განვითარების მე-13 მიზანი, რაც კლიმატის მდგრადობის მიღწევას გულისხმობს სულ უფრო აქტუალური ხდება როგორც სახელმწიფოთა პოლიტიკაში, ისე დიდი საინვესტიციო კორპორაციების გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ პრინციპის პრაქტიკაში განხორციელება კი საბოლოო ჯამში უკვე არის გლობალური კონკურენციის პირობებში ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი და ზრდის შესაძლებლობა ნებისმიერი ზომისა და სექტორის ბიზნესისთვის.

to introduce green economic principles and reduce environmental damage. According to the President of the European Commission, the EU will attach great importance to the effective implementation of the principles set out in the Paris and Glasgow Agreements when considering opportunities for financial assistance to member and partner countries in the coming years.

"Securing a brighter future for our children and future generations requires countries to take urgent action at home and abroad to turn the tide on climate change. It is with ambition, courage and collaboration as we approach the crucial COP26 summit in the UK that we can seize this moment together, so we can recover cleaner, rebuild greener and restore our planet."- Boris Johnson, Prime Minister of the United Kingdom.

While the main locomotive of climate change policymaking and implementation is governments, it is undeniable that private initiatives can change people's thinking and therefore behavior most rapidly and effectively. That is why business has become the focus of the largest-ever UN Climate Change Conference in Glasgow. Businesses that have taken the initiative and implemented green standards, by taking responsibility and replacing traditional energy with renewable resources have been named preferred partners by financial corporations and the richest countries in the world.

Sustainable Development Goal 13, which implies the achievement of climate sustainability, is becoming increasingly relevant not only in the policy of states, but also in the decision-making process of large investment corporations. The implementation of this principle in practice is ultimately one of the crucial factors in the global competition and the opportunity for growth for businesses of any size and sector.

ეკო-მეგობრული პროდუქციის ძიებაში

# ECO GENERATION
## IN SEARCH OF ECO-FRIENDLY PRODUCTS

Eco Generation ეკომეგობრული ჭურჭლის მწარმოებელი კომპანიაა, რომელიც გარემოზე პლასტმასის დამღუპველ ზემოქმედებას ებრძვის. ბოლო წლებში ეს პროცესი სულ უფრო აქტუალური ხდება – პლასტმასას უპირისპირდებიან მთელ მსოფლიოსა და მათ შორის, საქართველოშიც. ამაზე მეტყველებს მზარდი მოთხოვნა ეკომეგობრულ პროდუქტებზე, რასაც ადამიანების მიერ ამ პრობლემის გათვითცნობიერება განაპირობებს.

ECO GENERATION IS AN ECO-FRIENDLY TABLEWARE COMPANY WHICH FIGHTS THE DEVASTATING IMPACT OF PLASTIC ON THE ENVIRONMENT. IN RECENT YEARS, THIS PROCESS HAS BECOME INCREASINGLY IMPORTANT, AS COUNTRIES THE WORLD OVER ATTEMPT TO DEAL WITH THE ISSUE OF PLASTICS, INCLUDING GEORGIA. THIS IS EVIDENCED BY THE GROWING DEMAND FOR ECO-FRIENDLY PRODUCTS.

კომპანია 2018 წელს ენთუზიასტმა მეგობრებმა დააფუძნეს, რომელთათვისაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა კავშირი პლანეტის ჯანმრთელობასა და პლასტმასის ერთჯერად პროდუქტს შორის. ეკომეგობრული თაობის წარმომადგენლებმა მიზნად დაისახეს, საზოგადოებას გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაში დახმარებოდნენ. მათ მიერ დამზადებული ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი ჭურჭელი საშუალებას აძლევს ადამიანებს, სახლში, სამსახურში ან მოგზაურობისას შეამცირონ ნეგატიური ზეგავლენა გარემოზე. დღესდღეობით ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია გარემოს დაბინძურების დამანგრეველ მასშტაბებთან საბრძოლველად.

კომპანიის დევიზია – „ერთად ვიზრუნოთ მომავალზე“, რაც მწარმოებლისა და მომხმარებლის ერთობას განაპირობებს: პლასტმასისგან თავისუფალი, ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს შექმნაში მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის მონდომება. ცდილობენ, ეს ყველა თაობის მომხმარებელმა გააცნობიეროს. მათი მიზანია, გარემოს დაცვა გახდეს აქტუალური და მისაბაძი, რისთვისაც აპირებენ, სხვადასხვა სახის კამპანია აწარმოონ. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება უმთავრესი ამოცანაა გლობალური გამოწვევის დაძლევაში, რასაც ემსახურებიან კიდეც თავისი საქმიანობით. მიიჩნევენ, რომ რაც უფრო მეტად გამოიყენებენ ადამიანები ეკოლოგიური მასალისგან დამზადებულ ჭურჭელს პლასტმასის ერთჯერადი პროდუქციის ნაცვლად, მით მეტად გაჯანსაღდება გარემო.

ეკომეგობრული პროდუქციის ბაზარი საქართველოში ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზეა, რაც კომპანიებს განვითარების მნიშვნელოვან შესაძლებლობას აძლევს. Eco

The company was founded in 2018 by a group of eco-enthusiasts for whom the link between the health of the planet and disposable plastic products is important. Representatives of the eco-friendly generation aimed to help raise public awareness about the environment. Biodegradable and compostable utensils made by them allow people to reduce the negative impact on the environment at home, at work or while traveling. Today, this is an important step in combating the destructive scale of environmental pollution.

The company's motto – 'Let's care for the future together' – unites the producer and the consumer: the diligence of each person is significant for creating a healthy, plastic-free living environment. They try to make consumers from all generations realize this. Their goal is to make environmental protection popular and set up a role model per which they can run various campaigns. Raising public awareness is the main task in overcoming the global challenge, towards which the company works towards through their activities. The more people that use utensils made from environmentally friendly materials instead of disposable plastic products, the cleaner the environment will be.



*მათ მიერ დამზადებული ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი ჭურჭელი საშუალებას აძლევს ადამიანებს, სახლში, სამსახურში ან მოგზაურობისას შეამცირონ ნეგატიური ზეგავლენა გარემოზე.*

**BIODEGRADABLE AND COMPOSTABLE UTENSILS MADE BY THEM ALLOW PEOPLE TO REDUCE THE NEGATIVE IMPACT ON THE ENVIRONMENT AT HOME, AT WORK OR WHILE TRAVELING.**

**THE COMPANY'S MOTTO – 'LET'S CARE FOR THE FUTURE TOGETHER' – UNITES THE PRODUCER AND THE CONSUMER: THE DILIGENCE OF EACH PERSON IS SIGNIFICANT FOR CREATING A HEALTHY, PLASTIC-FREE LIVING ENVIRONMENT.**

*კომპანიის დევიზია - „ერთად ვიზრუნოთ მომავალზე“, რაც მწარმოებლისა და მომხმარებლის ერთობას განაპირობებს: პლასტმასისგან თავისუფალი, ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს შექმნაში მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის მონდომება.*

The market of eco-friendly products in Georgia is still in a nascent stage, which gives companies a significant opportunity for development. Eco Generation believes that there are no boundaries for their products at this stage, so they are also considering penetrating the markets of the region.

The motto 'Let's care for the environment together' also envisages product recycling by the company, which will help reduce negative impacts on the environment and increase profitability in the value chain. In turn, this will make it possible to reinvest the released resources and take another step towards development.

The goal of the company is to contribute to the improvement of the Georgian ecosystem. They are also thinking of introducing revolutionary changes in this field, however, this requires universal involvement, from both the public and private sector and from society. Particular importance has been attached to the legislative framework governing this area. According to the founders of the company, like other areas, it is necessary to harmonize the Georgian environmental legislation with the EU legislation. Most importantly, effective

Generation-ში მიიჩნევენ, რომ მათი პროდუქციისთვის ამ ეტაპზე არ არსებობს საზღვრები, ამიტომ სამომავლოდ რეგიონული ქვეყნების ბაზრების ათვისებასაც განიხილავენ.

დევიზი – „ერთად ვიზრუნოთ გარემოზე“, კომპანიის მიერ პროდუქციის ხელახალ გადამუშავებასაც ითვალისწინებს, რაც გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას და ღირებულებათა ჯაჭვში რენტაბელობის გაზრდას შეუწყობს ხელს. თავის მხრივ, ეს გამოთავისუფლებული რესურსის რეინვესტირებას გახდის შესაძლებელს და კიდევ ერთი ნაბიჯია განვითარებისკენ.

კომპანიის მიზანია, საკუთარი წვლილი შეიტანონ საქართველოს ეკოსისტემის გაუმჯობესებაში. ამ სფეროში რევოლუციური ცვლილებების დანერგვასაც ფიქრობენ, თუმცა, ამისათვის საჭიროა საყოველთაო ჩართულობა: როგორც საჯარო, ისე, კერძო სექტორისა და საზოგადოების. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკანონმდებლო ბაზას, რომელიც ამ სფეროს არეგულირებს. კომპანიის დამფუძნებელთა აზრით, სხვა სფეროების მსგავსად, აუცილებელია გარემოსდაცვითი მიმართულებით კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. რაც მთავარია, მისი ეფექტურად აღსრულება. ამ კუთხით გადამწყვეტი როლი ენიჭება კერძო კომპანიების აქტიურობას, რათა სახელმწიფომაც აუბას მხარი შესაბამისი ინიციატივებით.

Eco Generation-ში კარგად ესმით, რომ ქვეყნის ეკონომიკა თითოეული დიდი თუ მცირე საწარმოს განვითარებას ეფუძნება. საამისოდ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაა საჭირო, რაც, კომპანიის შესაძლებლობის ზრდასთან ერთად, უცხოელ პარტნიორებთან კავშირს შეუწყობს ხელს. ეს ყველაფერი საწარმოებს უცხოეთის პერსპექტიული ბაზრების ათვისებაში დაეხმარება. ამას ითვალისწინებს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაც, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიებს, შეღავათიანი პირობებით მოახდინონ პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირის წევრი ქვეყნების ბაზრებზე.

Eco Generation-ისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივი ადამიანური რესურსია. მიიჩნევენ, რომ წარმატებულ კომპანიებს ქმნიან ბედნიერი თანამშრომლები. მათი მიზანია, ამ ადამიანებს საუკეთესო სამუშაო გარემო ჰქონდეთ. შესაბამისად, სამუშაო პროცესში საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას ცდილობენ. სამომავლოდ საწარმოო პროცესის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისობის დამადასტურებელი სერტიფიკატის მიღება იგეგმება. დღესდღეობით კომპანიის პროდუქტი საერთაშორისო სტანდარტებითაა სერტიფიცირებული.

წარმატების კიდევ ერთი აუცილებელი პირობა ინოვაციების დანერგვაა. Eco Generation აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. მიიჩნევენ, რომ ინოვაციები გაზრდის კომპანიის ღირებულებას და აამაღლებს

**THE MOST IMPORTANT ASSET OF ECO GENERATION IS ITS HUMAN RESOURCES. IT IS BELIEVED THAT SUCCESSFUL COMPANIES ARE CREATED BY HAPPY EMPLOYEES. ECO GENERATION'S GOAL IS TO HAVE THE BEST WORK ENVIRONMENT FOR THEIR EMPLOYEES. ACCORDINGLY, THEY TRY TO INTRODUCE INTERNATIONAL STANDARDS AND MODERN TECHNOLOGIES IN THE WORK PROCESS.**

*Eco Generation-ისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივი ადამიანური რესურსია. მიიჩნევენ, რომ წარმატებულ კომპანიებს ქმნიან ბედნიერი თანამშრომლები. მათი მიზანია, ამ ადამიანებს საუკეთესო სამუშაო გარემო ჰქონდეთ. შესაბამისად, სამუშაო პროცესში საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას ცდილობენ.*

execution must be ensured. The activity of private companies plays a crucial role in this regard, so that the state can support them with appropriate initiatives.

Eco Generation understands that the country's economy is based on the development of each large or small enterprise. This requires attracting foreign direct investments, which, as the company grows, will help connect with foreign partners. All this will help enterprises to explore promising foreign markets. This is provided for by the EU-Georgia Association Agreement, which allows companies to export products on preferential terms to the markets of EU Member States.

The most important asset of Eco Generation is its human resources. It is believed that successful companies are created by happy employees. Eco Generation's goal is to have the best work environment for



კონკურენტუნარიანობას. არანაკლებ მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების დაცვა. აქვთ რეგისტრირებული დიზაინი და სასაქონლო ნიშანი. ასევე, მუშაობენ ინოვაციურ პროდუქტზე, რომელიც მნიშვნელოვან ტექნიკურ პრობლემას გადაწყვეტს საწარმოო ნარჩენების შესამცირებლად. ამ კუთხით გამოგონების პატენტის მიღებასაც აპირებენ, რაც ხელს შეუწყობს მათ შემდგომ განვითარებას.

Eco Generation-ს მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს ეკომეგობრული ჭურჭლის ბაზარზე, თუმცა, არსებულით არ კმაყოფილდებიან და სამომავლო ცვლილებებზე ფიქრობენ. მათი მიზანია, წაახალისონ სწორი გარემოსდაცვითი კულტურის ჩამოყალიბება საზოგადოებაში. ეს იქნება მნიშვნელოვანი ნაბიჯი ეკოლოგიური მომავლისაკენ.

their employees. Accordingly, they try to introduce international standards and modern technologies in the work process. It is planned to obtain a certificate confirming compliance with modern standards of the production. Today, the company's product is certified according to international standards.

Another necessary condition for success is the introduction of innovations. Eco Generation is actively working in this direction. It is believed that innovations will increase the value of the company and enhance its competitiveness. The protection of intellectual property is no less substantial. The company has a registered design and trademark. They are also working on an innovative product that could solve a significant technical problem to reduce industrial waste. Eco Generation also intends to obtain a patent for this invention, which will facilitate their further development.

Eco Generation has significant achievements in the eco-friendly tableware market; however, they are not satisfied with stopping there and are considering future changes. Their goal is to encourage the establishment of a proper environmental culture in the community. This will be an important step towards an eco-friendly future.

**ANOTHER NECESSARY CONDITION FOR SUCCESS IS THE INTRODUCTION OF INNOVATIONS. ECO GENERATION IS ACTIVELY WORKING IN THIS DIRECTION. IT IS BELIEVED THAT INNOVATIONS WILL INCREASE THE VALUE OF THE COMPANY AND ENHANCE ITS COMPETITIVENESS.**

*წარმატების კიდევ ერთი აუცილებელი პირობა ინოვაციების დანერგვაა. Eco Generation აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. მიიჩნევენ, რომ ინოვაციები გაზრდის კომპანიის ღირებულებას და აამაღლებს კონკურენტუნარიანობას.*

# რატომ არ მინდა პარკი?



# WHY NO BAG FOR ME?

„პარკი არ მინდა“ არასამთავრობო ეკოსაგანმანათლებლო ორგანიზაციაა, რომელიც 2019 წელს ორმა მეგობარმა დააფუძნა. მათი მიზანია ეკოლოგიის მიმართულებით სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, რისთვისაც სხვადასხვა ინიციატივით გამოდიან.

თავდაპირველად დაიწყეს ბრძოლა პოლიეთილენის პარკების წინააღმდეგ და ორგანიზაციის სახელწოდებაც აქედან წამოვიდა. „პარკი არ მინდა“ არ არის მხოლოდ უარყოფითი პასუხი მარკეტებში ყველაზე ხშირად დასმულ შეკითხვაზე – ეს ერთგვარი ცხოვრებისეული პოზიციაა. ბოლო წლებში პოლიეთილენის თემა მთელ მსოფლიოშია აქტუალური, თუმცა ბევრი ქვეყნისგან განსხვავებით, ჩვენთან ეკოცნობიერების კულტურა დაბალია. სტატისტიკის თანხმად, საქართველოში თითოეული მოსახლე წელიწადში დაახლოებით 525 პოლიეთილენის პარკს მოიხმარს, მაშინ როცა ფინეთში ეს ციფრი მხოლოდ 4-ია. მის დაშლას ნიადაგში 100 წელიწადზე მეტი სჭირდება, ლპობისას კი იშლება მიკროპლასტმასად, რომელიც

*თავდაპირველად დაიწყეს ბრძოლა პოლიეთილენის პარკების წინააღმდეგ და ორგანიზაციის სახელწოდებაც აქედან წამოვიდა. „პარკი არ მინდა“ არ არის მხოლოდ უარყოფითი პასუხი მარკეტებში ყველაზე ხშირად დასმულ შეკითხვაზე - ეს ერთგვარი ცხოვრებისეული პოზიციაა.*

**AT FIRST, THEY STARTED FIGHTING AGAINST POLYETHYLENE BAGS AND THE NAME OF THE ORGANIZATION CAME FROM HERE. PARKI AR MINDA IS NOT JUST A NEGATIVE ANSWER TO THE MOST FREQUENTLY ASKED QUESTION IN THE MARKETS - IT IS A KIND OF LIFESTYLE STATEMENT.**







**მარიამ ფესვიანიძე და ტატიანა რემნევა**
*დამფუძნებლები*

**Mariam Pesvianidze and Tatiana Remneva**
*Founders*

მიწასა და წყალში რჩება. ამ გზით ჩვენს ორგანიზმში ერთი კვირის მანძილზე 1 პლასტიკური ბარათის დასამზადებლად საკმარისი პლასტმასა ხვდება, რის გამოც მოგვიწოდებენ, უარი ვთქვათ პოლიეთილენის ერთჯერადი პარკების გამოყენებაზე და მრავალჯერადი ნაჭრის ჩანთით ჩავანაცვლოთ.

„პარკი არ მინდას“ საქმიანობა მხოლოდ პოლიეთილენის მოხმარების შემცირებას არ ემსახურება – ორგანიზაცია მუშაობს საგანმანათლებლო მიმართულებითაც. ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები: ონლაინშეხვედრები და საჯარო ლექციები, გარემოს დასუფთავების აქციები (მათ შორის, Clean Games) და ეგრეთ წოდებულ SWAP-წვეულებები, რომლებიც ნივთების გაცვლა-გამოცვლას ისახავს მიზნად. სწორად მიწოდებული ინფორმაციით “პარკი არ მინდა” უბიძგებს ადამიანებს, პასუხისმგებლობით მოეკიდონ გარემოს და ჩვენი მომავლის შესარჩუნებლად შეცვალონ თავიანთი ქცევა, ყოველდღიურად უფრო შეგნებული არჩევანი გააკეთონ და შეამცირონ თავიანთი

Parki Ar Minda [Geo. No Bag for Me] is a non-governmental eco-educational organization founded in 2019 by two friends with the goal of raising civic awareness in the field of ecology, for which they have come up with various initiatives.

At first, they started fighting against polyethylene bags and the name of the organization came from here. Parki Ar Minda is not just a negative answer to the most frequently asked question in the markets - it is a kind of lifestyle statement. In recent years, the topic of polyethylene has become relevant all over the world, but unlike many countries, Georgia has low eco-awareness. According to statistics, each resident of Georgia uses about 525 polyethylene bags per year, while in Finland this figure is only 4. It takes more than 100 years for such bags to decompose



**THE ACTIVITIES OF PARKI AR MINDA DO NOT ONLY SERVE TO REDUCE THE CONSUMPTION OF POLYETHYLENE - THE ORGANIZATION ALSO WORKS IN THE FIELD OF EDUCATION. VARIOUS EVENTS ARE HELD SUCH AS ONLINE MEETINGS, PUBLIC LECTURES, ENVIRONMENTAL CLEAN-UP CAMPAIGNS (INCLUDING CLEAN GAMES) AND SO-CALLED SWAP PARTIES, WHICH ARE AIMED AT EXCHANGING ITEMS.**

*„პარკი არ მინდას“ საქმიანობა მხოლოდ პოლიეთილენის მოხმარების შემცირებას არ ემსახურება - ორგანიზაცია მუშაობს საგანმანათლებლო მიმართულებითაც. ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები: ონლაინშეხვედრები და საჯარო ლექციები, გარემოს დასუფთავების აქციები (მათ შორის, Clean Games) და ეგრეთ წოდებულ SWAP - წვეულებები, რომლებიც ნივთების გაცვლა-გამოცვლას ისახავს მიზნად.*

ზეგავლენა გარემოზე ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა – საყოფაცხოვრებო ნარჩენები. საქართველოში ყოველწლიურად 900 000 ტონა ნარჩენი იწარმოება, საიდანაც გადამუშავდება არაუმეტეს 5 პროცენტისა. „პარკი არ მინდას“ მიზანია, დაარწმუნოს საზოგადოება, რომ ყველას შეუძლია სასიკეთო ცვლილებებში მონაწილეობა. ზუსტად ამიტომ ორგანიზაციამ შექმნა ეკოტაქსის პროექტი – სერვისი, რომელიც შინ ან სამუშაო ადგილზე აკითხავს ადამიანებს, მიაქვს მათგან დახარისხებული ნარჩენები შემდგომი გადამუშავებისათვის.

პროექტის წარმომადგენლები მომხმარებელს ნარჩენების სწორად დახარისხებასაც

in the soil, but before that time it decomposes into microplastics, which then remain in the soil and water. Just imagine, in a single week our body gets enough plastic to make one plastic card. To mitigate this impact, we are advised to abandon the use of disposable polyethylene bags and replace them with reusable cloth bags.

The activities of Parki Ar Minda do not only serve to reduce the consumption of polyethylene - the organization also works in the field of education. Various events are held such as online meetings, public lectures, environmental clean-up campaigns (including Clean Games) and so-called SWAP parties, which are aimed at exchanging items. Through properly disseminating information, Parki Ar Minda pushes people to treat the environment with responsibility and to amend their behaviour in order to safeguard our future, to make more informed choices and reduce their impact on the environment wherever possible.

Another important problem is household waste. Georgia produces 900,000 tonnes





*ზუსტად ამიტომ ორგანიზაციამ შექმნა ეკოტაქსის პროექტი - სერვისი, რომელიც შინ ან სამუშაო ადგილზე აკითხავს ადამიანებს, მიაქვს მათგან დახარისხებული ნარჩენები შემდგომი გადამუშავებისათვის.*

ასწავლიან, რაც ამ პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია. ეკოტაქსი აგროვებს სხვადასხვა სახის ნარჩენებს, მათ შორის: პლასტმასას, ქაღალდს, მუყაოს, შუშას, ალუმინის და თუნუქის ქილებს, ელექტრონიკას, ელემენტებს, ღვინის საცობებს, პლასტიკურ ბარათებს და პლასტმასის კბილის ჯაგრისებს. პროექტის მიზანია, რაც შეიძლება ნაკლები ნარჩენი მოხვდეს ნაგავსაყრელებზე და ამის ნაცვლად, დაბრუნდეს ეკონომიკაში რესურსის სახით.

დღესდღეობით ეკოტაქსიმ უკვე 15 ტონაზე მეტი ნარჩენი შეაგროვა გადასამუშავებლად და 200-ზე მეტი მუდმივი კლიენტი შეიძინა. მათ შორის, თბილისის კაფე-რესტორნები, ოფისები, საელჩოები და სხვა ორგანი-ზაციები. მათი რიცხვი ნელ-ნელა მატულობს, რაც ნიშნავს, რომ პასუხისმგებლიან მომხმარე-ბელთა რაოდენობა იზრდება.

ნარჩენების გადამუშავება არ წყვეტს ჭარბი მოხმარების პრობლემას. ამიტომ ნარჩენების შეგროვების სერვისთან ერთად, ეკოტაქსი საგანმანათლებლო ფუნქციასაც ასრულებს. პროექტის მიზანია, ასწავლოს კლიენტებს ყოველდღიურ ცხოვრებაში ნაკლები ნარჩენის წარმოქმნა: მაგალითად, ყოველ ჯერზე წყლის ყიდვის ნაცვლად, ჰქონდეთ ერთი მრავალჯერადი ბოთლი, მოერიდონ პლასტმასის შეფუთვის მქონე საკვების ყიდვას და ა.შ.

„პარკი არ მინდას“ დამფუძ-ნებლებს სჯერათ, რომ ინდივი-დუალურ ქმედებებს შეუძლია

of waste annually, of which no more than 5 per cent is recycled. Parki Ar Minda aims to convince the public that everyone can participate in the beneficial changes. That is why the organization has created an 'eco-taxi' project - a service which visits people at home or at work and collects sorted waste for recycling.

Project representatives also teach customers how to sort waste properly, which is very important in the process. Eco-Taxi collects a variety of waste, including: plastic, paper, cardboard, glass, aluminium and tin jars, electronics, batteries, wine corks, plastic cards, and plastic toothbrushes. The goal of the project is to place as little waste as possible to landfills and instead return it to the economy as a resource.

Nowadays, Eco-Taxi has already collected more than 15 tonnes of waste for recycling and acquired more than 200 regular customers. Among them are Tbilisi cafes and restaurants, offices, embassies and other organizations. Their number is gradually increasing, which means that the number of responsible customers is also increasing.

**THAT IS WHY THE ORGANIZATION HAS CREATED AN 'ECO-TAXI' PROJECT - A SERVICE WHICH VISITS PEOPLE AT HOME OR AT WORK AND COLLECTS SORTED WASTE FOR RECYCLING.**



*კორპორაციულ პასუხისმგებლობას არ სჭირდება მასშტაბები - პატარა კომპანიებსაც შეუძლიათ დიდი საქმეების კეთება.*

**CORPORATE RESPONSIBILITY DOES NOT NEED TO BE ON A VERY LARGE SCALE - EVEN SMALL COMPANIES CAN DO GREAT THINGS**

სისტემური ცვლილებების გამოწვევა და ყველაფერს აკეთებენ ამ იდეის ხორც-შესასხმელად. მათი აზრით, კორპორაციულ პასუხის-მგებლობას არ სჭირდება მასშტაბები - პატარა კომპა-ნიებსაც შეუძლიათ დიდი საქმეების კეთება. ისინი მხარს უჭერენ მდგრადი და ჯანსაღი მომავლის შექმნას თანაბარი შესაძლებლობებით და ყველას მოუწოდებენ, უფრო მეტად იყვნენ პასუხისმგებელნი იმ ქმედებების მიმართ, რომელიც გარემოსთვის თითოეული ჩვენგანის ყოველდღიურ საქმიანობას მოაქვს.

Waste recycling does not solve the problem of overconsumption, so in addition to the waste collection service, Eco-Taxi also performs educational functions. The aim of the project is to teach clients to generate less waste in their daily lives: for example, instead of buying bottled water each time, have one multiple-use bottle, avoid buying food with plastic packaging, etc.

The founders of Parki Ar Minda believe that individual actions can cause systemic change and they do everything possible to implement this idea. In their view, corporate responsibility does not need to be on a very large scale - even small companies can do great things. They support the creation of a sustainable and healthy future with equal opportunities and call on everyone to be more responsible in daily activities that impact the environment.



ISSUE N.4

SPECIAL EDITION

# CR AWARD 2021 Business for SDGs

Coming soon...

Global Compact Network Georgia | ACADEMY

# კორპორაციული მდგრადობის აკადემია

დაგვიკავშირდით: academy@globalcompact.ge

შვედეთი Sverige

IN PARTNERSHIP WITH

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Confederation

Federal Department of Economic Affairs, Education and Research EAER
State Secretariat for Economic Affairs SECO

IN COOPERATION WITH

IFC International Finance Corporation WORLD BANK GROUP

*Creating Markets, Creating Opportunities*